ლაგოდეხს ეპიდემია ემუქრება A2
ქვართიან-დავითიანი A8
გულახდილად B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი შაბათი, 15 მაისი, 2004 წელი. №114 (663) ფასი 50 თეთრი

აჭარას ავტონომიის სტატუსი უნარჩუნდება

ამასთან, ის ცენტრის არტახებში მოექცევა

გიორგი ასანიშვილი

აჭარაში ცხოვრება თანდათან ნორმალურ კალაპოტში დგება. სამაგიეროდ, ავტონომიური რესპუბლიკის მომავლის გარშემო დედაქალაქში ვნებათაღელვა მატულობს. გუშინ პარლამენტში შევიდა კანონპროექტი, რომელიც ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილების გამიჯვნას შეეხება. დოკუმენტში აჭარა საქართველოს განუყოფელ ნაწილად არის გამოცხადებული, რომელსაც ავტონომიის სტატუსი უნარჩუნდება. კანონპროექტის მიხედვით, რეგიონის კომპეტენციას მიეკუთვნება: ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღება და მასში ცვლილებების შეტანა, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარება, აგრეთვე, აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურის უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის განსაზღვრა.

გაგრძელება A3 გვერდზე

ირინა ლოლაშვილის ფოტო

ბიურომ განიხილა კანონპროექტი, რომელიც ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილების გამიჯვნას შეეხება.

აღარც "მეთაური", აღარც "პრეზიდენტი"

აჭარა დიდია და ღია

მაია ჭალაგანიძე

ამ ადამიანს ორი ოდიოზური ფიგურის მემკვიდრეობა ერგო. ოღონდ, არა ქონების, არამედ გაკოტრებული ანგარიშებისა და ვალების სახით. ლევან ვარშალომიძის რწმუნებები აჭარის ტერიტორიაზე მხოლოდ 40 დღეს გავრცელდება. ეს გაცილებით რთული დღეები იქნება, ვიდრე რკინიგზის დეპარტამენტის უფროსის კომფორტულ კაბინეტში გაუტარებია. ეს დრო, ერთგვარად, რევოლუციური მთავრობის ტესტიც იქნება - ამ რეგიონში 13 წლის განმავლობაში ადამიანები დანარჩენი საქართველოსგან განსხვავებულ რეჟიმში ცხოვრობდნენ. ამიტომაც რეგიონის ხელისუფლებას ნდობის მოპოვებისთვის ასევე განსხვავებულ რეჟიმში მოუწევს მუშაობა.

გაგრძელება B1 გვერდზე

ბესო გელაშვილის ფოტო

ლევან ვარშალომიძე.

კანის ფესტივალის დღიური

"24 საათის" საკუთარი კორესპონდენტის რეპორტაჟი კანიდან

ემირ კუსტურიცა პრესკონფერენციაზე.

ვარდების რევოლუცია და ძველი პრობლემა

ეროვნული უმცირესობები საქართველოში

არნო ხიდირბეგიშვილი

საქართველო მეტ შერყევას ვეღარ გაუძლებს! სწორედ ამ შეგნებით იყო გაჯერებული 23 ნოემბრის ატმოსფეროც, რამაც, შემდგომში ბედნიერი შესაძლებლობა მოგვცა ამ მოვლენისთვის "ხავერდოვანი რევოლუცია" გვეწოდებინა (ღმერთმა ქნას უკანასკნელი!), სადაც **მხოლოდ ვარდები იყო ალისფერი და არა ადამიანთა სისხლი.**

ქართული ტემპერამენტი, კავკასიური ვაჟკაცობა და აღმოსავლური სიბრძნე გამოიჩინა ნოემბრის მოვლენების ყველა მთავარმა პირმა. ეს ფასეულობები ევროპელებად გახდომამაც არ უნდა დაგვაკარგვინოს. ჩვენი ღირებულებები ევროპის სახლშიც თან უნდა შევიტანოთ და ისევე უნდა გავამდიდროთ იგი, როგორც არაერთხელ გაგვიმდიდრებია მსოფლიო ჩვენი კულტურითა და ხელოვნებით.

ამგვარად, ოპოზიციამ ხალხისგან "კარტ-ბლანში" მიიღო, მოვიდა ხელისუფლებაში და. . . გაოცებულმა აღმოაჩინა, რომ სახელმწიფოში საქმე მართლაც ისე ცუდად ყოფილა, როგორც ადრე თავად აცხადებდა! რა გზას უნდა დაადგეს ახალი ხელისუფლება ამგვარ ვითარებაში? - ყველაფერი თავიდან, "სუფთა ფურცლიდან" უნდა დაიწყოს! ამაში იგულისხმება ახალი საშუალებებიც იმ ძველი პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც თან არ გაჰყოლია ძველ ხელისუფლებას.

გაგრძელება A3 გვერდზე

ირანული გაზსადენი: ახალი გეოპოლიტიკური ფაქტორი

რევაზ ბახტაძე

ირანი და სომხეთი გაზსადენის აშენებაზე შეთანხმდნენ, რომელიც პერსპექტივაში საქართველოს ტერიტორიის გავლით უკრაინას დაუკავშირდება. პროექტის განხორციელება დსთ-სა და აღმოსავლეთ ევროპაში გეოპოლიტიკურ ვითარებას მნიშვნელოვნად შეცვლის.

ხუთშაბათს დასრულდა მოლაპარაკებები სომხეთისა და ირანის მთავრობებს შორის და ერევანში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომელიც სტრატეგიული მნიშვნელობის გაზსადენის მშენებლობას ითვალისწინებს. ამ მილსადენით სომხეთი ირანულ გაზს მიიღებს.

გაგრძელება A5 გვერდზე

რუსეთი აფხაზეთში საკურორტო სეზონისთვის ემზადება

ეთერ მამულაშვილი

რუსეთი აფხაზეთში მოახლოებული საკურორტო სეზონისთვის აქტიურად ემზადება. გაგრაში, ბიჭვინთაში, სოხუმსა და ოჩამჩირეში განლაგებული სასტუმრო-პანსიონატების სარემონტო სამუშაოები თითქმის უკვე დასრულებულია. უკანასკნელი რამდენიმე დღეა რუსული ტელეკომპანიებით ვრცელდება სარეკლამო რგოლები, რომლითაც ტურისტული კომპანიები და ფედერაციის სხვადასხვა სტრუქტურები მოსახლეობას აფხაზეთის სანაპირო ზოლში დასვენებას სთავაზობენ. ამ ბოლო დროს რეგიონში თურქეთის ეკონომიკური აქტივობაც შეიმჩნევა.

გაგრძელება A3 გვერდზე

პოლიტიკა

ოპოზიცია აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნების ბოიკოტით იმუქრება

მემარჯვენე ოპოზიცია აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნების ბოიკოტით იმუქრება. "მრეწველები-ახლების" ლიდერები, დავით გამყრელიძე და ზურაბ ტყემალაძე აცხადებენ, რომ აღნიშნულის თაობაზე აჭარაში მოქმედ თავიანთ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს მოეთათბირებიან და საბოლოო გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მიიღებენ.

A3

ეკონომიკა

მსოფლიო ბანკი კორუფციაშია ჩაფლული

"აშშ-ს სენატის საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარის რიჩარდ ლუგარის აზრით, მსოფლიო ბანკის სტრუქტურებში არსებულმა კორუფციამ შეიძლება 100 მილიარდ დოლარს გადააჭარბოს", - იტყობინება საინფორმაციო სააგენტო "როიტერი". ამ ფაქტის პარალელურად კი, უკვე აქტიურად ალაპარაკდნენ, რომ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელის პოსტზე ამერიკის სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი მოიაზრება.

A4

უცხოეთი

ერაყის სინდრომი

ერაყში აშშ-ს თავდაცვის მინისტრის დონალდ რამსფელდის მოულოდნელ ჩასვლას შედეგად მოვლენების ასევე მოულოდნელი სცენარით განვითარება მოჰყვა. გუშინ დილიდანვე, აშშ-ს შეიარაღებულმა ძალებმა შიიტების წმინდა ქალაქ ნეჯეფზე მიიტანეს შეტევა.

A5

საზოგადოება

რა აინტერესებთ პარლამენტარებს და რამდენი ბავშვია მზად მეხუთე კლასში გადასასვლელად

როდესაც ორი წლის წინ PISA-ტესტში გერმანელებმა ცუდი შედეგები აჩვენეს, პრესასა და ტელევიზიაში დებატები არ წყდებოდა - განათლება სახელმწიფოს უპირველეს პრიორიტეტად გამოცხადდა და მდგომარეობის გამოსწორებაში დიდი ენერგია ჩაიდო.

A6

სამართალი

ევროპელთა პრეტენზიებს იუსტიციის მინისტრი საფუძველს აცლის

"თბილისის მეხუთე საპყრობილე საქართველოს პენიტენციალურ სისტემას კი არ უნდა ეკუთვნოდეს, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტს უნდა გადაეცეს", - განაცხადა იუსტიციის მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა.

A7

ამინდი

თბილისი	19
ქუთაისი	23
ბათუმი	21
სოხუმი	22
ფოთი	24
თელავი	16
ზუგდიდი	24
გორი	16
ახმეტა	17
ჭიათურა	19
გაგრა	19

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.9400
ევრო	2.2902
გირვანქა სტერლ.	3.4061
რუბლი	0.0667

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 სიმბოლიკა
B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 კვირა B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

"თელასის" ხელმძღვანელობა პარლამენტს დახმარებას სთხოვს

ირაკლი ლილუაშვილის ფოტო

ნინო ბურჯანაძე აპირებს თელასს დაეხმაროს

გუშინ "თელასის" გენერალური დირექტორი დანგირას მიკოლაიუნასი პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს შეხვდა.

როგორც შეხვედრიდან გამოსულმა დანგირას მიკოლაიუნასმა განაცხადა, მისთვის მისასალმებელია ის ფაქტი, რომ პარლამენტის თავმჯდომარე კომპანიის პრობლემებით დაინტერესდა.

"ზამთრისათვის მზადება ზაფხულში უნდა იწყებოდეს. მოხარული ვარ, რომ პარლამენტის თავმჯდომარე ჩვენი პრობლემებით დაინტერესდა. როცა კომპანიის მიმართ მოთხოვნები არსებობს, ყველამ უნდა იცოდეს, რა პირობებში გვიწევს მუშაობა," - განაცხადა ნიკოლაიუნასმა.

პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრაზე "თელასმა" კომპანიის წინაშე არსებული რამდენიმე პრობლემა დააყენა:

მიკოლაიუნასმა ნინო ბურჯანაძეს აცნობა, რომ "თელასის" მსხვილი მომხმარებლები უარს ამბობენ "თელასის" ქსელიდან ელექტროენერგიის მიღებაზე და საბითუმო ბაზრისგან ელექტროენერგიის პირდაპირ მიღებაზე გადასვლას აპირებენ. მან პარლამენტის თავმჯდომარეს მსგავსი ფაქტების აღკვეთა სთხოვა, რადგან ეს უარყოფითად მოქმედებს კომპანიის შემოსავლებზე.

ამასთან, "თელასი" პარლამენტს სისხლის სამართლის კოდექსში სათანადო პასუხისმგებლობის გათვალისწინებას სთხოვს, რათა აღიკვეთოს მრიცხველების დატაცების ფაქტები.

რაც შეეხება ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფს - განაცხადი, რომელიც "თელასმა" სემეკ-ში შეიტანა, ტარიფის უპირობო გაზრდას არ გულისხმობს. მიკოლაიუნასის თქმით, ის გათვლილია არსებულ ფინანსურ გაანგარიშებაზე და გადასახადების გამარტივების შემთხვევაში ეს პრობლემაც ადვილად გადაიჭრება.

მიკოლაიუნასის თქმით, თბილისში ელექტროენერგიის ტარიფის მომატების საკითხი ჯერ კიდევ ღიად რჩება. არ არის დაზუსტებული, რა განაკვეთით შეიძლება გაიზარდოს ტარიფი.

"ყველაფერი ეს მოსახლეობაზე და მომხმარებლის გადახდის მაჩვენებლებზე იქნება დამოკიდებული. მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური ყველამ უნდა გადაიხადოს," - განაცხადა მიკოლაიუნასმა.

შეხვედრაზე აგრეთვე ისაუბრეს "თელასის" წინაშე საბიუჯეტო ორგანიზაციების დავალიანებისა და საბითუმო ბაზრის 9-ე ენერგობლოკის მიმართ არსებული 51 მილიონი ლარის დავალიანების დაფარვის შესაძლებლობაზე.

24 საათი

8 ქართველი მებაჟე აშშ-მექსიკის საზღვარზე გაივლის სტაჟირებას

საქართველოს "წითელი ხიდის", "ყაზბეგის", "ვალეს", "ფოთის პორტის" და "სარფის" საბაჟო-გამშვები პუნქტების 8 მებაჟე 17 მაისიდან სტაჟირებას გაივლის აშშ-მექსიკის საზღვარზე მდებარე ერთ-ერთ სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე.

როგორც "პრაიმ-ნიუსს" საბაჟო დეპარტამენტის საზოგადოებასთან და მას-მედიასთან ურთიერთობების სამმართველოდან აცნობეს, სტაჟირებაზე ლექციებს წაიკითხავენ აშშ-ს ქვეყნის შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტის სპეციალისტები.

სასწავლო კურსი 7 დღეს მოიცავს და გათვალისწინებულია ჰიდალგოს გამშვებ პუნქტზე პრაქტიკული მეცადინეობები; კერძოდ, ტვირთების შემოწმება, რადიაციის პეიჯერებისა და უმაღლესი ტექნოლოგიური ხელსაწყოების გამოყენება, ანტიტერორიზმისა და მასობრივი განადგურების იარაღის აღმოჩენა, სასაზღვრო პატრულირების ოპერაციები, დახურული სივრცის გამოაშკარავება. სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ ქართველ მებაჟეებს სპეციალური სერთიფიკატები გადაეცემათ. პარასკევსვე საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომრის მრჩეველმა ტომას ქალამმა სტაჟირებაში მონაწილე მებაჟეებს თვითმფრინავის ბილეთები გადასცა. პროექტი ხორციელდება აშშ-ს საბაჟო სამსახურის დაფინანსებით, 1998 წლიდან მოქმედი პროგრამის "საქართველოს საზღვრის დაცვისა და კანონიერების გამტკიცების" ფარგლებში. გასულ წელს აშშ-მექსიკის საზღვარზე სპეციალური სასწავლო კურსი 5 საბაჟო-გამშვები პუნქტის უფროსმა გაიარა.

პრაიმ-ნიუსი

ჩოლოქის ზღვისპირა ზოლში 6 ნაღმი გააუვნებელყვეს

შინაგანი ჯარის სპეციალურმა გამნაღმველთა ბრიგადამ გუშინ, აჭარა-გურიის ადმინისტრაციულ საზღვართან, ჩოლოქის ზღვისპირა ზოლში გააუვნებელყო 6 ნაღმი. როგორც შინაგანი ჯარის პრესცენტრის წარმომადგენელი ალექსანდრე საგინაშვილი აცხადებს, შინაგანი ჯარის სპეციალურმა საინჟინრო ბრიგადამ ჩოლოქის შავიზღვისპირა ზოლში 4 ტანკსაწინააღმდეგო და 2 ქვეითი ნაღმი აღმოაჩინა. მისივე განცხადებით, 3 ნაღმი გააუვნებელყვეს, დანარჩენი 3 კი ადგილზევე ააფეთქეს. საინჟინრო ბრიგადის ხელმძღვანელის ნოდარ ღვინიაშვილის განცხადებით, შესაძლოა, აჭარა-გურიის საზღვრის პერიმეტრზე კიდევ იყოს დანაღმული ტერიტორიები. ადგილობრივ მოსახლეობას ვთხოვთ, აქტიურად ითანამშრომლონ საინჟინრო ბრიგადის ხელმძღვანელობასთან მოსალოდნელი ინციდენტების თავიდან აცილების მიზნით", - აცხადებს საინჟინრო ბრიგადის მეთაური.

ინტერ-პრესი

მკვლელობა ვარკეთილში

გუშინ დილით ვარკეთილის რაიონში მდებარე ერთერთ სუპერმარკეტში მისულ თანამშრომლებს საზარელი სურათი დახვდათ. დარაჯი, რომელიც მათ ღამით დატოვეს, მოკლული იყო. როგორც გაირკვა, მძარცველებმა, რომლებმაც მაღაზიაში სარდაფიდან გათხრილი გვირაბით შეაღწიეს, დარაჯს, რომელმაც მათ წინააღმდეგობა გაუწია, თავში ბლაგვი საგანი ჩაარტყეს. გივი სუხიაშვილისთვის მიყენებული ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა. როგორც გაირკვა, მაღაზიიდან გატაცებულია სხვადასხვა სახის საქონელი. სამართალდამცველებს მაღაზიის ქურდობასა და დარაჯის მკვლელობაში ეჭვმიტანილები არ ჰყავთ. სავარაუდოდ, გივი სუხიაშვილის მკვლელობის საქმეს გახსნის პერსპექტივა არც აქვს, რადგან მომხდარის ერთადერთი თვითმხილველი თავად გარდაცვლილი გახლდათ.

24 საათი

გენერალი ვაშაკიძე საქმის მასალების გაცნობას ითხოვს

"გაერთიანებული ქართული ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თანათავმჯდომარის თამაზ მაღლაკელიძის გატაცებაში ბრალდებული გენერალი გია ვაშაკიძე სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის მოთხოვნით უკვე 21-ე დღეა, რაც შიმშილობს.

როგორც "ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დარბაზის" წევრი დოდო გუგუშაშვილი აცხადებს, შიმშილობის აქციის დაწყების შემდეგ ვაშაკიძეს გამომძიებელი არ შეხვედრია. მისივე თქმით, თუ დაკავებულის მოთხოვნა ორი დღის განმავლობაში არ დაკმაყოფილდება, ვაშაკიძის ოჯახის წევრები შს სამინისტროს შენობასთან დაიწყებენ შიმშილობას.

ინტერ-პრესი

ლაგოდეხს ეპიდემია ემუქრება

"ლაგოდეხის სანიტარული ინსპექცია გაფრთხილებთ - ლაგოდეხში სასმელი წყალი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშია!" - ასეთი სკანდალური განცხადება გააკეთა უწყების ხელმძღვანელმა ნუკრი ხატიაშვილმა, რის გამოც რაიონის მოსახლეობა პანიკამ მოიცვა.

კახეთი ბოლო რამდენიმე წელია, გაზაფხულის პირას დიდი პრობლემის წინაშე დგება. ძლიერი წვიმებისა და მოჭარბებული ნალექების გამო, ხშირად ხდება სასმელი წყლის დაბინძურება. ამჯერად კი მაისის გახშირებულმა წვიმებმა სერიოზული საფიქრალი გაუჩინა ლაგოდეხელებს. სასმელი წყალი, რომელიც რაიონის მოსახლეობას არც თუ ისე ხშირად მიეწოდება, როგორც ლაგოდეხის სანიტარულ ზედამხედველობის სამსახურში აცხადებენ, სერიოზულად დაბინძურებულია და მისი დალევა ჯანმრთელობისთვის საშიშია. **"ამ დროისთვის სასმელი წყლის ბაქტეოროლოგიური დაბინძურების მხრივ კოლი-ინდექსმა 240-ს მიაღწია, ეს მაშინ, როცა ამ მაჩვენებლის ნორმა სამია,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბარში სანიტარული ზედამხედველობის უფროსმა ნუკრი ხატიაშვილმა. ამ ყველაფრის მიზეზად ხატიაშვილმა სათავე ნაგებობების განადგურება დაასახელა. ნაგებობები ორი წლის წინ მოიშალა და რაიონის ხელმძღვანელობამ ეს საკითხი დღემდე ვერ მოაგვარა. **"ამის შესახებ ჩვენს უწყებას გამგეობის სხდომებზე არაერთხელ წამოუჭრია საკითხი, მაგარამ უშედეგოდ. ამჯერად კი სანიტარული ზედამხედველობის სამსახურმა უკვე უკიდურეს ზომებს მივმართეთ და ავუკრძალეთ მოსახლეობას სასმელი წყლის გამოყენება,"** - ამბობს ხატიაშვილი.

ლაგოდეხის სანიტარულ სამსახურში წყლის დაბინძურების ერთ-ერთ მიზეზად სისტემაში ქლორის არასწორ დოზირებასაც ასახელებენ. უნდა აღინიშნოს, რომ ქლორის შესაძენად რაიონის ბიუჯეტში სპეციალურად თანხებია გამოყოფილი. ამჯერად კი, როგორც "24 საათს" ნუკრი ხატიაშვილმა სატელეფონო საუბარში განუცხადა, ამ პრობლემის მოგვარება "იეღოველებმა" ითავეს, რასაც კატეგორიულად უარყოფს ლაგოდეხის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი მზია ჯაფარიძე. იგი იქვე იმასაც აცხადებს, რომ მდგომარეობა ისეთი საგანგაშო არ არის, როგორსაც სანიტარული ზედამხედველობის სამსახური ხატავს.

ზვიად რუაძე, კახეთიდან

საპროტესტო აქცია ბათუმში

ბათუმის ცენტრალური ბაზრის მოვაჭრეებმა პარასკევს ქალაქის ადმინისტრაციის შენობასთან საპროტესტო აქცია გამართეს ბათუმის მერის ედვარდ სურმანიძის მიერ ბაზრის დირექტორის პოსტზე როსტომ შერვაშიძის დანიშვნის გამო, თუმცა თავად ქალაქის მერი ამ დანიშვნას უარყოფს. აქციის მონაწილეთა განცხადებით, როსტომ შერვაშიძე აჭარის ავტონომიის ყოფილი მეთაურის ასლან აბაშიძის ხელისუფლებაში მუშაობდა და ასეთი ადამიანები აღარ უნდა ინიშნებოდნენ თანამდებობაზე.

როგორც ედვარდ სურმანიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ბაზრის დირექტორის პოსტზე შერვაშიძე არ დაუნიშნავს. სურმანიძის თქმით, შერვაშიძემ ხუთშაბათს დანაშაული ჩაიდინა, რადგან კარები შეამტვრია და ბაზრის ოფისი დაიკავა; შერვაშიძე აცხადებს, რომ ხელმძღვანელი უნდა იყოს, რაც არ მოხდება.

მერის განცხადებით, ამ საქმეს გამოძიებისთვის პროკურატურას გადასცემს და ყველა ამგვარი ქმედების ორგანიზატორი დაისჯება. სურმანიძის განცხადებით, მან ბაზრის დირექტორის პოსტზე "ყველაზე ნეიტრალური ადამიანი", ყოფილი ვაჭრობის მუშაკი" ალექსანდრე პეშკოვი წარადგინა.

პრაიმ-ნიუსი

თამბაქოს ნაწარმი და კანონი

თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობის შესახებ კანონი, რომელიც წინა პარლამენტმა შარშან მიიღო, შეიძლება, გაუქმდეს. ფინანსთა სამინისტრო მიიჩნევს, რომ ეს კანონი არასრულყოფილია და, შესაბამისად, მომზადდა მისი ცვლილებების პროექტი. ეს ეხება როგორც თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობის კონტროლს, მოვაჭრეთა ლიცენზირების წესებს, ისე შეზღუდვებს, რომლებიც თამბაქოს ნაწარმში ნიკოტინისა და ფისის შემცველობას ეხება. მკაცრი შეზღუდვების შემოღებამ შარშან მეწარმეთა პროტესტი გამოიწვია, რის გამოც კანონის ამოქმედებაც მაშინ ერთი წლით გადავადდა. ფინანსთა სამინისტროს შეფასებით, ბევრი შეზღუდვა "უნდა გადაისინჯოს".

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე დეპუტატმა შოთა გვენეტაძემ კომიტეტს ამ კანონის გაუქმება და ახალი კანონის შემუშავება შესთავაზა. კომიტეტის წევრთა უმრავლესობამ მის წინადადებას მხარი დაუჭირა და კანონის გაუქმების საკითხს პარლამენტის სხდომაზე დააყენებს.

მედია-ნიუსი

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები მთავრობის მხარდაჭერას ითხოვენ

ვახტანგ ბესელიას ფოტო

"ოქსფამი" - შეხვედრის ინიციატორი.

ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია "ოქსფამის" ინიციატივით, გუშინ, სასტუმრო "მარიოტში", საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების მიზნით, სამუშაო შეხვედრა გაიმართა. ფორუმის მიზანს ეკონომიკური პოლიტიკის ახლადდაწყებული პროცესის ხელშეწყობა და ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში საზოგადოებრივი მონაწილეობის გაძლიერება წარმოადგენდა.

ის, რომ მცირე ბიზნესისთვის ხელშეწყობა აუცილებლად საჭიროებს მთავრობის მხარდაჭერას - ცალსახაა. ამ დასკვნამდე გუშინ "მარიოტში" შეკრებილი სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები კიდევ ერთხელ მივიდნენ. სპეციალურად გუშინდელი შეხვედრისთვის, "ოქსფამის" დაფინანსებით, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა სამუშაო დოკუმენტი მოამზადა, რომელიც მიზნად ისახავდა, მოწვეული სტუმრებისათვის საქართველოში არსებული მცირე ბიზნესის გარემოს რეალური სურათი ეჩვენებინათ. მაღალი საგადასახადო განაკვეთები, ფინანსური რესურსების ხელმიუწვდომლობა, საკანომდებლო ბაზის რეალური არარსებობა, ბიუროკრატიული ბარიერები, არასახარბიელო საინვესტიციო გარემო, არასტაბილურობა, კონტრაბანდა და სხვა - ეს იმ პრობლემების ჩამონათვალია, რაც მცირე ბიზნესის განვითარებას უშლის ხელს.

სპეციალისტების თქმით, მიკროსაფინანსო ინსტიტუტია ის ძირითადი საბაზისო ორგანიზაცია, რომელიც ფინანსურად კვებავს მცირე ბიზნესს. დასკვნა ასეთია: მიკროფინანსების სფეროში აუცილებლად უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილებები. 2005 წლის დეკემბრისთვის ამზადებენ კანონპროექტს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ. შეგახსენებთ, რომ "ქემონიქს ინტერნეიშენლმა" საკანონმდებლო ცვლილებები შეიმუშავა. სპეციალისტების თქმით, ეს ცვლილებები რაც შეიძლება ოპერატიულად უნდა განხორციელდეს.

" პრაქტიკულად, დღეს იქმნება ახალი ეკონომიკური პოლიტიკა. ადრე ეს მხოლოდ გარკვეული სამთავრობო წრის მიერ კეთდებოდა, რაც აბსოლუტურად იზოლირებული იყო საზოგადოებისა და ამ სფეროში მოღვაწე ორგანიზაციებისგან. ჩვენ ამ სტერეოტიპს ვანგრევთ და ვამბობთ, რომ ეს რეკომენდაციები, რაც ახლა შევიმუშავეთ, არის საზოგადოების მოსაზრება", - განაცხადა "ოქსფამის" პროგრამის მენეჯერმა ქეთი გეთიაშვილმა.

მცირე ბიზნესის განვითარება რომ უმუშევრობის შემცირების პირდაპირპროპორციულია, ამაში ექსპერტები ერთსულოვნები არიან. სამაგიეროდ, ექსპერტთა უმრავლესობის შეფასებით, მცირე ბიზნესის განვითარება სიღარიბის შემცირებასა და ეკონომიკის ზრდაზე გავლენას არ ახდენს. ექსპერტების ასეთმა შეფასებამ გუშინდელ შეხვედრაზე აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. "ოქსფამის" წარმომადგენლების განმარტებით, მათი ორგანიზაცია ეთანხმება იმ პოზიციას, რომ მცირე ბიზნესის განვითარება არის ქვეყანაში სიღარიბის დაძლევის სწრაფი და იაფი საშუალება და ხელს უწყობს ეკონომიკის სწრაფ ზრდას.

საზოგადოების კვლევის ცენტრის წარმომადგენლის გია ჟორჟოლიანის და მცირე ბიზნესის განვითარების ფონდის წარმომადგენლის ბესიკ შენგელიას განმარტებით კი, მცირე ბიზნესი, რომელიც თვიურად 63-ლარიან შემოსავალს გულისხმობს, ვერანაირად ვერ დაძლევს სიღარიბეს, თუმცა ამ სფეროში დასაქმებული ადამიანების საყოფაცხოვრებო დონის გაუარესებას შეაჩერებს. მათივე მტკიცებით, სიღარიბის დასაძლევად უმთავრესი როლი მაინც მსხვილ წარმოებას აკისრია.

გუშინდელ შეხვედრაზე მომზადებული რეკომენდაციები უახლოეს მომავალში შესაბამის უწყებებს გაეგზავნებათ. შეხვედრის ორგანიზატორების ვარაუდით, მთავრობას ეძლევა შანსი, რომ პრიორიტეტად არაერთხელ აღიარებული სფეროს ხელშეწყობისთვის რეალური ნაბიჯები გადადგას.

სოფიკო ოხანაშვილი

ჩვენი პატიმრების საქმის განხილვა დასრულდა

მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში გუშინ ჩეჩენი პატიმრების საქმის განხილვა დასრულდა. ბადრაგისთვის წინააღმდეგობის გაწევაში ბრალდებულ ჩეჩნებს სასამართლო განაჩენს უახლოეს დღეებში გამოუტანს. .

აბდულხამიდ ალიევს, გიორგი კუშტანაშვილს, ახმედ ისაევის, ასლანბეგ ხანჩუკაევსა და ახმედ მაგამედოვის ბრალი ედებათ მე-5 საპყრობილეში 2002 წლის 4 ოქტომბერს ბადრაგისადმი დაუმორჩილებლობასა და მათთვის წინააღმდეგობის გაწევაში.

შეგახსენებთ, ამ დღეს ბადრაგს საკნიდან გაჰყავდა რუსეთისთვის გადასაცემი ხუთი ჩეჩენი პატიმარი. სწორედ მაშინ იქ მყოფმა 15-მდე პატიმარმა საპყრობილის თანამშრომლებს წინააღმდეგობა გაუწია. ამ ბრალდების გამო პროკურორმა განსასჯელებისთვის ხუთწლიანი პატიმრობა მოითხოვა, ხოლო ადვოკატებმა - მათი დაცვის ქვეშ მყოფთა გამართლება-გათავისუფლება.

როგორც ჩეჩენი პატიმრების ადვოკატი მანანა კომახიძე აცხადებს, საქმეში არ არსებობს მტკიცებულებები, რომ კონკრეტულად აღნიშნულმა განსასჯელებმა გაუწიეს წინააღმდეგობა ბადრაგს. გარდა ამისა, ყველა მოწმე, რომელიც საქმეზეა დაკითხული, დაინტერესებული პირია, ვინაიდან №5 საპყრობილის თანამშრომლები არიან. ადვოკატების კიდევ ერთი არგუმენტი, რის გამოც ჩეჩენი პატიმრები მართლმსაჯულებამ უნდა გაამართლოს ის გახლავთ, რომ "საკნის დათვალიერების ოქმში არ არის დაფიქსირებული რკინის ნაჭრები, რომლებიც, ბრალდების თანახმად, პატიმრებმა გამოიყენეს. არსებობს ვარაუდი, რომელიც გამოძიებას არ გაუქარწყლებია, რომ რკინის ნივთები საქმეში გამოძიების მსვლელობისას აღმოჩნდა და ისინი საკნიდან არ ამოუღიათ", - აცხადებს ადვოკატი

24 საათი

მექა ხანგოშვილი: ჩეჩენი დევნილები რუსეთს ფარულად გადასცეს

ჩეჩენი ეროვნების ლტოლვილები გაერო-ს მიერ მათი მესამე ქვეყანაში გადაყვანის პროცესისთვის ხელის შეშლაზე საუბრობენ. ამის შესახებ გუშინ არასამთავრობო ორგანიზაციის "ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე თავად ჩეჩნებმა და ორგანიზაციის წევრებმა განაცხადეს.

პრესკონფერენციაზე საქართველოში გაერო-ს ერთ-ერთი წარმომადგენელი ნავიგ ჰუსეინი და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი ეთერ ასტემიროვაც იყვნენ მიწვეულნი.

როგორც ჩეჩენთა დიასპორის წარმომადგენელმა მექა ხანგოშვილმა განაცხადა, დევნილების დაცვა საქართველოში უკიდურესად რთულდება. მისი თქმით, ახალი ხელისუფლების მიერ, ბოლო პერიოდში, რამდენიმე ჩეჩენი ეროვნების მოქალაქე რუსეთის ფედერაციას ფარულად გადაეცა.

რუსეთ-საქართველოს საზღვრებზე ერთობლივ პატრულირებას ჩეჩნები მათთვის სახიფათოდ მიიჩნევენ. "არის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გაერო-ს უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელთა მიერ მესამე ქვეყნებში, ჩეჩნების სახელით, არაჩეჩენი ეროვნების მოქალაქეები გადაჰყავთ", - აღნიშნა მექა ხანგოშვილმა. პანკისში ჩეჩენი ეროვნების მოქალაქეები საკუთარი პრობლემების დროულად გადაჭრის მოთხოვნით შიმშილობენ.

გაერო-ს წარმომადგენელი ნავიგ ჰუსეინი მესამე ქვეყნებში ჩეჩენი ეროვნების მოქალაქეთა სახელით სხვა ეროვნების მოქალაქეთა გადაყვანის ფაქტებს უარყოფს და დასძენს, რომ თუკი მსგავსი ფაქტების შესახებ ჩეჩნებს ინფორმაცია გააჩნიათ, ეს გაერო-ს ოფიციალურ წარმომადგენლებთან უნდა განაცხადონ. ნავიგ ჰუსეინი ჩეჩნებს პრობლემების ერთობლივად განხილვას შეჰპირდა. **ინტერ-პრესი**

მიხეილ სააკაშვილი რუმინეთში

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ, სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით, რუმინეთში გაემგზავრა. ვიზიტის პირველ დღეს სააკაშვილი რუმინეთის პრეზიდენტს იონ ილიესკუს პირისპირ შეხვდა, საუბრის დასრულების შემდეგ კი პრეზიდენტების მეთაურობით საქართველოს და რუმინეთის ოფიციალურ დელეგაციათა მოლაპარაკებები გაიმართა.

პრეზიდენტმა მოინახულა ანთიმოზ ივერიელის სახელობის მონასტერი, შემდეგ კი რუმინეთის სენატში გაემგზავრა და სენატის პრეზიდენტს ნიკოლაე ვაკაროიუს შეხვდა. საქართველოს პრეზიდენტი შეხვდა რუმინეთის დეპუტატთა პალატის პრეზიდენტს ვალერ დორნეანუს და პრემიერ-მინისტრ ადრიან ნასტასეს.

ვიზიტის მეორე დღეს სააკაშვილი "ნატო-ს სახლში" გაემგზავრება, სადაც დაგეგმილია მისი გამოსვლა თემაზე - "საქართველო და მისი ევროატლანტიკური მიზნები". მოგვიანებით, მიხეილ სააკაშვილი და რუმინეთის პრეზიდენტი ქართველ და რუმინელ ბიზნესმენებს შეხვდებიან.

საქართველოს პრეზიდენტი საქართველოში 16 მაისს საღამოს დაბრუნდება.

აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციათა ლიგის ინიციატივით კონფერენცია გაიმართება

15-16 მაისს ჟურნალისტთა სახლში აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციათა ლიგის ინიციატივით გაიმართება კონფერენცია, რომელზეც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დამატებითი არჩევნების, საქართველოს პარლამენტში აფხაზეთიდან დევნილთა წარმომადგენლობის არჩევის პერსპექტივებს, აუცილებლობისა და შესაძლებლობის საკითხებს განიხილავენ.

კონფერენციაზე ძირითად მოხსენებას აფხაზეთიდან დევნილ არასამთავრობო ორგანიზაციათა სახელით გააკეთებენ მოძრაობა "დაბრუნების" თავმჯდომარე მალხაზ პატარაია და კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ხმალაძე.

დაგეგმილ დისკუსიაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სახელმწიფო მინისტრები გოგა ხაინდრავა და გურამ აბსანძე, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თემურ მჟავია, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლონდერ ცაავა, პარლამენტარები კოტე გაბაშვილი, რომან გოცირიძე, კობა დავითაშვილი, გიგა ბოკერია, ბესო ჯღუღელი, დავით გამყრელიძე, ზურაბ ჯგუბურია, გია გვაზავა და აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციათა და საზოგადოებრივი მოძრაობების წარმომადგენლები.

ინტერ-პრესი

ორი სიტყვით

თბილისი. ევროსაბჭოს გენერალური მდივნობის კანდიდატი ტერი დევისი, წინასაარჩევნო ტურნეს ფარგლებში, საქართველოში ვიზიტს 8 ივნისისთვის გეგმავს. წინასწარი ინფორმაციით, ევროსაბჭოში საქართველოს დელეგაცია სწორედ დევისის კანდიდატურას დაუჭერს მხარს. მისი კონკურენტი ევროსაბჭოს ამჟამინდელი გენერალური მდივანი ვალტერ შვიმერი იქნება, თუმცა ბოლო დროს გართულებული ურთიერთობის გამო, იგი საქართველოს წარმომადგენლების მხარდაჭერას არ უნდა ელოდოს. **მედია-ნიუსი**

თბილისი. საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით, ოთარ ქველიძე სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსად დაინიშნა. ოთარ ქველიძე 1 მარტიდან დღემდე სახელმწიფო დაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად მუშაობდა. **ინტერ-პრესი**

ბათუმი. ბათუმის ნავსადგურის ახალი ხელმძღვანელი თემურ მიქელაძე პორტის სრულ სტრუქტურულ ცვლილებას გეგმავს. თემურ მიქელაძემ აცხადებს, რომ იგი მაქსიმალურად ეცდება, საქართველოს ხელისუფლების დავალება შეასრულოს და გაზარდოს პორტის შესაძლებლობები. მისივე თქმით, ბათუმის ნავსადგურში მოხდება შტატების შემცირება, რაც მაქსიმალურად ობიექტურად ჩატარდება. თემურ მიქელაძე ბათუმის ნავსადგურის ხელმძღვანელის პოსტზე ბათუმის მერმა ედვარდ სურმანიძემ ხუთშაბათს წარადგინა. **პრაიმ-ნიუსი**

თბილისი. საქართველოს ეროვნული ბანკის მთლიანი საერთაშორისო სავალუტო რეზერვები მაისისთვის, მიმდინარე წლის ოთხ თვეში 35,4 მილიონი აშშ დოლარით გაიზარდა და მან 216,6 მილიონი დოლარი შეადგინა. **ინტერ-პრესი**

თბილისი. საქართველოს ათი უმსხვილესი კომერციული ბანკის მთლიანი აქტივები 19,5 %-ით გაიზარდა. ბანკების პირველი სამეული ასე გამოიყურება - "თიბისი ბანკი", "საქართველოს ბანკი" და "გაერთიანებული ქართული ბანკი". საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს ინფორმაციით, 2004 წლის 1 აპრილს ათი უმსხვილესი კომერციული ბანკის მთლიანმა ვალდებულებებმა - 20,2%-ით, ხოლო სააქციო კაპიტალმა 16,9%-ით მოიმატა. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღონელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

აჭარას ავტონომიის სტატუსი უნარჩუნდება

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

თუმცა, ასლან აბაშიძისგან მიღებულ მწარე გაკვეთილს ცენტრი, როგორც ჩანს, ითვალისწინებს და დოკუმენტში დაზღვევის მექანიზმებსაც დებს - კანონპროექტის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია დაითხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, ან შეაჩეროს მისი საქმიანობა, თუ მისი მოქმედებით ქვეყნის სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე შეექმნება. საქართველოს პრეზიდენტს აჭარის უმაღლესი საბჭოს დათხოვნის უფლება იმ შემთხვევაშიც ენიჭება, თუ იგი პრეზიდენტის მიერ წარდგენილ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურას ზედიზედ სამჯერ არ დაამტკიცებს.

"ავტონომიურ რესპუბლიკას გარკვეული ფუნქციები რჩება, მაგრამ არა ისეთი ჰიპერტროფირებული, როგორიც წინა ხელმძღვანელობის ხელში ჩამოყალიბდა. ეს არის მცდელობა იმისა, რომ ცენტრსა და რეგიონს შორის კომპეტენციები ერთხელ და სამუდამოდ გაიმიჯნოს და სადავო აღარაფერი იყოს," - აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე. ამასთან, იგი კატეგორიულად უარყოფს ოპოზიციის ვარაუდს იმის თაობაზე, თითქოს აჭარისთვის ავტონომიური სტატუსის შენარჩუნების საკითხი საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთთან შეათანხმა.

როგორც აღვნიშნეთ, კანონპროექტი პარლამენტში გუშინ შევიდა და, ამდენად, დეპუტატები მას დეტალურად ჯერ არ გასცნობიან. ამისთვის მათ რამდენიმე დღე ეძლევათ და დოკუმენტის ირგვლივ მსჯელობას ისინი სამშაბათს, პლენარულ სხდომაზე შეუდგებიან.

მანამდე კი კამათი, ძირითადად, იმაზე მიმდინარეობს, მოესწრება თუ არა 20 ივნისისთვის დანიშნული, აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნების მაღალ დონეზე ჩატარება. ოპოზიციის მოთხოვნას, რომ არჩევნები შემოდგომისთვის გადაიდოს, ხელისუფლება მაინცადამაინც არ ეწინააღმდეგება. ეს, ალბათ, გასაგებია - ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, რომელი კომისია ჩაატარებს ამ არჩევნებს, რა სისტემით ჩატარდება იგი, რამდენპროცენტიანი იქნება ბარიერი და ა.შ

"მთავარი მიზანი, რისთვისაც არჩევნები საკმაოდ ადრე, 20 ივნისისთვის დაინიშნა, ის იყო, რომ რევოლუციური ციკლი რაც შეიძლება მალე დასრულებულიყო და ავტონომიური რესპუბლიკა მუშაობის ნორმალურ რეჟიმში გადასულიყო. თუ არჩევნების მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას ერთი თვის განმავლობაში მოვასწრებთ, მაშინ ის დადგენილ ვადაში გაიმართება, მაგრამ თუ კითხვის ნიშნები გაჩნდება, პრეზიდენტთან კონსულტაციებს გავმართავ და გამოსავალს ერთად მოვძებნით," - აღნიშნა გუშინ ბიუროს სხდომის დასრულების შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარემ. ნინო ბურჯანაძე გარკვევით ჯერ ვერც იმას ამბობს, სახელისუფლებო გუნდი აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნებზე "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" სახელით წარდგება თუ "ჩვენი აჭარის" დროშით.

თავად სხდომის გუშინ ჩატარება (პარლამენტის ბიურო, როგორც წესი, ორშაბათობით იკრიბება) კი იმ გარემოებამ განაპირობა, რომ დღეს ნინო ბურჯანაძე სტრასბურგში მიემგზავრება, სადაც ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების პარლამენტის თავმჯდომარეების შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას.

ოპოზიცია აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნების ბოიკოტით იმუქრება

მემარჯვენე ოპოზიცია აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნების ბოიკოტით იმუქრება. "მრეწველები-ახლების" ლიდერები, დავით გამყრელიძე და ზურაბ ტყემალაძე აცხადებენ, რომ აღნიშნულის თაობაზე აჭარაში მოქმედ თავიანთ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს მოეთათბირებიან და საბოლოო გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მიიღებენ.

თამაზ ტყემალაძე და დავით გამყრელიძე ისევ ბოიკოტით მანევრს მიმართავენ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲡᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

გამყრელიძის თქმით, პროტესტის ამ ფორმისთვის მიმართვას ოპოზიცია იმიტომ აპირებს, რომ "აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნების გარშემო ბევრი გაურკვევლობა არსებობს". კერძოდ, პარლამენტარის განცხადებით, დარღვეულია არჩევნების დანიშვნისა და ჩატარების თარიღებს შორის კანონით გათვალისწინებული 60-დღიანი ვადა; გაურკვეველია, რომელი სტრუქტურა გაუკეთებს ორგანიზებას არჩევნებს და მის ჩატარებაზე პასუხისმგებლობა ვის დაეკისრება; რამდენი დეპუტატი აირჩევა პარტიული სიებით და რამდენი - მაჟორიტარული წესით და ა.შ.

აღნიშნულის გარდა, გამყრელიძე და ტყემალაძე იმითაც არიან უკმაყოფილონი, რომ ძალიან მცირე დროა გამოყოფილი იმ კანონპროექტის განსახილველად, რომლითაც ცენტრისა და რეგიონის უფლებამოსილებები უნდა გაიმიჯნოს.

"ყველაფერი ეს იმისთვის კეთდება, რომ აჭარაში დღეს არსებული რევკომის ლეგიტიმაცია მოხდეს", - აღნიშნეს გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მემარჯვენე ოპოზიციის თავკაცებმა. მათ იმ გარემოებაზეც გაამახვილეს ყურადღება, რომ ავტონომიაში შემავალი რაიონების საკრებულოების და გამგებლების არჩევნები 20 ივნისს არ გაიმართება და ეს თანამდებობები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების დროს "დაკომპლექტდება".

"თუ ამის გაკეთება დასაშვებია, მაშინ, რატომ არ შეიძლება, რომ უზენაესი საბჭოს არჩევნებიც გადაიდოს და იგი შემოდგომაზე ჩატარდეს? - კითხულობს გამყრელიძე და თავის მიერ დასმულ კითხვას თავადვე პასუხობს, - **ხელისუფლებას ეშინია, რომ შემოდგომამდე მისი რეიტინგი დაეცემა და ისეთ შედეგს ვეღარ აჩვენებს, როგორსაც ახლა, რევოლუციური განწყობის პიკის დროს ვარაუდობს".**

აღსანიშნავია, რომ "მრეწველები-ახლები" იგივე არგუმენტით, თავის დროზე, საპარლამენტო არჩევნების ადრიან გაზაფხულზე ჩატარებასაც აპროტესტებდნენ, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან კარგად ჩანს, რომ მათი მაშინდელი გათვლები არათაობაზე ახალი არ არის და ეს იდეა მათ **"ჯერ კიდევ ბათუმში ყოფნის დროს დააფიქსირეს. ამდენად, ახლა კომპლექსების გარეშე შეუძლიათ ბრძოლა."**

"სამშობლოსათვის ბრძოლას" ნათელაშვილი უზენაეს სასამართლოში სარჩელის შეტანით აპირებს. "ლეიბორისტული პარტია" ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილების გაუქმებას მოითხოვს, რომლითაც "ლეიბორისტებს" რეფერენდუმის ჩატარების უფლება არ მიეცათ. ახლა ნათელაშვილის პარტია მთელი საქართველოს მასშტაბით აჭარის ავტონომიის ყოფნა-არყოფნის საკითხზე პლებისციტის ჩატარებას თანხმდება, მხოლოდ დროებით და იძულებით, რადგან, რა თქმა უნდა, პლებისციტს ის ძალა არა აქვს, რაც რეფერენდუმს. მაგრამ, "ლეიბორისტები" ამტკიცებენ, რომ რეფერენდუმის იდეას თავს ასე ადვილად არ დაანებებენ და მასზე სერიოზულად მუშაობას მაშინვე დაიწყებენ, როგორც კი საამისოდ ოფიციალური საფუძველი მეცემათ.

ასლანის ხშირი სტუმარი ავტონომიის წინააღმდეგ

ᲚᲔᲚᲐ ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ

"ლეიბორისტული პარტია", თავისი ლიდერის მეთაურობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელწოდებიდან სიტყვა "ავტონომიის" ამოსაღებად იბრძვის. ნათელაშვილს ასეთი შემართებისათვის რამდენიმე მიზეზი აქვს. **"აჭარას ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი არ უნდა ჰქონდეს, რამდენადაც ამ რეგიონში ისეთივე ქართველები ცხოვრობენ, როგორც მთელ დანარჩენ საქართველოში. აჭარა საქართველოს უძველესი კუთხე იყო, საიდანაც მთელს საქართველოზე ვრცელდებოდა კულტურა. ავტონომია კი ეროვნული უმცირესობისთვის შექმნილ ტერიტორიულ ერთეულს ნიშნავს, საიმისოდ, რათა ამ უმცირესობას თავისი კულტურის, ენის, რელიგიის განვითარების უფლება და საშუალება ჰქონდეს,"** - გვახსენებს ნათელაშვილი და დარწმუნებულია, რომ თავის დროზე, სახაროვის გამონათქვამმა - "საქართველო არის მცირე იმპერია", საქართველოსადმი საერთაშორისო საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულება განაპირობა, რასაც, თავის მხრივ, სოხუმისა და ცხინვალის დაკარგვა მოჰყვა(?!).

ნათელაშვილი სიტყვა "ავტონომიის" ამოღების ან მისი სხვა სიტყვით ჩანაცვლების მოთხოვნით პრეზიდენტს მიმართავს და, ამასთან, უფლებას აძლევს, რომ **"სანაცვლოდ აჭარას კანტონი, პრეფექტურა ან, თუნდაც, ოლქი დაარქვას".** ხოლო თუ საკაშვილი ამას არ გააკეთებს, ნათელაშვილის თქმით, **"მაშინ მას შეუძლია ღირსეული ადგილი დაიკავოს ლენინისა და ათათურქის გვერდით."** თუმცა, "შრომის პარტიის" ლიდერისათვის ამთავითვე ცნობილია, რომ მის მოწოდებას მიხეილ სააკაშვილი ყურად არ იღებს. კონკრეტული ფინანსურ-ეკონომიკური გარიგებების გარდა (რომლის მიხედვით, ბათუმის პორტი თუ სხვა სიმდიდრეები სოროსის ან კიდევ სხვების ხელში გადავა), სხვა მოტივებიც არსებობს. კონკრეტულად: **"სააკაშვილმა და ჟვანიამ იციან, რომ მათ მალე იგივე ბედი ეწევა, რაც შევარდნაძეს და ამიტომ, სათადარიგო აეროდრომს იმზადებენ ბათუმის სახით."** გუშინ ნათელაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, მათი ინიციატივა ავტონომიის გაუქმების ზუსტი აღმოჩნდა - საპარლამენტო არჩევნები აპრილში ან მაისში რომ გამართულიყო, როგორც ამას ოპოზიცია ითხოვდა, ამით საერთო სურათი მათ სასარგებლოდ ნამდვილად არ შეიცვლებოდა. იგივე სიტუაციაა ახლაც: გაუგებარია, აჭარაში არჩევნების ორი-სამი თვით გადადების შემთხვევაში ისეთი რა უნდა მოხდეს, რომ ავტონომიურ რესპუბლიკაში ვითარება ხელისუფლებისთვის უარესობისკენ შეიცვალოს?

გუშინდელ პრესკონფერენციაზე დავით გამყრელიძემ ისიც გააპროტესტა, რომ **"მმართველმა ძალამ აჭარაში პლებისციტის ჩატარების მოთხოვნას წაუყრუა".** ამის საფუძველზე პარლამენტარი გამოთქვამს ვარაუდს, რომ აჭარისთვის ავტონომიის შენარჩუნების საკითხში საქართველოს ხელისუფლება რუსეთს გაურიგდა.

თუმცა, თავისი ეჭვების შესახებ გამყრელიძე მხოლოდ ჟურნალისტებთან საუბრობს - პრესკონფერენციის დამთავრებისთანავე გამართულ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე ფრაქცია "მრეწველები-ახლების" ლიდერს მოსკოვთან შესაძლო გარიგების თაობაზე ვარაუდის ხმამაღლა გამოთქმა აზრადაც არ მოსვლია.

თვალსაზრისი

ვარდების რევოლუცია და ძველი პრობლემა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ახალი ხელისუფლება "სამემკვიდრეო ზანდუკში ქექვისას" აუცილებლად წააწყდება ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებულ ძველ "თაიგულს". ეს შეიძლება იყოს ელემენტარული სოციალური და საყოფაცხოვრებო პრობლემები, რაც საქართველოს მთელი მოსახლეობისთვისაც აქტუალურია.

თუმცა, ამ "თაიგულში" ისეთი მკვეთრი "სურნელის ყვავილებიც" ურევია, როგორებიცაა სამართლებრივი პრობლემები, ახალი კანონების მიღება, "ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვისა" და "სახელმწიფო ენის" უკვე არსებულ კანონპროექტებში ცვლილებების შეტანა, საქართველოს პარლამენტში ეროვნული ნიშნით კვოტირების საკითხი, თითქმის ყველა მსხვილ სათვისტომოში არსებული უთანხმოებები, ეროვნული ნიშნით პარტიების შექმნის მცდელობები, საქართველოში ახალი "ავტონომიების" დაარსების "ოცნებები" და სხვ.

ეს პრობლემები არც უეცრადაა გაჩენილი და მით უფრო - არც "ვარდების რევოლუციასთანაა" დაკავშირებული. ეს ძველი, მტკივნეული საკითხებია, რომლებსაც აჩუმათებდნენ და "ამწყვდევდნენ", ქართული ტოლერანტობის ფენომენს ამოფარებულები.

როდესაც დაავადების ნაცვლად მხოლოდ სიმპტომებს მკურნალობენ და მარტო ტკივილგამაყუჩებელ თერაპიას ატარებენ, და როცა მკურნალი ექიმიც ერთადერთია - მოხუცი გადაღლილი ანესთეზიოლოგი მორფიანი შპრიცით ხელში, მაშინ სულაც არაა ძნელი შედეგების გამოცნობა - ავადმყოფი ჯერ ნარკომანი ხდება, შემდეგ კი კვდება.

დარწმუნებული ვარ, რომ სამაჩაბლოც, აფხაზეთიცა და სადღეისოდ არსებული რეგიონალური პრობლემებიც უშუალოდ უკავშირდება წინა ხელისუფლების მიერ ეროვნულ უმცირესობათა პრობლემების გადაწყვეტაში ჩაღრმავების მოუწადინებლობას. ამ პრობლემების გადაწყვეტა კი, მერწმუნეთ, შესაძლებელია. "მგზავრი გზას გაიკვლევს!"

ამასობაში კი ეროვნულ უმცირესობათა თემას საქართველში ექსპლუატაციას უწევდა ყველა, ვისაც მოესურვებოდა. ამ თემას იყვნენ "შეთამაშებულნი", როგორც პირადი ინტერესების მქონე უცხოელი "კეთილი" ბატონი-სპონსორები, ისე "გახლიჩე და იბატონეს" პრინციპით მოქმედი ამხანაგები, ადგილობრივი ამბიციური კარიერისტები, ხელმოცარული პროფესიონალები, რომლებიც თბილად მოკალათდნენ სათვისტომოების, დიასპორების, წარმომადგენლობების, ასოციაციების, კავშირებისა და სხვა, დღეს მოდად ქცეულ არასამთავრობო ორგანიზაციებში (რომლეთა 80%-ც ყალბია). ეროვნულ უმცირესობათა ნამდვილი თუ მოგონილი პრობლემებით ისინი მოხერხებულად მანიპულირებდნენ და ხელისუფლებას ევაჭრებოდნენ თავიანთი პირადი ინტერესებისათვის: დეპუტატის მანდატისათვის, აღმასრულებელ ხელისუფლებაში სავარძლებისათვის, ადგილობრივი და უცხოური ფინანსებისათვის და მისთ.

ამ "შიშველ მეფეთა" უმრავლესობა მიზნის მისაღწევად დგამდა "შოუებს", მართავდა ეფექტური სახელწოდების სხვადასხვა ღონისძიებას, აქციას, კონფერენციას. აქედან "ორმაგ დივიდენდებს" იღებდნენ: ერთი მხრივ, ასეთი "სალაყბოებით" ბრუვდებიან ხელისუფლების წარმომადგენლები, რამდენადაც მათ უხატავენ წარმატებული საქმიანობისა და გარკვეულ ეროვნულ ჯგუფზე გავლენის სურათს. მეორე მხრივ კი, თვით ეროვნული უმცირესობები "იგიჟებენ თავს" და იკვეხნიან "გაშინაურებულობასა" და თავიანთ გავლენას სახელმწიფო სტრუქტურებში. სწორედ ამ ფსევდოლიდერთა ლოცვა-კურთხევით ეროვნულ უმცირესობათა საჭირბოროტო და მოგონილი პრობლემები ისეა ერთმანეთში არეული, რომ, როგორც იტყვიან, თვით ეშმაკიც კისერს მოიტეხს! სწორედ ეს გახლავთ მათთვის ხელსაყრელი - მღვრიე წყალში ხომ უფრო ადვილია თევზის დაჭერა. ამგვარად იქმნიან ისინი საზოგადოებრივ აზრს - "პაბლიკ რელეიშენ", ანუ პიარს.

როგორც კარამზინმა თქვა, "რუსეთს ორი უბედურება სჭირს - გზები და სულელები". საქართველოს მიმართ ამ სიტყვების ჩემეული პერიფრაზი ასეთია: **"საქართველოს ორი უბედურება სჭირს - გზები და ქოსატყუილები"**. მისი (კარამზინის) სხვა ერთსიტყვიანი გამონათქვამი კი - **"ხელმრუდობენ!"**, რომელიც გენიალურად გამოხატავს რუსეთის სახელმწიფოს მაშინდელ მდგომარეობას, თამამად და უცვლელად შეიძლება ჩვენს მიმართაც გამოვიყენოთ (ვიმედოვნებ, რომ საქართველოს ახალი პრეზიდენტი და მისი გუნდი არასაჭირბოროტოდ აქცევენ ზემომოყვანილ ორივე გამონათქვამს).

მაგრამ ეროვნულ უმცირესობათა "პარაზიტებს" შორის მოიძებნება, მართალია, მცირერიცხოვანი, მაგრამ ერთობ საშიში და საზიზღარი კატეგორია, რომელიც დაკავებულია ეთნოსთაშორისი, ხშირად ქართველების წინააღმდეგ მიმართული, შუღლის გაღვივებითა და ამაზე ხელის მოთბობით. საამისოდ ყველაფერს იყენებენ: გზებს, საგზაო პოლიციელს, ელექტროენერგიისა და პენსიების პრობლემებს, სიცივესა და სკოლებში სახელმძღვანელოების უკმარისობას. . . სამწუხაროდ, მიზეზების ძებნა დიდხანს არ უწევთ, სახელმწიფოში უამრავი სიძნელეა, საქმე ისაა, რა კუთხით წარმოაჩენ მათ! აქვე დავძენ, რომ ამ პროვოკატორებს უამრავი ჯურის დამხმარე ჰყავთ. ესენი გახლავთ ადგილობრივი და ცენტრში მოკალათებული კორუმპირებული ჩინოვნიკები, მასმედიის ზოგიერთი წარმომადგენელიც, რომელიც ასეთ მორალს ქადაგებს: "დღეს რეპორტაჟი იყოს და ხვალ - ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილა!". არიან, ასევე, პათოლოგიური ადამიანებიც, რომლებიც პირველყოფილ და ფაშისტურ ინსტინქტთა ერთგვარ სიმბიოზს ქადაგებენ; და კიდევ პროსტატიტითა და ჰემაროით გატანჯული მაღალჩინოსანი სახელმწიფო მოხელეებიც, რომელთაც სურთ პენსიას საკუთარ სავარძელში "მოესწრონ". მათ ხომ შესანიშნავად შეიგნეს წესი: "ინიციატივა ისჯება!" მათ მხოლოდ სარწეველა სავარძელი ენატრებათ ბუხართან და დაჭადრაკებული პლედი - მუხლებზე.

დასასრულს, მსურს რამოდენიმე გულითადი რჩევა გაგიზიაროთ.

პირველი რჩევა - ეროვნულ უმცირესობებთან სხვადასხვა გზით დაკავშირებულ ზემოჩამოთვლილ ყველა კატეგორიისათვის.

ბატონებო! თქვენ დანაღმულ მინდორზე დადიხართ, რომელიც თქვენ მიერვე დამზადებული შენელებული მოქმედების ნაღმებითაა გადავსებული! გახსოვდეთ, მენაღმე ცხოვრებაში ერთადერთხელ ცდება! შესაძლოა, დღევანდელ მრავალეროვან, მაგრამ ღარიბ საქართველოში ერთი-ორი ნაღმი მართლაც აფეთქდეს თქვენდა გასახარად. მაგრამ იცოდეთ: ვინც ამგვარი "სათამაშოებით" ერთობოდა, პირველ რიგში, თავადვე ფეთქდებოდა და ამის უამრავი მაგალითი იცის ისტორიამ.

მეორე რჩევა - საქართველოში მცხოვრებ ყველა ეროვნულ უმცირესობისათვის.

ძვირფასო მეგობრებო, ძმანო და დანო! გახსოვდეთ, რომ ჩვენ ყველა ერთად წარმოვადგენთ ერთ დიდ დიასპორას - საქართველოს მოქალაქეთა დიასპორას!

დედამიწაზე არ არსებობენ ცუდი და კარგი ერები! - არსებობენ მხოლოდ გონიერთა და უგუნურთა ერები (თუ ირგვლივ მიმოიხედავთ, თავადვე დარწმუნდებით, რომ მე მართალი ვარ)! ამიტომ:

1.ნუ ანდობთ თქვენს უფლებებსა და უფლებამოსილებას ლამაზად მოსაუბრე ყველა სუბიექტს - ჯერ დარწმუნდით, რომ ის ეროვნებით გონიერია და არა უგუნური;

2.თავად მიიღეთ აქტიური მონაწილეობა საქართველოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. საამისოდ გამოიყენეთ თქვენთვის ხელმისაწვდომი ყველა დემოკრატიული საშუალება - არჩევნები, რეფერენდუმები და სახალხო დიპლომატიის მეთოდები.

3.ნუ დაშორდებით ქართველებს, შეისწავლეთ ქართული ენა - ჩვენი ქვეყნისა და სტუმართმოყვარე ერის სახელმწიფო ენა, მით უმეტეს, თუ თქვენ გაქვთ ჯანსაღი ამბიციები, წარმოადგენდეთ თქვენს ერს ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე და მონაწილეობას იღებდეთ სახელმწიფოს მართვაში. თქვენი წინაპრები მრავალი საუკუნის წინ მოვიდნენ ამ მიწაზე, ამიტომაც ქართული ენის შესწავლა არავითარ პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს თქვენთვის.

4.თანდათანობით გათავისუფლდით იმ ნაძირალებისგან, რომლებიც თქვენს პრობლემებს თავიანთი ინტერესებისთვის იყენებენ. ენდეთ მხოლოდ ყველასათვს ღირსეულ და დამსახურებულ ენერგიულ ადამიანებს, რომლებიც თქვენი გულშემატკივრები არიან და ქართულიც იციან. თუ თქვენს ლიდერს (დეპუტატს, გამგებელს, სათვისტომოს ხელმძღვანელს), მიუხედავად პიროვნული თვისებებისა, სათანადოდ არ ეცოდინება სახელმწიფო ენა, მაშინ, მიბრძანეთ, როგორ, რა ენაზე გააგებინებს ყველას თქვენს პრობლემებსა და მოთხოვნებს? როგორ იბრძოლებს თქვენი უფლებებისათვის? ხომ არ შეიძლება პარლამენტმა, სახელმწიფო კანცელარიამ, სამინისტროებმა და უწყებებმა საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების ენა ისწავლონ! გჭირდებათ კი ასეთი "მუნჯი" ლიდერი?

5.გიყვარდეთ საქართველო, ეს მიწა-წყალი, სადაც ცხოვრობდით, ცხოვრობთ და კვლავაც იცხოვრებთ! როგორ არ გავიხსენოთ თქმულება ქართველზე, რომელსაც, რა საკვირველია, ქეიფის გამო მიწის დარიგებაზე დააგვიანდა და რადგან ღმერთს მიწები უკვე სულ დაერიგებინა, ქართველს თავისთვის გადანახული სამოთხისდარი კუთხე - საქართველო - უბოძა!

მესამე რჩევა საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილისა და მთელი მისი გუნდისთვის.

ღრმად პატივცემულო ბატონებო!

1.საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა მიმართ შეიმუშავეთ და გაატარეთ მყარი, მაგრამ, ამავდროულად, ფაქიზი პოლიტიკა;

2.შემოიკრიბეთ ენერგიული და მაღალკვალიფიციური გუნდი, რომელიც კიდევაც შეიმუშავებს ამ საკითხთან დაკავშირებულ პოლიტიკას და მთელი ქვეყნის მასშტაბით აღნუსხავს კიდეც ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შელახვისა და შევიწროვების ფაქტებს, ფორმებსა და ტენდენციებს, მოახდენს მათ კლასიფიცირებასა და ანალიზს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და რეაგირებისათვის გადასცემს შესაბამის ორგანოებს (კარგი იქნებოდა, თუ ეროვნულ უმცირესობათა საკითხებთან დაკავშირებით შეიქმნებოდა პრეზიდენტთან არსებული უფლებამოსილი სპეციალური საბჭო);

3.მკაცრად უნდა დაისაჯოს ყველა ის პირი, ვინც მხილებულია ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შელახვასა და ეთნოსთაშორისი შუღლის გაღვივებაში, მიუხედავად მათი ძველი დამსახურებისა და სამსახურებრივი მდგომარეობისა!

4.თავიდან მოიშორეთ ის ჩინოვნიკები, რომლებიც ცხოვრობენ პრინციპით: "ღვთის მადლით, ეს დღეც გადავაგორეთ!". იმ აზროვნებისგან განთავისუფლდით, რასაც "შინაურობა" (ლათ. ნეპოტიზმი) ჰქვია, რადგან ის ღუპავს ყოველგვარ კარგ წამოწყებას, სწორედ მისგან მოდის ყვალა უბედურება, კორუფცია, მის გამოა, რომ პატიოსანი და მაღალკვალიფიციური ადამიანები ვერ ხვდებიან ქვეყნის ხელისუფლებაში, სწორედ მათ დაწესეს ორი კრიტერიუმი - მოყვრობა ამა სოფლის ძლიერებთან და ფული!

5.უზრუნველყავით უფასო ქართული ენის სწავლება უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. გაიხსენეთ: "წერილ არს, რამე თუ არა პურითა ხოლო ცხონდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყუითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა" (მათე, 4,4). ამიტომ საღღეისოდ ეს უმთავრესი ამოცანაა, უფრო მნიშვნელოვნიც კი, ვიდრე რეგიონებში უმწვავესი სოციალურ-ყოფითი პრობლემების მოგვარებაა.

6.აუცილებელია სახელმწიფო ტელევიზიაში შეიქმნას ახალი პოლიტიკური მიმართულების ტელეგადაცემა რუსულ ენაზე საქართველოს იმ მოსახლეობისათვის, რომელიც ამა თუ იმ მიზეზის გამო ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ ფლობს ქართულ ენას, ისინი ნაკლებად არიან ჩართულნი ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ეს გახლავთ ერთადერთი საურთიერთო ენა რუსეთთან, კავკასიისა და დსთ-ს სხვა ქვეყნებთან (აღნიშნული გადაცემა კი ყველასათვის გასაგები უნდა იყოს).

გასათვალისწინებელია, რომ მსგავსი გადაცემები ჩვენს ტელეარხებზე ჯერჯერობით ძალზე ცოტაა, ახალი გადაცემა კი შეავსებს ცარიელ "ნიშას" იმ მოქალაქეებთან ურთიერთობაში, რომლებიც ენობრივი ბარიერით გამოწვეული ინფორმაციული ვაკუუმის ან, რაც უფრო უარესია - დეზინფორმაციის გამო ხშირად გვერდს უვლიან ჯანსაღ პროგრესულ ძალებს და თავიანთ სიმპათიებს მათ ანიჭებენ, ვინც მათთვის გასაგებ ენაზე მიაწვდის აზრებს. რასაკვირველია, დღეს, როდესაც თითქმის ყოველ ოჯახშია საკაბელო ტელევიზია მრავალი რუსულენოვანი არხით, ამისი პრობლემა არავისა აქვს. აი, ესეც თქვენ "პიარისა" და წაგებული "საინფორმაციო ომის" შესახებ!

ს.ს. “თელასი”AN აცხადებს ტენდერს კომპიუტერის შემდეგ აქსესუარებზე:

1. სისტემური ბლოკი - 33ც
2. მონიტორი HP V7550 17 “ბრტყელი”‘- *3 წლიანი გარანტიით* - 20ც
UPS –APC 475 – 15ც
პრინტერი HPLJ 9000N, მეხს: 256mb+დამატ. უჯრა - 1ც
პრინტერი HPLJ 9000N-ის, მეხსიერება 128 მბ - 1ც
პრინტერი 9000N-ის კარტრიჯები - 15ც
პრინტერი 9000N-ის ღუმელი კომპლექტში (რეზინებით) - 5ც

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ საქონელი უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება
შეუძლიათ 2004 წლის 18 მაისამდე; მისამართი:
თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული, კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილება.
ტელ: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 24 მაისი.

ს.ს. “თელასი”AN აცხადებს ტენდერს ბ/ც-ის სალაროებში ბუნებრივი ვენტელაციის და ტიხრების მოწყობაზე.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა მოგვმართონ ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53; დატოვონ თავიანთი შემოთავაზებები სს “თელასის” კანცელარიაში ან მობრძანდნენ სს “თელასის” კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;
თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული.
გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 24 მაისი.

ს.ს. “თელასი” გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის მასალა:

ცემენტი - 20ტ
ყვითელი ქვიშა - 30მ3
მოთითუებული თუნუქი - 200მ2
გადასახური მასალა ლინოკრონი - 500მ2
წყალემულსია - 500ლ
შველური N6 - 120მ
ლითონის ფურცლები 10მმ - 30მ2

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მასალა უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა მოგვმართონ ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53; დატოვონ თავიანთი შემოთავაზებები სს “თელასის” კანცელარიაში ან მობრძანდნენ სს “თელასის” კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;
თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული.
გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 19 მაისი.

ს.ს. “თელასი”AN აცხადებს ტენდერს სატრანსფორმატორო ჯიხურების რემონტზე.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა მოგვმართონ ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53; დატოვონ თავიანთი შემოთავაზებები სს “თელასის” კანცელარიაში ან მობრძანდნენ სს “თელასის” კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;
თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული.
გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 24 მაისი.

“ს/ს თელასის” განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

18 მაისს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:
დოდო აბაშიძის, კიტა აბაშიძის, აჯამეთის, ანაკლიის, ანთელავას, არაგვისპირელის, აღმაშენებლის გამზირის(ნაწილობრივ), ართვინის, ახალციხის, ახვლედიანის, ბენაშვილის, ბოდავის, ბურების, ბუხაიძის, ჩაისუბნის, ჩანჩიბაძის, ჩერნიშევსკის, ჩერქეზიშვილის, ციმაკურიძის, ჩიქობავას, ჩიტაიას, ჩუბინაშვილის, ნინო ჩხეიძის, უშანგი ჩხეიძის, დგებუაძის, დოქის, ერისთავის, ფაბრიციუსის, გაბისკირიას მოედანის, გამცემლიძის, გოცირიძის, გოგიბერიძის, გორკის, გრანელის, ჯავახიშვილის, კალანდარიშვილის, კალატოზის, კანკავას, კარდანახის, კიბალჩიჩის, კიევის, სერგო კლდიაშვილის, კრილოვის, კუმისის, ლენტეხის, მამარდაშვილის, მარჯანიშვილის, მაზნიაშვილის, ნათიშვილის, ნინოშვილის, ოსიაურის, პასტერის, პლატონის, ქედის, საარბრიუკენის მოედანის, სამოქალაქოს, სანკტ-პეტერბურგის, სანთლის, შემოვლის, სპარტაკის, სულიაშვილის, სუნდუკიანის, შურდულის, სხულუხიას, ტეტელაშვილის, ტირიფონის, თოიძის, ტოლსტოის, ტოვსტონოგოვის, ტურგენევის, ტყვიავის, ურიცკის, დიმიტრი უზნაძის, ვარციხის, ვერჰარნის, ვეძათხევის, ზურაბ ჭავჭავაძის, სოსო წერეთლის, წინამძღვრიშვილის, წმიდა ნიკოლოზის, ჭოროხის, ხეთაგუროვის, ვასო აბაშიძის, ათონელის, ბესიკის, ბროსეს, ფურცელაძის, ფხოვის, გრიბოედოვის(ნაწილობრივ), ჯამბულის, მიხეილ ჯავახიშვილის, ლაღიძის(ნაწილობრივ), ორბელიანის, ქუთათელაძის, რუსთაველის გამზირის(ნაწილობრივ), საქანელას, თაბუკაშვილის, ვირსალაძის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ხაზინის, ზუბალაშვილების(ნაწილობრივ), ჭანტურიას ქუჩების მაცხოვრებლებს.

18 მაისს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:
გურამიშვილის გამზირის(ნაწილობრივ), თემქის III მიკრორაიონის I და IV კვარტლების, თემქის IV მიკრორაიონის, თემქის IV კვარტალის, პეტრე ამირანაშვილის, გამყრელიძის, გარიყულის, ირემაშვილის, კაკაბაძის, სადმელის, სიხარულიძის, სამხედრო დასახლების, თიანეთის, ველისციხის, ძმები გარიშვილების ქუჩების მაცხოვრებლებს.

18 მაისს, 11.00-დან 17.00-სთ-მდე:
ვარკეთილი-3, მე-3 მიკრორაიონის მაცხოვრებლებს.

რუსეთი აფხაზეთში საკურორტო სეზონისთვის ემზადება

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ტურისტული ბიზნესის პარალელურად, რუსეთის სახელისუფლებო სტრუქტურები და სხვადასხვა კომერციული კომპანიები აფხაზეთის თვითგამოცხადებული რეპუბლიკის ტერიტორიაზე ეკონომიკურ საქმიანობას სულ უფრო და უფრო აფართოებენ. აფხაზეთში რუსული კაპიტალდაბანდებების შესახებ "24 საათი" დეტალურად ჯერ კიდევ გასული წლის ოქტომბერში წერდა. ნოემბრის რევოლუციის შემდეგაც რუსულ-აფხაზური წარმოება სწრაფი ტემპებით ვითარდება.

მოსკოვის მერის - ლუჟკოვის ინიციატივითა და დახმარებით, რამდენიმე დღის წინათ გულრიფში ასფალტის ქარხანა ამოქმედდა. სხვათა შორის, ასფალტის ქარხნის გახსნა 4 წლის წინათ იგეგმებოდა, მაგრამ ასფალტის დამზადებისთვის საჭირო მასალის - ბიტუმის არქონის გამო ეს ვერ მოხერხდა. აფხაზეთის ავტომაგისტრალების შეკეთების აუცილებლობასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვან ნაწილს აფხაზეთში რუსეთი აკონტროლებს. სანაპირო ზოლში მდებარე სანატორიუმები, სასტუმროების და დასასვენებელი სახლების უმრავლესობა რუს ბიზნესმენებს ან სამთავრობო სტრუქტურებს აქვთ გადაცემული.

წელს, იანვარ-თებერვალში, სოხუმის ხელისუფლებასთან რიგ-რიგობით აწარმოებდნენ მოლაპარაკებას რუსი გენერლები გაგრაში მდებარე დასასვენებელი სახლის "არქფონდის" თავდაცვის სამინისტროსთვის იჯარით გადაცემის თაობაზე. გენერლებმა - ისოვმა და ვლადიმიროვმა სეპარატისტთა მთავრობასთან შეთანხმებას მარტში მიაღწიეს. თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებისთვის საგზურებზე წელს სერიოზული ფასდაკლებაა გამოცხადებული. მათთვის საგზურის ღირებულება ოთხჯერ უფრო იაფია.

ორი თვის წინათ თავდაცვის სამინისტროს პირველი პირები სანატორიუმ "უკრაინას" იჯარით აღებას ცდილობდნენ, თუმცა, აფხაზური მხარის გადაწყვეტილებით, ის 30-წლიანი ვადით გადაეცა ფედერაციის ჯანდაცვის სამინისტროს.

დაბა ბიჭვინთაში განლაგებული სანატორიუმიდან, რომელიც რუსეთის ფედერაციის ატომური ენერგეტიკის სამინისტროს აქვს იჯარით აღებული, აფხაზური მხარე ყოველწლიურად 100.000 ათას ამერიკულ დოლარს იღებს.

ნოემბრის რევოლუციის შემდეგ პანსიონატი "ჩელუსკინელები" 25-წლინი იჯარით რუსეთის ფედერაციის ტრანსპორტის სამინისტროს გადაეცა. პანსიონატის თანამშრომელთა თქმით, აღნიშნულ ობიექტზე გარკვეული ინტერესები გააჩნიათ რუსეთის წინა მოწვევის სახელმწიფო დუმის დეპუტატებს, რომელთა ხელშეწყობითაც მოხდა საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება, ბოლო რამდენიმე კვირაა პანსიონატის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს.

სარემონტო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება გაგრის ცნობილ სანატორიუმებში - "ენერგეტიკასა" და "თბილისში" (ამ უკანასკნელს და სასტუმრო "გრუზიას" ამჟამად სახელები შეცვლილი აქვთ).

აპრილის დასაწყისში აფხაზეთში ჩასული იყო რუსეთის ფედერაციის საგანგებო საქმეთა სამინისტროს დელეგაცია, რომელიც მოლაპარაკებას ანარმოებდა თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მთავრობასთან განთიადში მდებარე დასასვენებელი სახლის - "განთიადის" იჯარით გადაცემის თაობაზე. აფხაზეთის უშიშროების მინისტრის ლევან კიკნაძის ინფორმაციით, მოლაპარაკებები ამჟამადაც მიმდინარეობს.

აპრილის დასაწყისში რუს ბიზნესმენებსა და აფხაზებს შორის ხელი მოეწერა კონტრაქტს, რომელიც სანატორიუმ "გრუზიას" ტერიტორიაზე არსებული დამწვარი შენობების აღდგენასა და იქ ახალი სანატორიუმის გახსნას ითვალისწინებს. თავად სანატორიუმი "გრუზია" დაახლოებით ორი წლის წინათ გადაეცა ბიზნესმენთა იმავე ჯგუფს, სადაც ჩატარდა ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული რემონტი. ხსენებულ სანატორიუმს უკანასკნელი ორი ზაფხულის განმავლობაში ბევრი დამსვენებელი სტუმრობს. გამონაკლისი არც წლევანდელი ზაფხული იქნება.

აფხაზეთის უშიშროების სამინისტროს ხელთ არსებული ინფორმაციით, წელს სეპარატისტთა ლიდერი სტალინის დასასვენებელი სახლის - ცნობილი "ხოლოდნაია რეჩკას" გაყიდვას აპირებს. ამ ცოტა ხნის წინათ არძინბას ეს ინიციატივა პრემიერმა ხაჯიმბამ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტს გააცნო. ხაჯიმბას თქმით, "ხოლოდნაია რეჩკას" ყიდვით ერთ-ერთი უცხოელი ინვესტორია დაინტერესებული, რომელიც მზად არის ხსენებულ ობიექტში 9 მილიონი ამერიკული დოლარი გადაიხადოს. უშიშროების სამინისტროს ინფორმაციით, საუბარია რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენზე, კომპანია "საბაზო ელემენტის" პრეზიდენტზე ოლეგ დერიპასკუზე. არძინბას პარლამენტს ამ საკითხზე გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

სოხუმის სეპარატისტული ხელისუფლების უახლოეს გეგმებში შედის გაგრაში მდებარე ცნობილი სანატორიუმის - "რიწას" პრივატიზაცია, რომელიც 100 ათას ამერიკულ დოლარადაა შეფასებული.

აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკასთან ამ ცოტა ხნის წინათ მოლაპარაკებას აწარმოებდა რუსეთის ერთ-ერთი ჰოლდინგური კომპანია "Система-инвест", რათა ინვესტირება განხორციელებულიყო დასასვენებელი კომპლექსის - "Пицунда"-ს რეკონსტრუქციისთვის. მოლაპარაკების თანახმად, რუსულმა კომპანიამ დასასვენებელ კომპლექსში დაახლოებით ერთი მილიონი დოლარის ინვესტიცია უნდა ჩადოს. ამჟამად მხარეები მოგების განაწილების შესახებ ცდილობენ გადაწყვეტილების მიღებას. "Пицунда"-ს ღირებულება, სეპარატისტული მთავრობის შეფასებით, 12 მილიონ ამერიკულ დოლარს აჭარბებს.

ზოგიერთი საკურორტო-დასასვენებელი კომპლექსები დროებით სარგებლობაში აქვთ ისეთ ცნობილ კომპანიებს, როგორიც არის "Минатом", "Миноборона", "Лукойл", "Газпром".

რუსების გარდა, სეპარატისტთა რეგიონში ამ ბოლო დროს თურქებიც გააქტიურდნენ.

აფხაზეთის უშიშროების სამინისტრომ მაისის პირველ რიცხვებში სოხუმის ნავსადგურში თურქული გემი "ოგლი" დააფიქსირა, საიდანაც საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნების გადმოტვირთვა ხდებოდა. მოგვიანებით იმავე გემით თურქებმა ტყვარჩელში მოპოვებული ქვანახშირი და ხე-ტყის მასალა გაიტანეს.

ტყვარჩელის ყველაზე მდიდარი საბადოებიდან ქვანახშირის მოპოვებაზე ექსკლუზიური უფლება გასული წლიდან ერთ-ერთ თურქულ კომპანის აქვს მიცემული. აღსანიშნავია ერთი გარემოება, ამ ფაქტმა თავის დროზე რუსები სერიოზულად აღაშფოთა. მათ სეპარატისტულ ხელისუფლებას აფხაზეთის ტერიტორიიდან თურქების გაძევება მოსთხოვეს. მეტიც, ერთ-ერთი ვიზიტის დროს რუსული დელეგაციის წევრებმა კატეგორიულად დასვეს საკითხი, რომ რუსეთის მხარესთან შეუთანხმებლად არ უნდა ხდებოდეს აფხაზეთში არსებული მნიშვნელოვანი ობიექტების უცხოური ფირმებისთვის გადაცემა.

თუმცა, მოგვიანებით მათივე დახმარებით თურქებმა დიდტონიანი გემების მისაღებად ოჩამჩირის ნავსადგური გააფართოვეს (ტყვარჩელის ქვანახშირი თურქებს, ძირითადად, ოჩამჩირედან გააქვთ). ლევან კიკნაძე ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში თურქებსა და რუსებს შორის სერიოზული გარიგება მოხდა.

აფხაზეთის სანაპირო ზოლში რუსებთან ერთად ამ ცოტა ხნის წინათ თურქებმა თევზის რეწვა დაიწყეს. გავრცელებული ინფორმციით, თურქ გავლენიან ბიზნესმენთა ჯგუფი ბიჭვინთის სანაპირო ზოლის ერთი ნაწილის პრივატიზებით არის დაინტერესებული. ბიჭვინთის ცნობილი სანატორიუმი "Голубая даль" არც თუ ისე დიდი ხნის წინათ თურქებმა შეისყიდეს. თურქები ძვირფასი ჯიშის ხეების მოჭრა, დამუშავებითა და გატანითაც არიან დაკავებულნი აფხაზეთში.

მსოფლიო ბანკი კორუფციაშია ჩაფლული

ᲓᲘᲐᲜᲐ ᲩᲐᲩᲣᲐ

"აშშ-ს სენატის საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარის რიჩარდ ლუგარის აზრით, მსოფლიო ბანკის სტრუქტურებში არსებულმა კორუფციამ შეიძლება 100 მილიარდ დოლარს გადააჭარბოს", - იტყობინება საინფორმაციო სააგენტო "როიტერი". ამ ფაქტის პარალელურად კი, უკვე აქტიურად ალაპარაკდნენ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელის სავარაუდო ცვლილებაზე, ამ პოსტზე ამერიკის სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი მოიაზრება.

ლუგარის სიტყვებით, მის ხელთ არსებული ექსპერტული მონაცემები იმაზე მეტყველებენ, რომ სხვადასხვა პროგრამების განსახორციელებლად 1946 წლიდან გადაცემული 26-დან 130-მდე მილიარდი დოლარი სულ სხვა მიმართულებით იქნა გამოყენებული. **"საბანკო სტრუქტურების კორუფცია ისევ სერიოზულ პრობლემად რჩება,"** - აღნიშნა ლუგარმა. იგი ამტკიცებს, რომ ფინანსური ხარჯები, პირველ რიგში, უარყოფითად შეიძლება აისახოს იმ ღარიბ ქვეყნებზე, რომლებიც აღნიშნული ბანკის კრედიტებზე არიან დამოკიდებულნი.

უნდა აღინიშნოს, რომ უახლოეს პერიოდში მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელობაში დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი. გავრცელებული ხმების თანახმად, ყველაზე გავლენიანი მსოფლიო განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი შეიძლება გახდეს ამერიკის სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი. როგორც "ნიუ იორკ თაიმსი" წერს, ასეთი ხმები უკვე აქტიურად ვრცელდება საერთაშორისო საქმიან წრეებში.

როგორც გაზეთი აღნიშნავს, მსგავსი ვარაუდი მას შემდეგ გაჩნდა, რაც კოლინ პაუელმა მსოფლიო ბანკის ამჟამინდელ ხელმძღვანელთან - ჯეიმსონ ვულფენსონთან ერთად მის სახლში ისადილა.

თუმცა, ვულფენსონის განცხადებით, ეს მოსაზრებები სრული აბსურდია. **"ნაკლებად სავარაუდოა, რომ კოლინ პაუელი მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელი გახდეს,"** - განაცხადა მან. ამას გარდა, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა რიჩარდ ბაუჩერმა აღნიშნა, რომ მისი ხელმძღვანელი **"არც ეძებდა სხვა სამსახურს და არც მიუღია რაიმე წინადადება ამ საკითხთან დაკავშირებით."**

როგორც "თაიმსი" წერს, მიუხედავად ყველაფრისა, საბანკო წრეებში კოლინ პაუელის კანდიდატურას სრულიად მისაღებად მიიჩნევენ. ტრადიციის მიხედვით, მსოფლიო ბანკის პრეზიდენტს ამერიკის პრეზიდენტი ნიშნავს და თუ ბუში მეორეჯერ იქნება არჩეული პრეზიდენტად, სრულიად მოსალოდნელია მან მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელად საკუთარი სახელმწიფო მდივანი დანიშნოს. მაშინ პაუელი ამ ორგანიზაციის პირველი შავკანიანი პრეზიდენტი გახდება.

ერაყის სინდრომი

ერაყში აშშ-ს თავდაცვის მინისტრის დონალდ რამსფელდის მოულოდნელ ჩასვლას შედეგად მოვლენების ასევე მოულოდნელი სცენარით განვითარება მოჰყვა. გუშინ დილიდანვე, აშშ-ს შეიარაღებულმა ძალებმა შიიტების წმინდა ქალაქ ნეჯეფზე მიიტანეს შეტევა, სადაც ამბოხებულთა ლიდერი მოქთად ალ-სადრია გამაგრებული. ქალაქის ქუჩებში მთელი დღის განმავლობაში გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა. გუშინვე, კოალიციის სარდლობამ ლეგენდარული აბუ-ღრაიბის ციხის კარიბჭე გახსნა და სამასზე მეტი ერაყელი პატიმარი გაათავისუფლა. ამის მიუხედავად, საერთაშორისო საზოგადოებაში კრიტიკული დამოკიდებულება ვაშინგტონის მიმართ უფრო და უფრო ძლიერდება. თეთრი სახლის ერთგულ მოკავშირეს ბრიტანეთის პრემიერს კი უკვე თანაპარტიელები და მინისტრებიც საგარეო პოლიტიკური კურსის გადახედვას და ჯორჯ ბუშთან ერაყის საკითხში მეგობრობის შეწყვეტას ურჩევენ. მსოფლიოში ერაყის სინდრომი მძვინვარებს.

ლევან ღირსიაშვილი

თეთრ სახლი კი, როგორც ჩანს, უკან დახევას არ აპირებს. გუშინ დილიდანვე მძიმე ტექნიკა საბრძოლო ავიაციის თანხლებით ნეჯეფის ცენტრისკენ დაიძრა. ავტომატებით და ნაღმტყორცნებით შეიარაღებულმა ამბოხებულებმა ამ შეტევას ბრძოლით უპასუხეს. ჯერჯერობით, არ არსებობს ცნობები მსხვერპლის და დაჭრილების შესახებ. გუშინვე, სამმა ამერიკულმა ტანკმა ნეჯეფის სასაფლაოზე დაიკავა პოზიციები, საიდანაც იმამალის მეჩეთამდე რამდენიმე ასეული მეტრია დარჩენილი. პარალელურად, ბრძოლები ნეჯეფი-კუფას გზატკეცილზე მიმდინარეობდა. გუშინ კუფაში ამბოხებულთა ლიდერს მოქთად ალ-სადრის გამოსვლა იყო დაგეგმილი. ამიტომ, ამერიკელებმა ამ გზის გადაკეტვა დაისახეს მიზნად. გუშინვე კოალიციის ნაწილებმა ქერბელასაც შეუტიეს. ორივე ქალაქში სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობდა.

რამსფელდის ბაღდადური ვოიაჟის მეორე მნიშვნელოვან შედეგად უნდა ჩაითვალოს აბუ-ღრაიბის ციხიდან სამასზე მეტი ერაყელი პატიმრის გათავისუფლება. დაახლოებით ერთი კვირის წინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აბუ-ღრაიბის ციხეში 3800-მდე ერაყელი პატიმარი იმყოფებოდა. კოალიციის სარდლობის წარმომადგენლის და ციხის ზედამხედველად ახლად დანიშნული გენერალ-მაიორი ჯეფრი მილერის განცხადებით, დაგეგმილია პატიმრების შემცირება 1500-2000 კაცამდე. მილერმა ამ თანამდებობაზე ბრიგადის გენერალი ჯენის კარპინსკი შეცვალა, რომლის დროსაც ციხეში წამების სკანდალური ფაქტები იქნა დაფიქსირებული.

აბუ-ღრაიბის ციხე სამშაბათს თავად თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა მოინახულა. **"ჩვენ იქ თითქმის მთელი დღე დავყავით, გავესაუბრეთ ციხის ადმინისტრაციის პერსონალს და ვნახეთ, თუ რა ნაბიჯები იდგმება მდგომარეობის გამოსასწორებლად. ჩვენ აღებული გვაქვს პასუხისმგებლობა, რომ ციხეში მომხდარი წამების ფაქტები აღარ განმეორდება,"** - განაცხადა დონალდ რამსფელდმა.

არავინ იცის, გამართლდება თუ არა დონალდ რამსფელდის დანაპირები. ფაქტია, რომ აბუ-ღრაიბის ციხეში მომხდარი ტრაგედიით (იქ დაფიქსირებული წამების ამსახველ ფოტოკადრებს სხვა სახელი არ მოეძებნება) გამოწვეულმა საერთაშორისო შოკმა და სკანდალმა ვაშინგტონის იმიჯს უდიდესი დარტყმა მიაყენა. საერთაშორისო საზოგადოებამ სერიოზული ეჭვის ქვეშ დააყენა მსოფლიოს დემოკრატიის ფლაგმანად და ადამიანის უფლებების უპირველეს დამცველად აღიარებული ჰეგემონის დემოკრატიულობა. გარდა ამისა, მსოფლიო უკვე ხმამაღლა ლაპარაკობს ერაყის ომის უსამართლობაზე და ვაშინგტონის პოლიტიკის მარცხზე.

როგორც ცნობილია, თეთრი სახლი ერაყში სამხედრო კამპანიის დაწყებას ორი მთავარი არგუმენტით ხსნიდა:

- სადამ ჰუსეინი მასობრივი განადგურების იარაღს ფლობდა და მსოფლიოს მშვიდობას საფრთხეს უქმნიდა.

- ერაყში არსებული დიქტატორული რეჟიმი და სადამის სასტიკი ტირანია დემოკრატიული წყობით უნდა შეცვლილიყო.

პირველი არგუმენტი, უკვე კარგა ხანია, აღარ არსებობს და გაცამტვერებულია. ერაყში აკრძალული იარაღის კვალიც კი არ არის აღმოჩენილი. მეორე არგუმენტიც თითქმის უკვე გამქრალია. აბუ-ღრაიბის ციხეში ამერიკელი ჯარისკაცების მიერ ჩადენილმა დანაშაულმა წარმოშვა სამართლიანი კითხვა: ასეთი მეთოდებით აპირებს ვაშინგტონი ერაყში დემოკრატიის დამყარებას?

ერაყული წინააღმდეგობა გრძელდება.

"ჯარისკაცებმა საკნიდან შვიდი პატიმარი გამოათრიეს, ოთახის შუაგულში იატაკზე დაყარეს. შემდეგ ერთმა ჯარისკაცმა მოირბინა და ძირს დაცემულებს გულმკერდში წიხლით ცემა დაუწყო. ეს მან რამდენჯერმე გაიმეორა, პატიმრებს ზემოდან ახტებოდა, თითქოს მის წინ ადამიანები კი არა, შემოდგომის ფოთლების გროვა ყოფილიყო. ამის გაკეთება სხვა ჯარისკაცებსაც შესთავაზეს. შემდეგ პატიმრებს გაშიშვლება და მასტურბაციის დაწყება უბრძანეს, თავზე პლასტიკური პაკეტები ჩამოაცვეს. ჯარისკაცები ფეხებით ახტებოდნენ ტყვეებს ფეხის და ხელის თითებზე," - იუწყება გავლენიანი ამერიკული გაზეთი "ნიუ-იორკ ტაიმსი." გამოცემის გუშინდელ ნომერში დეტალურად არის აღწერილი ერაყელი პატიმრების წამება და ამერიკელი ჯარისკაცების სისასტიკე.

მართალია, მათ წინააღმდეგ უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება, მაგრამ ეს მომხდარს უკვე ვერაფერს შველის. გარდა ამისა, ჩნდება საკმაოდ ლოგიკური კითხვა: რომ არა საერთაშორისო პრესის და მედიის აქტიურობა, რომლის საშუალებითაც ნამების ამსახველი ფოტოების გამოქვეყნება მოხერხდა, მოეფინებოდა თუ არა დღის სინათლე აბუ-ღრაიბის ციხეში დატრიალებულ ტრაგედიას? დაინტერესდებოდა თუ არა აშშ-ს ხელისუფლება ამერიკელი ჯარისკაცების მოქმედებით? არავინ იცის. ფაქტია, რომ ადამიანთა წამებას ფარდა დემოკრატიულმა მედიამ ახადა და არა დემოკრატიული სახელმწიფოს რომელიმე სტრუქტურამ.

შეერთებული შტატების ხელისუფლება უკვე სერიოზული დილემის წინაშე დგას. ამერიკელი და ბრიტანელი ექსპერტები და ყოფილი სახელმწიფო მოღვაწეები გამოსავლის პოვნაზე მსჯელობენ.

"ერთადერთი, რაც შესაძლოა პოლიტიკური და ეკონომიკური ჩიხიდან გამოსავალი იყოს, ერაყიდან ჯარების გამოყვანა და გამათავისუფლებლის იმიჯის შენარჩუნების საბოლოო შანსია. ალტერნატივა კი ერთადერთია - კოლონიალური ტიპის მმართველობა, ერაყული წინააღმდეგობის და ძალადობის, აქამდე არნახული სასტიკი ამერიკული ოკუპაციის და, საბოლოოდ, ანტი-ამერიკული რეჟიმების წარმოშობა," - აცხადებს ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორი და რუსეთის მკვლევარი სტივენ კოენი.

"უპირველესი, რაც უნდა გავაცნობიეროთ, არის ის, რომ ერაყში დღეს წამყვან ძალას ნაციონალიზმი წარმოადგენს. ამ ნაციონალიზმმა უკვე შეცვალა ერაყელთა მადლიერება ამერიკელთა, როგორც განმათავისუფლებლების, მიმართ," - აცხადებს საუდის არაბეთში ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს რეზიდენტურის ყოფილი შეფი რეი ქლოუზი, რომელიც დაზვერვაში 27 წლის განმავლობაში მსახურობდა. ის ერაყული ჩიხიდან ერთადერთ გამოსავალს შეერთებული შტატების ხელისუფლების ცვლაში ხედავს.

შექმნილი ვითარების გარშემო მსჯელობს შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი ჯიმი კარტერიც, რომლის ვრცელი წერილიც გუშინ "ვაშინგტონ პოსტში" დაიბეჭდა. **"შეერთებულმა შტატებმა უნდა აღიდგინოს თავისი სტატუსი, როგორც თავისუფლების და ადამიანის უფლებათა დამცველი ჩემპიონი ქვეყნის,"** - აცხადებს კარტერი.

ყოველივე ამის მიუხედავად, აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში უკან არ იხევს. მან კონგრესს ოფიციალური წერილით მიმართა და ერაყში სამხედრო მოქმედებისათვის დამატებით 25 მილიარდი დოლარის გამოყოფა სთხოვა. როგორც ჩანს, მას ბოლომდე ბრძოლა აქვს გადაწყვეტილი. თუკი ის შეუძლებელს შეძლებს და ერაყში ვითარების ნორმალიზებას მოახდენს (რაც დღევანდელი გადასახედიდან უკვე ფანტასტიკის სფეროა), ნოემბრის არჩევნებში გამარჯვების შანსი ექნება. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, მას ოვალური კაბინეტის დატოვება მოუწევს და ისტორიაში დამარცხებულის სახელით შევა. ამდენად, მისი მოქმედების მოტივი გასაგებია...

"ჩემი შვილი ჯორჯ ბუშის და დონალდ რამსფელდის ცოდვებს შეეწირა. ეს ხელისუფლებამ ჩაიდინა," - ეს სიტყვები რამდენიმე დღის წინ ერაყში სადისტურად მოკლული ნიკ ბერგის მამას, მაიკლ ბერგის ეკუთვნის. ის პირველი მშობელია, რომელმაც შვილის დაღუპვისათვის პასუხისმგებლობა პრეზიდენტს დააკისრა. მის მაგალითს მალე ბევრი მიბაძავს, რაც საბოლოოდ დაადასტურებს, რომ მსოფლიოში ერაყის სინდრომი მძვინვარებს.

ირანული გაზსადენი: ახალი გეოპოლიტიკური ფაქტორი

ჰირველი გვერდიდან

მაღალი თანამდებობის პირების თქმით, 140-კილომეტრიანი მილსადენის მშენებლობა ამ წლის ბოლოს დაიწყება და ორ წელიწადში დასრულდება. აღსანიშნავია, რომ მხარეებმა სომხეთზე გამავალი 40-კილომეტრიანი მონაკვეთის ღირებულება არ გაახმაურეს. მანამდე, ექსპერტები ამტკიცებდნენ, რომ ამგვარი მილსადენის სომხეთის ტერიტორიაზე აშენება, დაახლოებით, 120 მილიონი ამერიკული დოლარი დაჯდებოდა. რაც შეეხება ირანის მონაკვეთს, იქ ინფრასტრუქტურა არსებობს და სომხეთთან დასაკავშირებლად მცირე მონაკვეთია ასაშენებელი.

"ამ ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკებები 12 წელიწადს გრძელდებოდა და ის რეალობად მხოლოდ დღეს იქცა," - აღნიშნა სომხეთის ენერგეტიკის მინისტრმა არმენ მოვსისიანმა ხელმოწერის ცერემონიალის დროს, რომელსაც ირანის ნავთობისა და გაზის მინისტრი ბიჟან ზანგანი ესწრებოდა.

მოვსისიანის თქმით, სომხური მხარე თავის წილს თავად დააფინანსებს. მისივე ინფორმაციით, დაფინანსებაში მონაწილეობას მიიღებენ სხვა დონორებიც, რომელთა დასახელებისაგან მან თავი შეიკავა.

სომხეთისთვის ამ გაზსადენს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. სომხეთი, საქართველოს მსგავსად, მხოლოდ ერთ მომწოდებელზე - რუსეთზეა დამოკიდებული. გაზსადენის აშენების შემდეგ, ერევანი მოსკოვის "კაპრიზებს" ნაკლებად გაუწევს ანგარიშს.

შარშან სომხეთმა რუსეთიდან 1.2 მილიარდი კუბური მეტრი გაზის იმპორტი მოახდინა. პროექტის თანახმად, სომხეთი პირველ ეტაპზე 700 მილიონ კუბურ მეტრს მიიღებს, ხოლო მოგვიანებით ეს მაჩვენებელი 1.5 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაიზრდება. ჭარბი გაზი რეექსპორტისთვის იქნება გამოყენებული, სავარაუდოდ, საქართველოში.

როგორც "ინტერ-ფაქსი" იუწყება, სომხეთი მოხმარებული გაზის საფასურს ელექტროენერგიით გადაიხდის - ერთი კუბური მეტრი ირანული გაზი 3 კილოვატ/საათ სომხურ ელექტროენერგიაზე გადაიცვლება.

უკრაინული კვანძი

ირანიდან გაზის მოწოდების ალტერნატიული წყაროს გაჩენით დიდ დაინტერესებას ღიად გამოხატავს უკრაინა, რომელიც ასევე ცალმხრივად არის დამოკიდებული რუსულ "გაზპრომზე".

ხელშეკრულების ხელმოწერამდე ერთი დღით ადრე, კიევს სომხეთის პრემიერ-მინისტრი ანდრანიკ მარქარიანი ეწვია. მისი თქმით, სავსებით რეალურია სომხეთიდან საქართველოს ტერიტორიისა და შავი ზღვის ფსკერის გავლით უკრაინის მიმართულებით გაზსადენის გაგრძელება. მან უკრაინას მშენებლობის დაფინანსებაში მონაწილეობისაკენ მოუწოდა. [რუსეთიდან შავი ზღვის გავლით თურქეთში] "ცისფერი დინების" გაზსადენის აშენების შემდეგ, ზღვაში გრძელი მილსადენების მშენებლობა ფანტაზიას აღარ წარმოადგენს," - განაცხადა მინისტრმა.

სომხეთში უკრაინის ელჩმა ვლადიმირ ტიაგლომ კი "ნეზავისიმაია გაზეთას" ინტერვიუში განუცხადა, რომ კიევი "დაინტერესებულია ირანიდან გაზის მოწოდების ალტერნატიული წყაროს შექმნით".

პროექტის მომხრეების თქმით, გაზსადენის უკრაინისაკენ აშენებით დაინტერესებას გამოხატავს, აგრეთვე, ევროკავშირი, რომლის დამოკიდებულება რუსულ გაზზე ყოველწლიურად იზრდება. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბრიუსელში ირანული გაზის ევროპაში ექსპორტის თურქული გზაც აქტიურად განიხილება.

სომხეთზე და საქართველოზე გამავალი გაზსადენის აშენება ხელს აძლევს თურქმენეთსაც, რომელსაც საკუთარი გაზის საექსპორტო ალტერნატიული გზა გაუჩნდება. ამჟამად, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, თურქმენული გაზის ექსპორტი მხოლოდ რუსეთის გავლით ხორციელდება.

აღსანიშნავია, რომ ირანი და თურქმენეთი გაზის მარაგების მიხედვით, მეორე და მესამე ადგილზე იმყოფებიან.

2000 წელს "ვნიპიტტრანსგაზმა" ირანი-სომხეთი-საქართველო-უკრაინა-ევროპის გაზსადენის მშენებლობის პერსპექტივა შეისწავლა. პროექტის თანახმად, სუფსიდან ყირიმში მდებარე ქალაქ ფეოდოსიამდე 550-კილომეტრიანი წყალქვეშა სადენი უნდა აშენდეს. "უკრაინიან მონიტორის" ვებგვერდი იუწყება, რომ უკრაინის სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ მთლიანი პროექტი 1 მილიარდ ამერიკულ დოლარად შეაფასა. ამ მეგამილსადენით ყოველწლიურად 60 მილიარდი კუბური მეტრი გაზის ექსპორტი უნდა მოხდეს, საიდანაც 10 მილიარდი კ/მ მხოლოდ უკრაინაში დარჩება.

ძლიერი მოწინააღმდეგეები

ირანიდან სომხეთში გაზსადენის აშენებას, დიდწილად, ამერიკის პოზიცია აფერხებდა. თეირანთან დაძაბული ურთიერთობების გამო, ვაშინგტონი ამგვარი პროექტის დაფინანსებაზე უარს აცხადებდა და ერევანს დიპლომატიურად მიანიშნებდა, რომ თავშეკავება გამოეჩინა. ამერიკა რეგიონში მხოლოდ შაჰდენიზის გაზსადენის მშენებლობას ლობირებს, რომლის ექსპლუატაცია ასევე 2006 წლის ბოლოდან უნდა დაიწყოს.

თუმცა, ახლა შეიძლება ითქვას, რომ ამ პროექტის კიდევ უფრო დიდი მოწინააღმდეგე რუსეთია. რუსეთის მმართველ ელიტაში პოპულარულია "ლიბერალური იმპერიის" კონცეფცია, რომლის თანახმად, მოსკოვმა საბჭოთა კავშირის ყოფილ სახელმწიფოებსა და ევროკავშირზე, პირველ რიგში, ევროგაერთიანების ახალ წევრებზე გავლენა გაზისა და ელექტროენერგიის მეშვეობით უნდა მოახდინოს.

პუტინის პრეზიდენტობის დროს ეს, ფაქტობრივად, კრემლის ოფიციალურ საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიად გადაიქცა. მოსკოვი დაჟინებით ცდილობს საკუთარი მეზობლების გაზისა და ელექტროგამანაწილებელი სისტემების ხელში ჩაგდებას. ამ თვალსაზრისით, მოსკოვმა არა მარტო დსთ-ში, არამედ აღმოსავლეთ ევროპაშიც საკმაო წარმატებებს მიაღწია, სადაც რუსული გიგანტი "გაზპრომი" რამდენიმე ქვეყნის გაზგამანაწილებელ კომპანიებს ფლობს.

ამას გარდა, ევროკავშირში გაზის მოხმარება ყოველწლიურად მკვეთრად მატულობს, შესაბამისად, იზრდება ევროპული ქვეყნების დამოკიდებულება რუსეთზე. სხვადასხვა შეფასებებით, 2010 წლისთვის ევროკავშირის მოხმარებული გაზის, დაახლოებით, 60 პროცენტი სწორედ რუსული წარმოშობის იქნება.

ამდენად, ირანული გაზსადენის აშენება, პირველ ყოვლისა, მოსკოვის ინტერესებში არ შედის, რომელიც დსთ-სა და ევროპის ბაზარზე გაბატონებულ პოზიციებს დაკარგავს.

რუსულ პრესაში სომხეთის მიმართ მუქარანარევი სტატიები უკვე გამოჩნდა. გუშინწინ, სომხეთის პრეზიდენტის მოსკოვში ვიზიტამდე ერთი დღით ადრე, "ნეზავისიმაია გაზეტამ" კოჩარიანი პრორუსული პოლიტიკიდან გადახვევაში დაადანაშაულა. სტატიაში მუქარანარევი ტონით არის აღნიშნული, რომ სომხეთის ოპოზიციის აქტიურობის ფონზე, რომელიც პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვს, გამორიცხული არ არის, მოსკოვმა კოჩარიანის მხარდაჭერისაგან თავი შეიკავოს.

ბოლოთქმა

ძლიერი წინააღმდეგობის გამო, პირველ ყოვლისა - რუსეთის მხრიდან, პროექტი დაგეგმილ ვადებში შესაძლოა, ვერ განხორციელდეს. თუმცა, თუ პროექტის განხორციელებით ევროკავშირი აქტიურად დაინტერესდა, როგორც ამას სომხური და ირანული მხარე ვარაუდობს, მაშინ გაზსადენის აშენება არცთუ ისე შორეული მომავლის საქმეა.

რაც შეეხება საქართველოს, შაჰდენიზისა და ირანული გაზსადენის არსებობა, გარკვეულწილად, ჩვენს ინტერესებში შედის: მოწოდების სამი ალტერნატიული წყაროს (რუსეთი, აზერბაიჯანი, ირანი) არსებობა ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხს მკვეთრად გაზრდის. თუმცა, ამ პროექტებში მონაწილეებს კონფლიქტური ინტერესები გააჩნიათ, რომლის დაბალანსება თბილისისთვის, შესაძლოა, დამატებითი თავსატკივარი აღმოჩნდეს.

კორეის პრეზიდენტი თანამდებობას ინარჩუნებს

გუშინ სამხრეთ კორეის საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა პრეზიდენტის იმპიჩმენტის გადაწყვეტილება, რის შედეგადაც 12 მარტიდან დღემდე გადაყენებული რო მუ ჰიუნი კვლავ მოვალეობების შესრულებას შეუდგება.

მარტის თვეში, პრეზიდენტისადმი ოპოზიციურად განწყობილი ეროვნული კრების მიერ დაწყებული იმპიჩმენტის პროცედურა, პარასკევს რო მუჰენის გამარჯვებით დასრულდა. საკონსტიტუციო სასამართლომ, როგორც მოსალოდნელი იყო, არასაკმარისად მიიჩნია პრეზიდენტის გადაყენებისათვის წარმოდგენილი მტკიცებულებები და საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილება გააუქმა. მუ ჰიუნს, რომელმაც ამ პოსტზე ჯერ მხოლოდ ერთი წელი იმსახურა, ბრალდებათა მთელი სია ჰქონდა წაყენებული. მათ შორისაა კორუფციაში მონაწილეობა, თანამდებობის ბოროტად გამოყენება და საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა. საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა, რომ პრეზიდენტის ქმედება მისი გადაყენებისათვის საკმარის საფუძველს არ წარმოადგენს, თუმცა, ამასთანავე აღიარა, რომ რაღაც ნაწილში მან დაარღვია საარჩევნო კანონმდებლობა. რაც შეეხება კორუფციაში ბრალდებას - სასამართლომ ამ საკითხში მუ ჰიუნი სრულიად უდანაშაულოდ ცნო.

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტის გადაწყვეტილება 12 მარტს ეროვნული კრების ისეთი შემადგენლობის მიერ იქნა მიღებული, სადაც უმრავლესობა კონსერვატიულ ოპოზიციას ეკუთვნოდა. ამ გადაწყვეტილების მიღებიდან მოყოლებული, სეულში პრეზიდენტის მომხრეთა აღშფოთებული პროტესტი არ ჩამცხრალა და 15 აპრილს ხალხის განწყობა საპარლამენტო არჩევნებში პრეზიდენტის ერთგული პარტიისადმი ხმის მიცემით გამოიხატა. ვითარება რადიკალურად შეიცვალა - პრეზიდენტის მხარდამჭერმა "ური"-ს პარტიამ ერთპალატიან საკანონმდებლო ორგანოში 299 ადგილიდან 152 დაიკავა.

იმ დღიდან, რაც რო მუ ჰიუნი სახელმწიფო აგარაკზე იძულებითი არდადეგებით სარგებლობდა, სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობას პრემიერ-მინისტრი კო გონა ასრულებდა. გუშინდელი გადაწყვეტილებით კი, ქვეყანას ისევ არჩეული პრეზიდენტი მართავს. "ეს საერთო სახალხო გამარჯვებაა," - აცხადებს გახარებული პრეზიდენტი. მიმომხილველები ერთხმად აღიარებენ, რომ პრეზიდენტი მიღწეული გამარჯვების შემდეგ გაცილებით ძლიერი იქნება და ქვეყნის 2008 წლამდე მართვას მნიშვნელოვანი წინააღმდეგობის გარეშე შეძლებს.

რო მუ ჰიუნი დღეს უფრო ძლიერი ჩანს.

სამხრეთ კორეული სააგენტო "რენჰაპი" აღნიშნავდა, რომ, მართალია, საკონსტიტუციო სასამართლო პოლიტიკური ნეიტრალიტეტის შენარჩუნებისთვის იყო მოწოდებული, მაგრამ მასზე უდავოდ მოახდინა გავლენა რო მუ ჰიუნის მხარდამჭერი ამომრჩევლების აზრმა. ისინი კი დემოკრატი, აშშ-საგან დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის მქონე, ჩრდილოეთ კორეასთან დაახლოების მომხრე პრეზიდენტის დაბრუნებას ითხოვდნენ. პირველად მოხდა ისეთი შემთხვევა, როცა რო მუ ჰიუნის სახელით სამხრეთ კორეის საკონსტიტუციო სასამართლოს პრეზიდენტის მხარდამჭერნი მის წინაშე არანაირ განსაკუთრებულ მოთხოვნებს არ აყენებენ. ისინი თვლიან, რომ იგი კარგი ადამიანია და მის ადგილზე უფრო მეტს ვერავინ მიაღწევდა.

ყურადსაღებია რუსეთის საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრის გენერალური დირექტორის ვალერი ფიოდოროვის მიერ მოყვანილი მონაცემები - რუსეთის მოსახლეობის 54 პროცენტი ვ.პუტინის საპრეზიდენტო ვადის გაზრდის მომხრეა.

ლელა ანჯაფარიძე
საქართველოს საელჩო
რუსეთის ფედერაციაში

პუტინის რეიტინგის დინამიკა

ამა წლის 13 მაისს გამოქვეყნდა რუსეთის საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრის მონაცემები, რომელთა მიხედვითაც, ერთადერთი პოლიტიკოსი, ვისაც რუსეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ენდობა (58 პროცენტი), პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი გახლავთ. შედარებისათვის, 2000 წლის იანვარში, რუსეთის პრეზიდენტს მოსახლეობის 48 პროცენტი ენდობოდა, 2000 წლის დეკემბერში - 41 პროცენტი, 2003 წლის მაისში - 48 პროცენტი .

რუსეთის პრეზიდენტს მხარს უჭერს "ედინაია როსიას" მომხრეთა 82 პროცენტი, "სოიუზ პრავიხ სილ-"ის (სპს), ლდპრ-ისა და "როდინას" მომხრეთა 52 პროცენტი და კომუნისტური პარტიის (კპრფ) მომხრეთა 33 პროცენტი, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, მიუხედავად თავისი პოლიტიკური ორიენტაციისა, არა მათთვის მისაღები პოლიტიკური პარტიის ლიდერის მომხრეა, არამედ ქვეყნის მმართველის.

საგულისხმოა, რომ მეორე ადგილზეა საგანგებო სიტუაციების მინისტრი სერგეი შოიგუ, რომელსაც მოსახლეობის 25 პროცენტი უჭერს მხარს, მესამე ადგილზეა მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი (12 პროცენტი), მეოთხეზე კი - სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერი ვ. ჟირინოვსკი (12 პროცენტი).

კიდევ ერთი ავტორიტეტული სოციოლოგიური სამსახურის, "იური ლევადას ანალიტიკური ცენტრის" მონაცემებიც დაახლოებით იგივეა: ვ. პუტინი - 53 პროცენტი; ს. შოიგუ - 22 პროცენტი; ვ. ჟირინოვსკი - 15 პროცენტი; ი. ლუჟკოვი - 11 პროცენტი.

აღსანიშნავია, რომ სოციოლოგიური გამოკითხვების მიხედვით, აღნიშნული ოთხეული ლიდერობას თითქმის ორი წლის განმავლობაში ინარჩუნებს.

სტრატეგიული შეფასებების ინსტიტუტის დირექტორი ალექსანდრ კონოვალოვი ზემოხსენებული პოლიტიკური ლიდერების "რეიტინგულ სტაბილურობას" "რუსეთის ქალური პოლიტიკური ხასიათით" ხსნის. მისი თქმით, დასავლეთის ნებისმიერ სახელმწიფოში არჩევნები ყოველგვარი ემოციებისაგან თავისუფალი პროცესია. მოსახლეობა აცნობიერებს, რომ არჩევნები სხვა არაფერია, თუ არა იმ ბიუროკრატის არჩევა, რომელიც, მათივე ფულზე დაყრდნობით, კომფორტულ და სტაბილურ ცხოვრებას შეუქმნის. რუსეთში კი არჩევნები უფრო ერთგვარი "სასიყვარულო ისტორიაა". პუტინი უყვართ იმიტომ, რომ მტკიცე ხასიათი აქვს, კარგი სპორტსმენია, არ სვამს და ა.შ. შოიგუ უყვართ იმიტომ, რომ კატაკლიზმებისა და კატასტროფების ეპოქაში, მისი იმედი აქვთ. ლუჟკოვი უყვართ იმიტომ, რომ დანარჩენი რუსეთის ფონზე, იგი თავს იჩენს, როგორც ძლიერი სამეურნეო მუშაკი. ჟირინოვსკი კი უყვართ, როგორც ნიჭიერი მსახიობი, რომელიც ხალხს ცხოვრებას უხალისებს.

კომპლექსურ სოციალურ კვლევათა ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერის ლეონტი ბიზოვის აზრით, რუსეთის მოსახლეობისათვის ვ. პუტინი, გარკვეულწილად, ჩაენაცვლა ეროვნული იდეოლოგიის ფასეულობას. ამგვარად, რუსეთის პრეზიდენტის მხარდამჭერნი მის წინაშე არანაირ განსაკუთრებულ მოთხოვნებს არ აყენებენ. ისინი თვლიან, რომ იგი კარგი ადამიანია და მის ადგილზე უფრო მეტს ვერავინ მიაღწევდა.

რა აინტერესებთ პარლამენტარებს და რამდენი ბავშვია მზად მეხუთე კლასში გადასასვლელად

ინფორმაცია, რომ მოსწავლეთა ნახევარზე მეტი მე-5 კლასის პროგრამის დასაძლევად მზად არ არის, ნებისმიერ ქვეყანაში დიდ განგაშს გამოიწვევდა და ეროვნული განსჯის საგანი გახდებოდა. როდესაც ორი წლის წინ PISA-ტესტში გერმანელებმა ცუდი შედეგები აჩვენეს, პრესასა და ტელევიზიაში დებატები არ წყდებოდა - განათლება სახელმწიფოს უპირველეს პრიორიტეტად გამოცხადდა და მდგომარეობის გამოსწორებაში დიდი ენერგია ჩაიდო.

სად ვეძებოთ გამოსავალი?

ნინო ცინცაძე

გუშინ პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტში შეფასების ეროვნული ცენტრის მიერ მიღებული შედეგების პრეზენტაცია გაიმართა. როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, შეფასება ჩატარდა ქართულ ენაში, რათა გამოვლენილიყო, როგორ ითვისებენ 9-10 წლის მოსწავლეები იმ მასალას, რასაც ისინი დაწყებით კლასებში სწავლობენ. მიუხედავად იმისა, რომ მიღებული შედეგების პრეზენტაცია უკვე განათლების სამინისტროშიც ჩატარდა და ეროვნულ ბიბლიოთეკაშიც, საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა ამ ტესტის შედეგების სიზუსტეში, ზოგიერთმა კი, სულაც, მის არსებობაში, ეჭვი შეიტანა. გუშინ გამართულ პრეზენტაციაზე ის ადამიანებიც იყვნენ მოწვეულნი, ვინც ასეთი კვლევის ჩატარებას საერთოდ უარყოფდა, თუმცა ისინი პარლამენტში არ გამოჩენილან.

კვლევის შედეგებს ცენტრის თანამშრომლები ნინო გორდელაძე და თამარ ოთხმეზური წარმოადგენდნენ. პირველ რიგში, აღინიშნა, რომ ამ კვლევით, ბავშვის პოტენციალი კი არა, დაწყებით კლასებში მიმდინარე სასწავლო პროცესის მართებულება მოწმდებოდა. მიღებული შედეგები საგანგაშო უფრო იმიტომაა, რომ საერთაშორისო სტანდარტებით მიღებული შედეგები შკალაზე ასე ნაწილდება ხოლმე - მაღალი, საშუალოზე მაღალი, საშუალო, საშუალოზე დაბალი. ქართულ რეალობაში კი მეხუთე ერთეულის შემოტანა გახდა საჭირო - კიდევ უფრო დაბალი. შეფასება ოთხი კომპონენტის მიხედვით ჩატარდა: კითხვისა და წერის უნარი, ლექსიკა და გრამატიკა. ტესტირებაში საქართველოს 312 სკოლის მე-5 კლასის 6300 მოსწავლე მონაწილეობდა, რაც ქვეყანაში მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 10 პროცენტს შეადგენს.

კითხვითი უნარების შემოწმებისას მკვლევარებს ოთხი რამ აინტერესებდათ: რამდენად შეუძლიათ მოსწავლეებს, ცხადად მოცემული ინფორმაციის პოვნა; უშუალო დასკვნების გამოტანა; აზრებისა და ინფორმაციის დაკავშირება საკუთარ ცოდნასთან; ტექსტის ენის შეფასება და მხატვრული ხერხის გააზრება. ეს უკანასკნელი რთული დავალება არ გეგონოთ - მოსწავლე, მაგალითად, უნდა მიმხვდარიყო, რომ ზღაპარში ზღაპრის მიმანიშნებელი წინადადებაა "იყო და არა იყო რა". კვლევის შედეგად გაირკვა, რომ მოსწავლეთა 19 პროცენტი საშუალოზე დაბალ დონეზეა - ანუ მათ 114 კითხვიდან პასუხი 14-ს გასცეს; სხვა ცხრამეტი პროცენტი კი კიდევ უფრო დაბალ საფეხურზე დგას - მათ ამ თოთხმეტ შეკითხვასაც ვერ უპასუხეს; ეს იმას ნიშნავს, რომ მეხუთე კლასელთა 38% ტექსტის გაგების მარტივ უნარებს ვერ ფლობს. საშუალო დონე მოსწავლეთა ოცმა პროცენტმა გამოავლინა; წარმატებით დაგეგმილი სწავლის პროცესის დროს კი სწორედ ეს დონე უნდა იყოს ყველაზე დიდი. ლექსიკის ტესტით მოსწავლეთა ენობრივი ალღო და ყოფითი ლექსიკური მარაგი მოწმდებოდა. აღმოჩნდა, რომ მოსწავლეთა 40 პროცენტი უმარტივეს ლექსიკურ მარაგს ვერ ფლობს, ბარბარიზმებითა და დიალექტიზმებით საუბრობს და მარტივი ენობრივი ალღო არ გააჩნია. ეს მაჩვენებელი 42 პროცენტამდეა გაზრდილი, როდესაც საქმე ელემენტარულ გრამატიკულ ცოდნას შეეხება. ყველაზე მძიმედ კი საქმე მაინც წერითი ტესტების შედეგებში გვაქვს: ჩვენს მოსწავლეთა 48 პროცენტს წერილობით აზრის თანამიმდევრულად და ცხადად გადმოცემის უნარი არ გააჩნია. კვლევის ძირითადი დასკვნები ასეთია: ოთხწლედის დასრულებისას სწავლების შემდგომი ეტაპისათვის მე-5 კლასისათვის მზად მოსწავლეთა საერთო რაოდენობის, საშუალოდ, 42 პროცენტია. დღევანდელ სკოლაში, მიღწევის დონეების მიხედვით, შეინიშნება პოლარიზაცია - არ არის გამოკვეთილი საშუალო საფეხური, რომელიც სწორად დაგეგმილ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ყველაზე დიდ ჯგუფს უნდა წარმოადგენდეს; შემოწმებულ უნართაგან ყველაზე ნაკლებად წერითი მეტყველებაა განვითარებული; მოსწავლეთა დიდი ნაწილი თეორიულ ცოდნას პრაქტიკულად ვერ ახორციელებს.

როგორც სკოლის რეფორმის პროგრამის დირექტორმა, გიგი თევზაძემ განმარტა, ამ სავალალო შედეგების მიზეზი რთულ სოციალურ პირობებთან ერთად უსაშველოდ გადატვირთული სასწავლო გეგმაა. როგორც კითხვარებმა ცხადყო, იმ შემთხვევაში, თუ მეხუთეკლასელი მოსწავლე პროგრამის სრულად დაძლევას მოინდომებს, მას დღეში 10-საათიანი სამუშაო დღე უნდა ჰქონდეს. წლებთან ერთად ეს რაოდენობა ისეთ ციფრს აღწევს, რომ, რეალურად, კვირაში ამდენი დრო საერთოდ არ არსებობს. როგორც გიგი თევზაძემ აღნიშნა, მიღებული შედეგები ეროვნული უბედურებაა და ამაზე ყველა სერიოზულად უნდა დაფიქრდეს. **"ჩვენთან PISA ტესტი რომ ჩატარებულიყო, საქართველო ყველაზე მძიმე შედეგების მქონე ქვეყნების - რუსეთის, პერუსა და პორტუგალიის გვერდით აღმოჩნდებოდა. ამ სფეროში ცვლილებები სისტემურადაა გასატარებელი. რაც მთავარია, აუცილებლად უნდა გაიზარდოს სკოლის დაფინანსება; უნდა შეიცვალოს სახელმძღვანელოები, მეთოდიკა, სწავლება გახდეს უნარებზე ორიენტირებული; გამარტივდეს პროგრამა. თუმცა, პროგრამის გამარტივება არ ნიშნავს იმას, რომ ის უნარები, რაც 9-10 წლის ბავშვს უნდა ჰქონდეს, მისაღწევი არ არის - პირიქით, პროგრამა შესაბამისობაში უნდა მოვიდეს სწორედ ამ უნარებთან"**, - აღნიშნა მან.

მრავლისმნახველ და მრავლისგამგონე პარლამენტარებს მიღებული შედეგები დიდად არ გაჰკვირვებიათ, დიდი დებატები არც პრობლემის გადაჭრის გზების ძიებაზე ყოფილა. სამაგიეროდ, "ტექნიკურად შემოვარდა თემა" ჰაგიოგრაფია და ეროვნული იდეალები. პარლამენტართა ერთი ნაწილი მინისტრს იცავდა, მეორე კი პარლამენტში მის მოსვლასა და ახსნა-განმარტებას მოითხოვდა. ხანგრძლივი დრო დაეთმო განათლების სამინისტროს ძველი შემადგენლობის კრიტიკასა და სამინისტროს ახალი წარმომადგენლებისათვის იმის შეხსენებას, რომ ისინი პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულნი არიან. სხდომის ბოლოს კომიტეტის თავმჯდომარემ, ბატონმა ლევან ბერძენიშვილმა საუბრის თემა ისევ პრეზენტაციისკენ მიმართა. საბოლოოდ პარლამენტარები შეთანხმდნენ, რომ წარმოდგენილი შედეგები სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს და ეროვნული ცენტრის თანამშრომლებს გაწეული მუშაობისათვის დიდი მადლობა გადაუხადეს.

20-თეთრიანი ავტობუსები თბილისში

ორშაბათიდან თბილისის ქუჩებში ვოლვოსა და დაფის ფირმის 2 ავტობუსი ივლის. ქალაქის მერია ჰოლანდიიდან კიდევ 150 ავტობუსს ელოდება. დედაქალაქში ახალი საქალაქო ტრანსპორტის გამოჩენა ქუჩების სამარშუტო ტაქსებისაგან გათავისუფლდების იმედს იძლევა. გუშინ ჰოლანდიელების მიერ ნაჩუქარი ავტობუსით ქალაქის მთავრობა მგზავრობდა.

თამარ დვალი

გუშინ დღის 12 საათზე ქალაქის მერიიდან ისანი-სამგორის გამგეობისკენ ორი ახალი ავტობუსი დაიძრა. მისი პირველი მგზავრები ქალაქის მთავრობა და ჟურნალისტები იყვნენ. როგორც ქალაქის პრემიერმა ბიძინა ბრეგაძემ აღნიშნა, საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობა მთავრობის წევრებისთვის მხოლოდ ამ ერთი გასვლით არ შემოიფარგება და იგი ერთგვარ ტრადიციად იქცევა. ჰოლანდიიდან გამოგზავნილი კომფორტული ავტობუსით მგზავრობისას თუკი ტრანსპორტში მთავრობის წევრებს შეამჩნევთ, არ გაგიკვირდეთ, იცოდეთ, ამ დროს ისინი თანამოქალაქეების პრობლემებისა და სიხარულის გაზიარებას ცდილობენ.

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი ზურაბ ჩიკვილაძე თბილისელებს კომფორტულად გადაადგილების შესაძლებლობას ჰპირდება.

"ცოტა ხნის წინ რუსული ავტობუსები ჩამოვიყვანეთ. ისინი ნაკლებად ხარისხიანია, მაგრამ ჩვენს პირობებში ასეთი ავტობუსებიც საჭიროა. ახლა ჰოლანდიიდან 150 ავტობუსს ველოდებით; თითოეულის ფასი 11 ათას ევროს შეადგენს. თუმცა, ჰოლანდიური მხარე 30 პროცენტით გვაფინანსებს და ჩვენ მხოლოდ 8 500 ევროს ვიხდით. ჰოლანდიის მთავრობამ ავტობუსები სამწლიანი განვადებით მოგვცა. თანხის დაფარვა ბიუჯეტიდან და შემოსული თანხებიდან მოხდება. სამი თვეა, რაც ახალ სქემაზე ვმუშაობთ და ვცდილობთ, ყველანაირი მოთხოვნა გავითვალისწინოთ. ადამიანი, რომელიც მძღოლად მუშაობს, დღეს სოციალურად დაუცველია. ჩვენი მიზანია, ისეთი სქემა შევქმნათ, რომლის მიხედვითაც, არც ერთი სამუშაო ადგილი არ დაიკარგება", - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას ზურაბ ჩიკვილაძემ.

ზურაბ ადამია, რომელიც ადრე დიდუბე-ჩუღურეთის გამგებელად მუშაობდა, გუშინ მთავრობის სხვა წევრებთან ერთად ისანი-სამგორის გამგეობაში მივიდა. მისთვის ახალი ავტობუსით მგზავრობა ფეხბედნიერი აღმოჩნდა. ქალაქის პრემიერმა იგი ამ რაიონის გამგებლად წარადგინა. ახლად დანიშნული გამგებელი სამომავლო გეგმებზე ლაპარაკს ერიდება და პრიორიტეტად სოციალური საკითხების მოგვარებას ასახელებს.

რატომ გაჩნდა ეკრანზე წრეში ჩასმული რიცხვები?

უკვე ერთი თვეა, რაც ჩვენს ტელეეკრანებზე ფილმების ჩვენებისას წრეში ჩასმული რიცხვები გაჩნდა. მაყურებლის უმეტესობამ მათი მნიშვნელობა არ იცის. კანონის თანახმად, ტელევიზიებს გრიფის მინიშნება ორი წლის წინათ უნდა დაეწყოთ, თუმცა, რომ არა არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობა, ეს კანონი კვლავ თაროზე იქნებოდა შემოდებული. პირველი, ვინც ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტს მიმართა და ფილმისათვის კატეგორიის მინიშნება ითხოვა, "რუსთავი-2" იყო. წრეში ჩასმული რიცხვები მოზარდთა იმ ასაკის მანიშნებელია, რომლებსაც ამ ფილმის ყურება ეკრძალებათ.

თამარ დვალი

კანონი, "მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ", 2002 წელს მიიღეს, თუმცა მის ნაწილობრივ ამოქმედებას წლები დასჭირდა. კანონის ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის მომხდენი ფილმების ჩვენება შეზღუდვით უნდა მოხდეს. ჩვენს ეკრანებზე გამოჩენილი რიცხვებიც სწორედ ამის მანიშნებელია. ტელევიზიებმა ფილმის კატეგორიის აღმნიშვნელი ნიშანი ეკრანის კუთხეში ფილმის დაწყებიდან და რეკლამის შემდეგ ხუთი წუთის განმავლობაში უნდა განათავსონ. მისი დიამეტრი ეკრანის დიაგონალის რვა პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს.

ფილმისთვის, რომლის ჩვენებაც შეზღუდულია 18 წლის ასაკამდე, ეკრანზე გამოსახული უნდა იყოს წრეში ჩასმული რიცხვი - 18. ასეთი კატეგორიის ფილმის ჩვენება შეზღუდულია 7-დან 24 საათამდე. იმ ფილმების ტელედემონსტრირება, რომელთა ჩვენებაც 15 წლის ასაკამდე ბავშვებისთვისაა აკრძალული, 23 საათის შემდეგ უნდა მოხდეს. რაც შეეხება 12 წლის ასაკამდე ბავშვებისთვის შეზღუდულ ფილმებს, მათი ჩვენება 8-დან 22 საათამდე იკრძალება. ეკრანის კუთხეში წრეში ჩასმული ლათინური ასო u იმის მანიშნებელია, რომ ფილმი უნივერსალურია და მისი ნახვა ნებისმიერი ასაკის მაყურებელს შეუძლია.

ტელევიზიებს თავად აქვთ უფლება, ფილმებს კატეგორიები მიანიჭონ. ალბათ ამიტომაცაა, რომ ფილმისთვის მინიჭებული კატეგორია ხშირ შემთხვევაში დაწესებულ კრიტერიუმებს არ შეესაბამება. ფილმებზე გრიფის მინიშნება კანონის ერთი ნაწილია. ამავე კანონში მითითებულია, რომ იკრძალება არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის მომხდენი ნაბეჭდი პროდუქციის გავრცელება, ალკოჰოლური სასმელის, ლუდის, თამბაქოს მიყიდვა და აზარტულ თამაშებში მონაწილეობა. ჩვენს ქვეყანაში კანონის ეს პუნქტები არ მოქმედებს, თუმცა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში აღნიშნული კანონი გაცილებით მკაცრია და მისი დამრღვევები სოლიდურ ჯარიმასაც იხდიან.

ბავშვთა ფსიქოლოგები ფილმის ჩვენებისას გრიფის მინიშნებას მიესალმებიან და აცხადებენ, რომ დანარჩენი პუნქტების ამოქმედებაც სასწრაფოდ უნდა მოხდეს. **"ყველა ქვეყანაში ზრუნავენ ბავშვის ნორმალურ განვითარებაზე. ევროპაში მოქმედი კანონები გაცილებით მკაცრია, ვიდრე ჩვენთან. არ შეიძლება, ასეთი დოზით იყიდებოდეს ამორალური ლიტერატურა და, მით უმეტეს, ხელმისაწვდომი იყოს მოზარდებისთვის. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ აგრესია, რომელიც მოდის ტელევიზიით, ბავშვში თანდათან ილექება და ცუდ შედეგებამდე მივყავართ - ბავშვის, როგორც ფსიქიკურ, ასევე, სექსუალურ განვითარებაზე მოქმედებს. სტატისტიკური მონაცემებით, მამაკაცებში იმატა უშვილობამ და პოტენციის დაქვეითებამ. ეს ყველაფერი, შეიძლება, პირდაპირ კავშირში არ იყოს დიდი ოდენობის ამორალურ ლიტერატურასა თუ ტელეფილმებთან, მაგრამ მათი ზეგავლენა უდავოდ დიდია,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ბავშვთა ფსიქოლოგმა ეკა გვარამიამ.

ანალგოსი!

სიახლე გერმანიიდან!

ანალგოსი - პრეპარატი გარეგანი გამოყენებისათვის! ახასიათებს არაჩვეულებრივი ფარმაკოლოგიური ეფექტურობა, კარგი ამტანობა, მარტივი გამოყენება და შესანიშნავი შედეგი.

ანალგოსი ეფექტურად გამოიყენება შემდეგი დაავადებების მკურნალობის დროს:

სახსრების რევმატიული დაავადებები;

ნევრალგიური დაავადებები: ნევრალგია, ნევრიტი, ლუმბაგო, იშიალგია;

პერიფერიული ადგილობრივი სისხლისმიმოქცევის მოშლა;

ანალგოსი წარმატებით გამოიყენება აგრეთვე სპორტულ მედიცინაშიც - კუნთების გახურება ფიზიკური დატვირთვის წინ და შემდეგ, სპორტული ტრავმების მკურნალობა, კუნთების და მყესების ფუნქციონალური დარღვევები (მიალგია, ტენდოვაგინიტი).

გამოიყენეთ ანალგოსი! დაივიწყეთ ტკივილი!

RIEMSER Arzneimittel AG

ინფორმაცია მედიკამენტების შესახებ: GPC ასისტანსი, ტელ: 922970

GPC

საფეხურები

დახმარების გარეშე

თინათინ ასათიანი

არასამთავრობო ორგანიზაცია "საფეხურების" პროექტი, "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით", აგრძელებს პუბლიკაციების სერიას სახელწოდებით - "ნამდვილი ამბავი". პროექტის ფარგლებში, ჩვენი საზოგადოების წევრები საკუთარ პრობლემებზე გვიამბობენ და, ამ გზით, დახმარებას სთხოვენ ყველას, ვისაც ამის საშუალება და სურვილი აქვს.

ბექა გოგოლიშვილი.

28 წლის ბექა გოგოლიშვილს მძიმე ფორმის ეპილეფსიის დიაგნოზი ბავშვობაში დაუდგინეს. ბექას არსად უსწავლია, ვინაიდან ხშირი გულყრები საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვის საშუალებას არ აძლევს. მიუხედავად ამისა, ერთი წლის წინათ სასულიერო სემინარიაში ჩააბარა და ეკლესიაში მსახურება სცადა. სამწუხაროდ, არც ეს გამოუვიდა - ისევ გულყრები.

გარდა შერყეული ჯანმრთელობისა, ბექას უკიდურესად მძიმე საცხოვრებელი პირობები აქვს - ბინა, რომელშიც დედ-მამასთან ერთად ცხოვრობდა, მევალეებმა გაყიდეს; გაუსაძლისი ცხოვრებით შეწუხებული 50 წლის დედა მალე ინსულტით გარდაეცვალა; ბინის დაკარგვის შემდეგ ბექა მამასთან ერთად ქუჩა-ქუჩა ეძებს საცხოვრებელს. მოგეხსენებათ, მინიმალურ ფასად ბინის ქირაობა თბილისში არც ისე იოლია. ამჟამად ისინი მეტრო "300 არაგველთან" ცხოვრობენ 70 ლარად ნაქირავებ ბინაში. თუმცა, იმის გამო, რომ მამა-შვილი ვერც ამ თანხას იხდის, მათ მალე ამ ბინის დაცლა მოუწევთ.

ბექას მამა რუსთავის თეატრის მსახიობია. მისი ჯამაგირი თვეში 50 ლარს შეადგენს. ეს თანხა ოჯახმა ბინის ქირის, გადასახადებისა და ბექას წამლებისთვის უნდა იმყოფინოს, რაც შეუძლებელია. ეკლესიის დახმარებით, მამა-შვილი დღეში სამჯერ უფასოდ იკვებება.

ბექა გოგოლიშვილის ეპილეფსიის იშვიათი ფორმა აქვს - გულყრების წინ ავადმყოფი, შეიძლება, სახლიდან გაიქცეს; ამიტომ, ის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნას საჭიროებს. **"ხანდახან - ღამეში ათჯერ, ძირითადად კი, სამჯერ- ოთხჯერ მაინც მაქვს ხოლმე ასეთი გულყრა"**, - ამბობს ბექა. მის მდგომარეობას გაცილებით შეამსუბუქებდა მკურნალობის კურსი, მაგრამ ეს ოჯახისთვის დიდი ფუფუნებაა. ერთი პრეპარატისთვის ბექას 20 დოლარი სჭირდება.

ამ ოჯახის მომავალი სრულიად გაურკვეველია. განსაკუთრებული მხარდაჭერის გარეშე, მათი არსებობა სათუო გახდება - ბექა უნარშეზღუდულია, მამამ კი, მრავალგზის მცდელობის მიუხედავად, სხვა შემოსავლის წყაროს პოვნა ვერ შეძლო.

შენიშვნა: სტატიის შინაარსი დაფუძნებულია რესპონდენტთან უშუალო ინტერვიუზე და მიუკერძოებლად აღწერს მხოლოდ იმ ფაქტებს, ისტორებს, თუ პრობლემებს, რასაც თავად რესპონდენტი ჰყვება. პროექტის მიზანია, მისცეს შესაძლებლობა მარგინალური ჯგუფების წარმომადგენლებს, საზოგადოებას საკუთარი პრობლემის შესახებ ამცნონ. ამ ეტაპზე პროექტის ფარგლებში არ შედის რესპონდენტის მიერ მოთხრობილი ფაქტების და პრობლემების სხვადასხვა დონეზე გადამოწმება.

P.S. თუ ვინმეს დახმარების სურვილი გაუჩნდება, დაუკავშირდით პროექტის, "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით", კოორდინატორს ნანა ბარამიძეს.

მობ: 893 32 44 41 ან ელექტრონული ფოსტით მისამართზე: stagesngo@hotmail.com

ევროპელთა პრეტენზიებს იუსტიციის მინისტრი საფუძველს აცლის

"თბილისის მეხუთე საპყრობილე საქართველოს პენიტენციალური სისტემას კი არ უნდა ეკუთვნოდეს, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტს უნდა გადაეცეს", - განაცხადა გუშინ "წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის" დელეგაციასთან შეხვედრისას საქართველოს იუსტიციის მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა.

მე-5 საპყრობილის განსატვირთად უკვე ტარდება გარკვეული ღონისძიებები. (ნინო ლომსაძის ფოტო)

"წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის"(CBT) დელეგაცია საქართველოში შარშან შემოდგომაზეც ჩამოსულა და საქართველოში არსებულ საპატიმრო ადგილებში მონიტორინგიც ჩაუტარებია. მონიტორინგის მიმდინარეობისას მათ ბათუმის ციხეებიც მოუნახულებიათ და გუშინ იუსტიციის მინისტრთან შეხვედრისას სწორედ ბათუმის თემაზე სურდათ ყურადღების გამახვილება. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მათ მიერ ბათუმური საპყრობილის მიმართ გამოთქმულ პრეტენზიათაგან დღესდღეობით საფუძველი აღარც ერთს გააჩნია; კერძოდ, დელეგაციის ხელმძღვანელის ინგრიდ ლუკ ელინგსენის თქმით, მათი მონიტორინგის მიმდინარეობისას დადგინდა, რომ ბათუმის N3 საპყრობილეში უხეშად ირღვეოდა პატიმართა უფლებები. კონკრეტულად, მათ მიაკვლიეს ფაქტებს, როდესაც საპყრობილეში შესახლებული პატიმრები უკანონოდ, პროცესუალური ნორმების დარღვევით უკან, პოლიციის დროებითი დაკავების იზოლატორებში გადაჰყავთ და იქ ორი თვის განმავლობაში ტოვებენ. გარდა ამისა, საპყრობილეში ან კოლონიაში მოსათავსებელი პატიმრები სასჯელს იხდიან აჭარის უშიშროების სამინისტროს იზოლატორში.

ყოველივე ამით შეშფოთებული ევროპელები გიორგი პაპუაშვილმა იოლად ანუგეშა. მისი თქმით, ის ფაქტები, რომლებმაც "წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის" წევრები აღაშფოთა, საქართველოს ხელისუფლებისთვისაც ცნობილი იყო და ამის თაობაზე აჭარის ადგილობრივი ხელისუფლებისთვის არაერთხელ მიუმართავთ წერილობით - შექმნილი პოლიტიკური ვითარება უფრო ქმედით ჩარევას შეუძლებელს ხდიდა. თუმცა, ასლან აბაშიძის საქართველოდან გაქცევის შემდეგ ბათუმის საპყრობილეში არსებული დარღვევები ლიკვიდირებულია.

გუშინდელ შეხვედრაზე ბათუმის თემა ერთადერთი არ აღმოჩნდა, რომლის გამოც იუსტიციის მინისტრს თავის მართლებამ მოუწია.

ევროპელთა დელეგაციის ხელმძღვანელის თქმით, მათ შარშან, ნოემბერში, თბილისის N5 საპყრობილეც დაათვალიერეს და, რაც ყველაზე მეტად შემაშფოთებელია, იქ დღეისათვის მდგომარეობა არათუ გამოსწორდა, გაუარესდა კიდეც - იქ არსებულ ადგილთა რაოდენობას იმდენად აჭარბებს პატიმართა რიცხვი, რომ მათ რიგრიგობით ძილი უწევთ. ელინგსენმა გიორგი პაპუაშვილს ერთი თვის ვადა მისცა იმ პროექტის წარსადგენად, რომელშიც საპყრობილეში მდგომარეობის გამოსწორების გეგმა იქნება დასახული და აისახება ის რეფორმები, რომელთა გატარებასაც იუსტიციის სამინისტრო პენიტენციალურ სისტემაში აპირებს. **"პროექტი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გადაარჩინოთ პატიმრები"**, - ასე ჩამოაყალიბა მოთხოვნა ინგრიდ ლუკ ელინგსენმა.

გიორგი პაპუაშვილის თქმით: **"თბილისის N5 საპყრობილის მსგავსი ციხე მთელ მსოფლიოში არ არსებობს. მე-19 საუკუნეში აშენებული შენობა საპყრობილის მოთხოვნებს არანაირად აკმაყოფილებს და იგი, წესით, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტს უნდა გადაეცეს სამეურვეოდ".**

თუმცა მანამდე, სანამ მე-5 საპყრობილე ძეგლების დამცველთა ყურადღებას დაიმსახურებს, იქ მყოფ პატიმართა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ანუ საპყრობილის განსატვირთად უკვე ტარდება გარკვეული ღონისძიებები. კერძოდ, იუსტიციის მინისტრმა შეხვედრაზე აღნიშნა, რომ ეს რუსთავის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენებული N6 საპყრობილის ამოქმედების შემდეგ იქნება შესაძლებელი. ამასთან, ორიოდე კვირაში ექსპლუატაციაში შევა ქსნის მკაცრი რეჟიმის დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული 150-ადგილიანი საპყრობილე, რომლის რეკონსტრუქციაც უკვე სრულდება და იქ პატიმრებს მე-5 საპყრობილიდან გადაანაწილებენ. გარდა ამისა, დაგეგმილია პატარა პენიტენციალური დაწესებულების მშენებლობა, რომელშიც წინასწარი გამოძიების ეტაპზე მყოფ ბრალდებულ ქალებსა და არასრულწლოვნებს მოათავსებენ. მინისტრის თქმით, ეს აუცილებელია, რომ ახალგაზრდებმა კონტაქტი არ იქონიონ ზრდასრულ კრიმინალებთან.

ევროპელებთან შეხვედრისას პაპუაშვილმა ისიც აღნიშნა, რომ, პატიმართა უფლებების გარდა, აუცილებელია სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა უფლებების დაცვაც, რომელთა უმეტესობას სპეციალური ფორმები არ გააჩნია. ამიტომ გადაწყდა ქალთა კოლონიაში არსებულ სამკერვალო საამქროში, რომელშიც, ცხადია, პატიმრები მუშაობენ, პენიტენციალური სისტემის თანამშრომელთათვის ფორმების შეკერვა.

დაბოლოს, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა შეხვედრაზე უმნიშვნელოვანესი განცხადება გააკეთა. როგორც ცნობილია, წლების მანძილზე არასამთავრობო ორგანიზაციები და დამოუკიდებელი იურისტები დარღვევად მიიჩნევდნენ იმ ფაქტს, რომ წინასწარი პატიმრობის მაქსიმალურ ვადად კონსტიტუციით დადგენილი 9 თვე მხოლოდ წინასწარი გამოძიების პერიოდზე ვრცელდებოდა და ამ ვადაში არ თვლიდნენ სასამართლო გამოძიების პერიოდს, რომელიც ხშირად თვეობით გრძელდება ხოლმე. ამ საკითხზე პროტესტსა და საკითხის მოგვარების მოთხოვნას საქართველოს ყოფილი ხელისუფლება კატეგორიული წინააღმდეგობით პასუხობდა. ახლა კი, გიორგი პაპუაშვილის თქმით, იუსტიციის სამინისტრო გენერალურ პროკურატურასთან ერთად ამზადებს კანონპროექტს, რომლითაც წინასწარი პატიმრობის კონსტიტუციური ვადა არ გავრცელდება მხოლოდ წინასწარი გამოძიების ეტაპზე. რაც ნიშნავს, რომ ბრალდებულს დაკავებიდან განაჩენის გამოტანამდე 9 თვეზე მეტ ხანს ციხეში ვერავინ დააკავებს.

24 საათი

გოგი ჩიქოვანი პატიმრობაში რჩება

მართლმსაჯულების გადაწყვეტილებით, "კანონიერი ქურდი" გიორგი ჩიქოვანი წინასწარ სამთვიან პატიმრობაში რჩება.

გუშინ საოლქო სასამართლო ორსაათნახევრიან დახურულ სხდომაზე, რომელსაც იარაღის უკანონოდ შენახვაში ბრალდებული გიორგი ჩიქოვანი ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულების გამო არ ესწრებოდა, მისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის საკითხზე მსჯელობდა. ჩიქოვანისთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის გაუქმების მოთხოვნით ბრალდებულის ადვოკატმა საოლქო სასამართლოს სამი დღის წინათ მიმართა და მისი დაცვის ქვეშ მყოფის ასაკისა და მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინება მოითხოვა. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ სასამართლომ გუშინ ადვოკატის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

თავად ბრალდებული უკვე მესამე დღეა, რაც გულიკო ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიური ცენტრის პაციენტია. მას შემდეგ, რაც გოგი ჩიქოვანს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდეს, მან მშრალი შიმშილობა გამოაცხადა, რის გამოც, როგორც ექიმები ამბობენ, ამჟამად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა საგანგაშოა.

ერთი სიტყვით, 79 წლის ბრალდებული პატიმრობაში რჩება. საოლქო სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას აღარ ექვემდებარება. როგორც დაკავებულის ადვოკატი შალვა შავგულიძე აცხადებს, მას ისღა დარჩენია, მოითხოვოს მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება და ექსპერტიზის პასუხი ახლად აღმოჩენილი გარემოების საფუძვლად გამოიყენოს.

ადვოკატი კვლავ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს იშველიებს და აცხადებს, რომ **"კანონის თანახმად, 65 წელს ზემოთ ხანდაზმული ადამიანისთვის აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენება მხოლოდ მძიმე ბრალდების შემთხვევაში არის შესაძლებელი. ჩიქოვანს კი ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულისთვის ედავებიან. არადა, ბრალდებულის ასაკი, ჯანმრთელობის უკიდურესად დამძიმებული მდგომარეობა და დანაშაულის კატეგორია სრული საფუძველი უნდა გამხდარიყო იმისთვის, რომ საოლქო სასამართლოს გოგი ჩიქოვანისთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობა არასაპატიმრო ღონისძიებით შეეცვალა. დარწმუნებული ვარ, სასამართლო ბოლოს მაინც იძულებული გახდება, გაითვალისწინოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომლის ჩატარებასაც მე მოვითხოვ და რომელიც დაასაბუთებს ჩიქოვანის მდგომარეობას, თუმცა შესაძლოა, ეს ყველაფერი უკვე დაგვიანებული აღმოჩნდეს"**, - აცხადებს ადვოკატი.

რაც შეეხება გამოძიებას, გუშინდელი დახურული სხდომის შემდეგ გოგი ჩიქოვანის საქმის გამომძიებლებმა საოლქო სასამართლოს შენობა გასაიდუმლოებულად, კომენტარების გარეშე დატოვეს.

24 საათი

გალში გატაცებათა სერიალი გრძელდება

გალის რაიონის ქართულ სოფლებში სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა. გალის რაიონის ქართული მოსახლეობის დაწიოკება-გატაცების ფაქტებმა უკვე მასშტაბური ხასიათი მიიღო. თითქმის ორი-სამი დღის ინტერვალით ქართულ სოფლებში აფხაზური მილიციის ფორმაში გამოწყობილი შეიარაღებული ჯგუფები დათარეშობენ, ქართველებს ეგზეკუციას უწყობენ და გაურკვეველი მოტივით სამ-ოთხ ქართველს ერთად იტაცებენ. გუშინწინ, გვიან ღამით, სოფელ ფიჩორში აფხაზური მილიციის ფორმაში ჩაცმული 15-მდე შეიარაღებული პირი შეიჭრა. მათ სამი ქართველი - გამახარია, მამფორია და ჭეჟია გაიტაცეს და ერთ-ერთი მძევლის კუთვნილი "ბმვ"-ს მარკის ავტომანქანაც "ხელს გააყოლეს". გატაცებულთა ადგილსამყოფელისა და მდგომარეობის შესახებ არანაირ ინფორმაციას მძევალთა ოჯახის წევრები, ჯერჯერობით, არ ფლობენ, თუმცა მათი ახლობლები ირწმუნებიან, რომ ისინი აფხაზებმა გაიტაცეს და აფხაზების მიერვე კონტროლირებად ტერიტორიაზე გადაიყვანეს.

გალის რაიონის ქართული მოსახლეობის მტკიცებით, გალის რაიონის სოფლებში ბოლო დღეებში განსაკუთრებულად გამკაცრდა კონტროლი აფხაზური მხრიდან. ცალკეული შეიარაღებული დაჯგუფებები უპრობლემოდ შედიან ოტობაიაში, გაგიდაში, ზემო და ქვემო ბარღებში, ხუმუშკურში და მკაცრად აკონტროლებენ სიტუაციას.

ჩვენი ინფორმაციით, ბოლო ორი კვირის განმავლობაში რამდენიმე ქართველის ერთად გატაცების ოთხი შემთხვევა დაფიქსირდა. ადამიანებს გალის რაიონის იმ ტერიტორიიდან იტაცებენ, რომელიც გალის არხის მიღმა მდებარეობს. მძევალთა ახლობლები აცხადებენ, რომ გატაცებები, ძირითადად, მძევალთა გამოსასყიდი თანხის მოთხოვნით ხდება, თუმცა ხშირია შემთხვევები, როდესაც აფხაზები არანაირ თანხას არ ითხოვენ და გატაცებული გაურკვეველი ვადით დაკარგულად ითვლება.

რაც შეეხება გუშინწინ აფხაზური მილიციის ფორმაში ჩაცმული, თხუთმეტკაციანი შეიარაღებული ჯგუფის მიერ გატაცებულ სამ ქართველს - გამახარიას, მამფორიასა და ჭეჟიას, აფხაზური მხარე ირწმუნება, რომ ისინი მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არ იმყოფებიან. მძევალთა ოჯახის წევრები კი დღე-დღეზე სეპარატისტთა ულტიმატუმს - გატაცებულთა გამოხსნისთვის სოლიდური თანხის მოთხოვნას ელიან.

24 საათი

პოლიციის უფროსმა დამნაშავეს სისხლი გადაუსხა

რუსთავის ცენტრალურ ქუჩაზე შელაპარაკებით დაწყებული ჩხუბი მკვლელობით დასრულდა. რუსთაველები - ზურაბ ჩუტლაშვილი და ზაალ ქარჩავა - გალის რაიონიდან ჩამოსულ ძმებ შონიებს გზაზე შემთხვევით შეხვდნენ. მათ გამოელაპარაკნენ და მობილურ ტელეფონზე დარეკვა სთხოვეს, რაზეც უარი მიიღეს. ამას კი შელაპარაკება და ჩხუბი მოჰყვა. როგორც რუსთავის პოლიციაში აცხადებენ, ერთ-ერთმა შონიამ დანით სასიკვდილოდ დაჭრა ჩუტლაშვილი, ქარჩავამ კი - შონია. ცოცხლად დარჩენილებმა დაჭრილები საავადმყოფოში თავად მიიყვანეს. ჩუტლაშვილი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა, უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი შონია კი რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს.

როგორც რუსთავის პოლიციის უფროსი რამაზ ელოშვილი აცხადებს, მათ შეტყობინება საავადმყოფოდან მიიღეს. დაჭრილ შონიას სასწრაფოდ ესაჭიროებოდა სისხლის გადასხმა, რომელიც საავადმყოფოში არ ჰქონდათ და ვერც დონორს პოულობდნენ. როდესაც ამის თაობაზე პოლიციის უფროსს შეატყობინეს, მან გადაწყვიტა, თავად გამხდარიყო შონიას დონორი. **"ეს მკვლელობის მოწმის გადასარჩენად გავაკეთე და, რაც მთავარია, ყველანი ხომ მოკვდავები და ადამიანები ვართ,"** - ამბობს რამაზ ელოშვილი და სულაც არ ნანობს, რომ სისხლი იმ ადამიანს "უწილადა", რომელიც მკვლელობის მუხლით აღძრულ საქმეში ერთერთი ეჭვმიტანილია.

24 საათი

ორი სიტყვით

თბილისი. სამართალდამცველებმა დააკავეს ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფი, დამნაშავეთა სამყაროს ერთ-ერთი ლიდერი, მრავალჯერ ნასამართლევი "კანონიერი ქურდი", 32 წლის ონისე ნიშნიანიძე. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, დაკავებულისგან ამოიღეს 0,1 გრამი ჰეროინი. **პრაიმ-ნიუსი**

თბილისი. სამართალდამცველებმა ორი ადამიანის მკვლელობისათვის ძებნილი, 43 წლის მიხეილ ლობჟანიძე დააკავეს. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, შსს-ს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს, თბილისის შს მთავარი სამმართველოს შესაბამისი სამსახურებისა და გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურატურის თანამშრომლების მიერ დაკავებულმა ლობჟანიძემ 12 მაისს, გლდანის რაიონში მდებარე ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, დანის გულ-მკერდში დარტყმით მოკლა წყალტუბოს ზონის სოფელ გვიშტიბში მცხოვრები - 40 წლის ვარლამ ჟორჟოლიანი და ამავე ასაკის ჯონდო დანელიძე. **პრაიმ-ნიუსი**

თბილისი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურია მოხსენებით წარდგა საერთაშორისო სამეცნიერო - პრაქტიკულ კონფერენციაზე, რომელიც 14 მაისს, ყაზახეთის დედაქალაქ ალმა-ათაში გაიხსნა. ორდღიანი საერთაშორისო კონფერენცია სამოქალაქო უფლებების დაცვას ეძღვნება და მასში მონაწილეობენ მეცნიერები და იურისტები გერმანიიდან, რუსეთიდან, ტაჯიკეთიდან, ყაზახეთიდან და საქართველოდან. ჭანტურია კონფერენციაზე მიწვეულია როგორც სამოქალაქო სამართლის მეცნიერებათა დოქტორი. **მედია-ნიუსი**

თბილისი. სამართალდამცველებმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის მე-2 დაწესებულებიდან 2003 წლის 10 სექტემბერს გაქცეული, 22 წლის ლაშა ქარდავა დააკავეს. თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გაქცევისთვის ძებნილი ქარდავა სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს ძებნის განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს. **პრაიმ-ნიუსი**

კვართიან-დავითიანი

თამარ ჯაჯანიძე

გუშინ ეროვნულ გალერეაში, საქართველოს სახელმწიფო ატრიბუტიკის პრობლემათა შემსწავლელი და წინადადებათა შემმუშავებელი დროებითი სახელმწიფო კომისიის ინიციატივით, გაიხსნა საკონკურსოდ წარდგენილი და შერჩეული გერბებისა და დევიზების გამოფენა. გამოფენა 17 მაისამდე გასტანს.





"კომისიის შემადგენლობაში ცხრა წევრია - ძირითადად, ისტორიკოსები და ჰერალდიკოსები. პარლამენტის კანცელარიაში გერბებისა და დევიზების ვარიანტების მიღება 4 აპრილს დაიწყო და 7 მაისს, 19 საათზე დასრულდა. 7 მაისიდან 12 მაისამდე კომისია განიხილავდა წარდგენილი 31 გერბისა და 20 დევიზის ნიმუშებს. შეირჩა 15 გერბი და 10 დევიზი, რომლებიც აქ გახლავთ წარმოდგენილი. 14-დან 17 მაისამდე ამ ნიმუშების საჯარო განხილვა მოხდება. სამდღიანი საჯარო განხილვის შემდეგ კი, 18 მაისს მუშაობას განაგრძობს ჟიური, ხოლო 18-ში საღამოს ან 19-ში დილით უკვე ცნობილი გახდება გამარჯვებული გერბი", - განაცხადა გამოფენის გახსნაზე დროებითი სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარემ ელდარ შენგელაიამ.

კომისიის მიერ ამჯერად შერჩეული დევიზებია: "სრულიად საქართველო"; "მრავალჟამიერ"; "ძალა ერთობაშია"; "როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა"; "ენა, მამული, სარწმუნოება"; "მამული, ენა, სარწმუნოება".

რაც შეეხება გერბებს, კომისიამ გადაწყვიტა, აღდგენილიყო საქართველოს ისტორიული გერბი, რაც ცხადჰყოფდა საქართველოს მრავალსაუკუნოვან სახელმწიფოებრიობას. ამიტომ, წარმოდგენილი საქართველოს სახელმწიფო გერბების პროექტების საფუძვლად გამოყენებულია ბაგრატოვანთა სამეფო გერბი "კვართიან - დავითიანი".

ობიექტური გადაწყვეტილების მიღების მიზნით, კომისიამ ავტორებს, გვარის მითითების ნაცვლად, პროექტზე მხოლოდ ნომრის და აღწერილობის, ანუ ბლაზონის, დართვის ნებართვა მისცა. თუმცა, გამოფენაზე გარკვეული ვნებათაღელვა მაინც შეინიშნებოდა. მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფი ცდილობდა, კომისიის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება დაეფიქსირებინა. ისინი უნდობლობას უცხადებდნენ კომისიის თავმჯდომარეს და ამბობდნენ, რომ, რაც იქ ხდებოდა, ფარსი იყო, და რომ კომისიას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, რომელი ვარიანტი გაიმარჯვებდა. მათი მოსაზრებით, პრეზიდენტის ბრიფინგებზე ტელევიზიით ნაჩვენებ, სავარძლის უკან დროშასთან ერთად ჩამოკიდებულ გერბს (ჯუნა მიქატაძისა და ვახტანგ რურუას მიერ დამუშავებული) აირჩევდნენ. აღნიშნული გერბი, რა თქმა უნდა, წარმოდგენილი იყო გამოფენაზე, ოღონდ ერთი ცვლილებით - სასწორი შეცვლილი იყო ოქროს საწმისით და ღუზებით.

"ჰერალდიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ფეოდალიზმის ხანაში. გერბი წარმოადგენდა სახელმწიფოებრივ ემბლემასაც და გვარის წოდებრივი პრივილეგიის სიმბოლურ ნიშანსაც. ძველი საქართველოს სახელმწიფო გერბებიდან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ბაგრატიონთა სამეფო გერბმა, XVIII საუკუნის ნიმუშმა (სხვადასხვა ვარიანტი). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს ეროვნულმა საბჭომ 1918 წელს დაამტკიცა, ივანე ჯავახიშვილის კონსულტაციით, იოსებ შარელმანის მიერ შემუშავებული გერბი, რომლის განახლებული ვარიანტი აღდგა სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1991 წელს," - განაცხადა ერთ-ერთმა კონკურსანტმა გია ჟორდანიამ, რომლის ნამუშევარი რჩეულთა შორის ვერ მოხვდა.

დროებითი სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე ელდარ შენგელაია.

ანრი ბასილია ფოტო

გამოფენაზე გაირკვა, რომ თავდაპირველად ყველა შემოთავაზებული ვარიანტის ჩვენება იყო განზრახული, თუმცა შემდეგ გადაწყვეტილება შეცვალეს და მხოლოდ კომისიის მიერ შერჩეული ნამუშევრები წარმოადგინეს.

"გერბს უნდა გამოეხატა ქართული სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია; გარკვეულწილად, უნდა ასახულიყო მემკვიდრეობითობა, შეძლებისდაგვარად - 2000-წლოვანი მიმართება მართლმადიდებლურ სარწმუნოებასთან. ერთადერთი აუცილებლად დასაცველი პუნქტი ის გახლდათ, რომ წარმოდგენილი პროექტი ჰერალდიკის არსებული კანონიკის შესაბამისი უნდა ყოფილიყო. არსებობს ფერების გარკვეული სისტემა, ფიგურების გამოსახვის მეთოდიკა, სიმბოლური განლაგება. ისტორიულ მემკვიდრეობითობას როგორ გაიაზრებდა, ეს ავტორზე იყო დამოკიდებული. კონკურსის პირობებში ისიც იყო ჩადებული, რომ თუ იდეა ორიგინალური და მისაღები იქნებოდა, მაშინ ჩვენ შეგვეძლო, სასურველი ვარიანტის მისაღებად ავტორთან გვემუშავა", - განაცხადა ჩვენთან საუბარში მხატვარმა და გრაფიკოსმა მირიან კიკნაძემ, რომელიც აღნიშნული კომისიის წევრია.

ელდარ შენგელაიას განცხადებით, კომისიის სურვილია, 26 მაისს - საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, სახელმწიფოს ახალი გერბი ჰქონდეს.

თბილისში გამომავალი ინგლისურენოვანი გაზეთი "24 საათი" თებერვლიდან გამოვა.
English newspaper 24 Hours, coming out from February on subscription basis
e-mail: public@24hours.ge
Tel: 20 24 24 Fax:20 24 25

რატომ დაჰქონდა მას 26 მაისს პასპორტი ჯიბით B2

გამოფენა, რომელიც მყუდროებას არ არღვევს B2

დეკავიუ კიევურად - „დინამოს" მეტოქეები გაუმეორდა B4

www.24hours.ge 24 B

ნომრის სტუმარი

ალარც "მეთაური", ალარც "პრეზიდენტი"

აჭარა დიდია და ღია

ამ ადამიანს ორი ოდიოზური ფიგურის მემკვიდრეობა ერგო. ოღონდ, არა ქონების, არამედ გაკოტრებული ანგარიშებისა და ვალების სახით. ლევან ვარშალომიძის რწმუნებები აჭარის ტერიტორიაზე მხოლოდ 40 დღეს გავრცელდება. ეს გაცილებით რთული დღეები იქნება, ვიდრე რკინიგზის დეპარტამენტის უფროსის კომფორტულ კაბინეტში გაუტარებია. ეს დრო, ერთგვარად, რევოლუციური მთავრობის ტესტიც იქნება - ამ რეგიონში 13 წლის განმავლობაში ადამიანები დანარჩენი საქართველოსგან განსხვავებულ რეჟიმში ცხოვრობდნენ. ამიტომაც რეგიონის ხელისუფლებას ნდობის მოპოვებისთვის ასევე განსხვავებულ რეჟიმში მოუწევს მუშაობა.

ოთხი დღე საკმარისი იყო იმისთვის, რომ დაგვენახა, რამდენად დიდი პოტენციალი აქვს აჭარას, ბათუმს. არის იდეა, რომ ბათუმი ყველაზე პრესტიჟული ქალაქი გახდეს.

აჭარის ტელევიზიის სამ სატელიტზე გასვლა თვეში 120 000 ევრო ჯდებოდა. სადღაც კენიაში და ბრაზილიაში გადიოდა აჭარის ტელევიზიის გადაცემები... რა საჭირო იყო?

კადრების საკითხი ჩემთვის ძალზე პრინციპულია. პირველ რიგში, მადლობა მინდა ვუთხრა პრეზიდენტს ბათუმის უნივერსიტეტში ჩემი ნათესავების შესახებ გაკეთებული ცნობილი განცხადებისთვის... ამის შემდეგ არც ერთ ჩემს ნათესავს არ მოუკითხია.

ყოველთვის ქმნიდნენ ილუზიას, რომ აჭარის მოსახლეობა მდიდარია. შემიძლია ყველას ვაჩვენო, რა ხდება სინამდვილეში.

ლევან ვარშალომიძე.

ბესო ბელაშვილის ფოტო

მაია ჭალაგანიძე

- რა დააშავეთ ასეთი, რომ ჯერ კაკო ჩხაიძის მემკვიდრეობა ჩაგბარდათ და მერე ასლან აბაშიძის?

- ცხოვრების თუნდაც მცირე მონაკვეთში ქვეყნისთვის საქმის გაკეთების სურვილი ნებისმიერ ადამიანს გააჩნია. ვერ გეტყვით, ეს თანამდებობები ჩემთვის ჯილდოა თუ ნდობა, მაგრამ რაც უნდა შემოთავაზება ყოფილიყო, ამ სურვილის ასრულებაზე, ალბათ, უარს არ ვიტყოდი.

- რას ნიშნავს ყველაფრის თავიდან დაწყება?

- პირველ რიგში, ეს ნდობის აღდგენას ნიშნავს. აჭარის მოსახლეობამ უნდა იგრძნოს, რომ მას პატრონი ჰყავს. ადრე ხალხი მთავრობას ემსახურებოდა, ჩვენ გვინდა, პირიქით იყოს - მთავრობა ემსახუროს ხალხს. ამისთვის ბევრი რამ არის გასაკეთებელი და ერთი და ორი თვე საკმარისი არ იქნება.

ბათუმი პატარა ქალაქია და ყველა სახელისუფლებო სტრუქტურა ერთმანეთთან ახლოს არის განლაგებული - იმდენად, რომ მანქანით გადაადგილება არ მჭირდება, ძირითადად ფეხით დავდივარ.

- ჰო, პატარა ოთხკუთხედი ქალაქია... აჭარაში ნდობის აღდგენა იოლი არ იქნება. იქ ფრთხილად ეკიდებიან სიახლეებს. ასეთ ელექტორატთან, ალბათ, გაორმაგებული ძალისხმევით მოგიწევთ იმის დამტკიცება, რომ თქვენი ნდობა შეიძლება.

- ამ მიმართულებით უკვე ვმუშაობთ. პირველი პროგრამა, რაც აჭარაში ხორციელდება, გზების რეაბილიტაციაა. ქობულეთიდან ბათუმამდე და ბათუმშიც გზები საშინელ დღეშია. ადრე ქალაქში მხოლოდ ორი საჩვენებელი ქუჩა იყო შეკეთებული, რადგან ამ ქუჩებზე ხელმძღვანელობა დადიოდა. დანარჩენ ქალაქს ბათუმად არც თვლიდნენ. ნდობის აღდგენა ერთადერთი გზით შეიძლება - საქმის კეთებით.

ამის პარალელურად მეორე ეტაპიც იწყება - საინვესტიციო პროექტების მომზადება. პირობებს ხელისუფლება დააყენებს და არა კერძო ბიზნესმენი. უფრო კონკრეტულად: დღესდღეობით სანაპირო ზოლის ძირითადი ნაწილი გაუსხვისებელია. სანაპირო ზოლის კონკრეტული სექტორებისთვის ბიზნესგეგმას მოვამზადებთ, ჩვენ განვსაზღვრავთ, სად რა უნდა აშენდეს, რამდენი უნდა იყოს პროექტის ღირებულება და ა.შ. ინვესტორს კონკრეტულ მოცემულობას ხელისუფლება მისცემს. ერთი ვალდებულება ყველას ექნება - მიცემულ დროსა და თანხებში უნდა ჩაეტიოს. ჩვენ კი დავიცავთ ინვესტორის უფლებას კერძო საკუთრების შესახებ.

- ეს ერთგვარ სირთულეებს ხომ არ შეუქმნის იმ ოჯახებს, ვინც ბინის გაქირავებით ცხოვრობს?

- ეს სექტორი ყოველთვის დარჩება, მით უმეტეს, დღეს. მთლიანად აჭარის რეგიონში არა მხოლოდ ზღვის სანაპიროს განვითარება, არამედ მთის ტურიზმის განვითარებაც შეიძლება. მაგრამ, აჭარაში მხოლოდ ტურიზმით არ იცხოვრებენ. სოფლის მეურნეობის დარგების, სხვა საწარმოების განვითარებისთვის უამრავი რესურსი არსებობს. ამ ოთხ დღეში უკვე უამრავი წინადადება მოვიდა კონკრეტული, ცნობილი ქართული და უცხოური ფირმებისგანაც. ეს მხოლოდ ოთხ დღეში და დაძაბულ გრაფიკში მოხდა. რადგან ამ მოკლე ხანში რესურსები გამოჩნდა, აზარტში ამიტომაც შევედი. ბათუმი პრესტიჟული გახდება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ შავი ზღვის მთელ სანაპიროზე.

- მცირე დროის მიუხედავად, ალბათ, ჩაიხედეთ სახელისუფლებო სტრუქტურების სამზარეულოში. როგორ იმართებოდა, ვთქვათ, ყოფილი მეთაურის აპარატი?

- მომავალში აჭარას არც ე. წ. "მეთაური" ეყოლება და არც "პრეზიდენტი." იარსებებს პარლამენტი და მინისტრთა კაბინეტი.

რაც შეეხება, აპარატს: მარტო მეთაურის აპარატის ხარჯები თვეში 80 000 ლარი იყო. ამას ემატებოდა მისი და ოჯახის წევრების დაცვის ხარჯი, რომელიც თვეში მილიონნახევარ ლარს შეადგენდა. ამ ხარჯებს აუცილებლად შევამცირებთ, ეს ჩვენი პრიორიტეტია.

აჭარის ტელევიზიაში არც კი დამისვამს ეს შეკითხვა, თავად თანამშრომლებმა მითხრეს, რომ ყოველთვიურად მილიონები იყო გამოყოფილი. ეს ხარჯები მოსახლეობას, ხალხს და ჟურნალისტებს არ ხმარდებოდა. აჭარის ტელევიზიის სამ სატელიტზე გასვლა თვეში 120 000 ევრო ჯდებოდა. სადღაც კენიაში და ბრაზილიაში გადიოდა აჭარის ტელევიზიის გადაცემები... რა საჭირო იყო?

- კაბინეტი სად გაქვთ?

- პრეზიდენტის ბრძანებულებით, რწმუნებულსა და დროებით საბჭოს აჭარის პარლამენტის შენობა დაეთმო.

- ახალი დანიშვნები ხალხში თქვენს ნდობასა და პოპულარობას დიდად განაპირობებს. როგორ იცავთ თავს უღირსი კადრებისგან?

- კადრების საკითხი ჩემთვის ძალზე პრინციპულია. პირველ რიგში, მადლობა მინდა ვუთხრა პრეზიდენტს ბათუმის უნივერსიტეტში ჩემი ნათესავების შესახებ გაკეთებული ცნობილი განცხადებისთვის...

- რაზეც იქ დამსწრე საზოგადოებამ გაიცინა. თქვენთვისაც სასაცილო იყო ეს "ხუმრობა"?

- გამეცინა, მაშინ ეს სასაცილო იყო. მადლობას კი იმიტომ ვიხდი, რომ ამის შემდეგ არც ერთ ჩემს ნათესავს არ მოუკითხია. აჭარა ისედაც რთული რეგიონია, იქ მცხოვრებ 400 000 ადამიანში ყველა ერთმანეთის ნათესავია. ამიტომაც უფრო ფრთხილად ვარ და მაქსიმალურად ვცდილობ, კადრები პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის მიხედვით მოვიძიო.

- და არა რევოლუციური დამსახურებით?

- დამსახურებას, რა თქმა უნდა, არავის ვუკარგავთ, მაგრამ აღმასრულებელ სტრუქტურაში პირველი კრიტერიუმი კვალიფიკაცია და პროფესიონალიზმია. აჭარაში ამის პოტენციალი არის. რეგიონიდან მოსახლეობის დიდი ნაწილია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გასული. უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში აჭარიდან ტვინები განდევნეს. რეალურად ძალიან რთული იყო ამ რეჟიმში მუშაობა, თუმცა, ბევრი ადამიანი დარჩა პროფესიონალად. კადრებთან დაკავშირებით ძალზე ფრთხილად ვართ.

"აღორძინების კავშირშიც" ბევრი იყო ისეთი, ძალით რომ გააწევრიანეს. ეს იმას არ ნიშნავდა, რომ რეჟიმის მომხრეები იყვნენ.

- რადგან ეს კავშირი ახსენეთ, იქნებ ისიც გვითხრათ, რა პოლიტიკას ატარებს აჭარის ახალი ხელისუფლება ყოფილი მეთაურის აქტიური მომხრეების მიმართ?

- პოლიტიკა ერთია - მთელი აჭარის მოსახლეობა ერთი საქმის საკეთებლად ერთობლივად უნდა დავდგეთ. პრეზიდენტის მიერ დაპირებული ხელშეუხებლობის გარანტია ძალაში იმ შემთხვევაში დარჩება, თუ კრიმინალი არ ჩაიდინეს და ხალხის ფული არ დაიტაცეს. მაგრამ დასახულ მიზანთან იმ ხალხთან ერთადაც უნდა მივიდეთ, ვინც უბრალო ბიუროკრატები და შემსრულებლები იყვნენ.

- როგორ განაწილდა აჭარაში ამოღებული დიდძალი იარაღი?

- ეს სამართალდამცავთა კომპეტენციაა. ეს საკითხი ჩვენ პოლიტიკურად უკვე გადაწყვეტილი გვაქვს - აღარ არსებობს ზღვარი ცენტრსა და რეგიონს შორის და რადგანაც ეს ასეა, ცალკეულ რეგიონს და ავტონომიურ რესპუბლიკას არც შეიარაღება სჭირდება და არც საჯარისო ბანდფორმირებები.

- სამინისტროების რაოდენობა შემცირდა. სხვადასხვა ეტაპზე რომელიმე უწყება კიდევ ხომ არ გამოაკლდება?

- ეს ოპტიმალური ვარიანტია. რეალურად, სამინისტროები განსაზღვრავენ რეგიონის პრიორიტეტებს და ვფიქრობ, ამ რაოდენობას შევინარჩუნებთ.

- აჭარა ნელ-ნელა ყოველდღიურობას უბრუნდება. ხვდებით მოსახლეობას, ძირითადად, რა თხოვნები და წინადადებები მოდის თქვენს სახელზე?

- ყოველთვის ქმნიდნენ ილუზიას, რომ აჭარის მოსახლეობა მდიდარია. შემიძლია ყველას ვაჩვენო, რა ხდება სინამდვილეში. ყოველ დღე ხუთასამდე წერილი შემოდის. მათი 80 პროცენტი მატერიალური თხოვნებია. ნაწილი ჯანმრთელობის პრობლემებს ეხება - ფულს ითხოვენ საკუთარი შვილების, მშობლების და ნათესავების ოპერაციებისთვის. აი, ეს არის სიმართლე - ხალხი გაჭირვებულია. ჩვენი ძირითადი მიზანი ხალხის დასაქმებაა. რესურსი არის და ხალხს ამის საშუალება უნდა მივცეთ.

- 27-28 მაისს ბათუმში ეკონომიკური ფორუმი ჩატარდება. გაჩნდა ეჭვები, რომ აჭარა რუსულ კაპიტალს უვარდება ხელში. რატომ ტარდება ბათუმში?

- ფორუმი ძალიან მნიშვნელოვანია. რუსული კაპიტალი იქნება თუ სხვა, ბიზნესისთის ეს მნიშვნელოვანი არ არის. რუსული კაპიტალის ფორუმის შემდეგ აჭარაში თურქული კაპიტალის ფორუმი მოეწყობა. ჩვენ ყველა კაპიტალს ვთხოვთ შემოსვლას. იმდენად ღიაა დღეს აჭარა და იმდენად დიდი აქვს პოტენციალი, რომ ჩვენს რეგიონს ნებისმიერი კაპიტალის ათვისების შესაძლებლობა აქვს.

- რას ელით ამ ფორუმებისგან?

- თანხების მოზიდვას, ინვესტიციებს. დიდი ენთუზიაზმით მოდიან. მაგალითისთვის გეტყვით - ბათუმის ბულვარში დღესაც იგივე რაოდენობის კაფეა, რაც ჩემი სკოლაში სწავლის პერიოდში იყო. ამის განვითარების შესაძლებლობა კი არსებობს. დამატებითი კაფე დამატებითი სამუშაო ადგილებია, დამატებთი თანხებია ბიუჯეტში და რაც მთავარია, დამატებითი თანხების ბრუნვის საშუალებაა. ეს იმ ერთი კაცის მიზეზით არ კეთდებოდა, რომელიც ყოველთვის ყველაფრის საქმის კურსში უნდა ყოფილიყო.

- ბათუმი სუუამის ქვეყნების პრეზიდენტებსაც უმასპინძლებს. ამისთვის მზად ხართ?

- დიახ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი, პირველ რიგში, საქართველოსთვის იქნება. ხუთი პრეზიდენტი პირველად იკრიბება საქართველოს ტერიტორიაზე, ეს უკვე დიდი მოვლენაა.

- დროებით საბჭოს არჩევნებამდე მცირე დრო აქვს. ეს თქვენ გძაბავთ?

- პირადად მე არ მძაბავს. აჭარის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულად ყოფნის 40 დღე საქმის კეთების საშუალებას მაძლევს და ამით კმაყოფილი ვარ.

- ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებთ?

- სიმართლე გითხრათ, არ გადამიწყვეტია.

- აჭარაში დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რა გვარის წარმომადგენელი ხართ. ვარშალომიძეები სხვა კუთხეში, მგონი, არც არიან...

- ეს დიდი გვარია. ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ვარშალომიძეებიდან ვართ. აჭარაში ბევრი მოგვარე სხვადასხვა რაიონში ცხოვრობს. ჩვენ კი ყველა ერთად ამ სოფელში ვცხოვრობთ. ეს გვარების შესახებ წიგნშიც არის ასახული. ძირითადად, ხელვაჩაურში ვართ თავმოყრილი, ერთი ჩვენი ნათესავი ზუგდიდში ჩასიძდა და მხოლოდ მე ვარ თბილისში...

- უკვე აღარ ხართ.

- ალბათ, ამ წიგნის შემდეგ გამოცემაში თბილისში აღარ ვიქნები დაფიქსირებული.

მამა პროფესიით მენავთობეა. ის დოქტორია და დღესდღეობით, მეცნიერებით არის დაკავებული. ლექციებს ბათუმის უნივერსიტეტშიც კითხულობს და თბილისის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტშიც. 1991-1993 წლებში აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეც იყო. შემდეგ სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარედ გადაიყვანეს. 9 თვის წინ მან ეს თანამდებობა დატოვა, სამეცნიერო მოღვაწეობა არჩია. დედა დიასახლისია. მყავს უფროსი ძმაც.

- უმუშევარია?

- არა, ის ტრანსპორტის სფეროში მუშაობს.

- "ბასმაჩას" მოსკოვში გაგზავნის იდეა ვის ეკუთვნის?

- ძალლის ბუნება სულ სხვაა, ის ადამიანზე უფრო ცოდოა. გადაწყვეტილება ერთობლივად მივიღეთ, რადგან "ბასმაჩა" ოთხი დღე არაფერს ჭამდა და შეიძლებოდა, მომკვდარიყო.

- კავკასიური ჯიშის ძაღლსაშენი თავისთავად უნიკალურია. ვიტყოდი, საგანძურიც არის და შემოსავლების წყაროც შეიძლება გახდეს. რას უპირებთ მას?

- აჭარაში არის ცხენსაშენი, თხები, ღორები, სირაქლემები... ძაღლების შენახვა ჩვენთვის ძვირადღირებული ფუფუნებაა. მით უფრო, ეს თანხები ბიუჯეტში არ იყო ასახული, გაურკვეველი ფული იხარჯებოდა.

- ფიქრობთ, რომ ბათუმში არიან ადამიანები, ვინც ფულს გამოაჩენს და აუქციონზე გამოტანილ ასლან აბაშიძის ქონებას იყიდის?

- ბათუმში მართლაც არსებობს ეს შიში, რადგან თავისი ბიზნესით დაგროვილი ასე დიდი რაოდენობის ფული არავის აქვს.

- როგორ გაართვით თავი რევოლუციის შემდგომ ძარცვაგლეჯას?

- აღფრთოვანებული ვარ აჭარისა და ბათუმის მოსახლეობით. უფრო მეტს ველოდით. 13 წლის განმავლობაში ხალხი შიშსა და ტერორში ცხოვრობდა. როდესაც ამის შემდეგ ადამიანი უცბად თავისუფალი ხდება, გამარჯვების ეიფორია მას უკონტროლოს ხდის. ამ შემთხვევაში, კერძო საკუთრებები დაცული იყო, მათ შორის მემედ აბაშიძის ძეგლიც.

- ბათუმში თოჯინების თეატრიც კი აბაშიძის სახელობისა იყო...

- ამ თემაზე არ გვიფიქრია...

- პრეზიდენტს რუმინეთში მიჰყვებით, რატომ?

- ვიზიტისას, ძირითადად, ეკონომიკურ საკითხებზე იქნება საუბარი. მათ შორის, ყველა სფეროში ორმხრივი ურთიერთობების საკითხებზე. სამი წელია, რაც კორსანტა-ბათუმის საბორნე გადასასვლელის გასაკეთებელი ევროკავშირის გრანტი არსებობს. ბათუმში ევროპული სტანდარტის სპეციალური ტერმინალი უნდა აშენებულიყო. მატარებლები ბორნით ევროპისკენ გაემგზავრებოდა. ეს ჩვენი დერეფანია ევროპაში. კორსანტიდან ტვირთი ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში მოხვდებოდა. რუმინეთის მთავრობა გაწბილებული იყო, რადგანაც სამი წლის განმავლობაში საქმე ვერ მოგვარდა. გვინდა, ეს ავამუშაოთ.

- კაკო ჩხაიძის მემკვიდრეობა უფრო მძიმეა თუ ასლან აბაშიძის?

- ორივეგან ანგარიშზე ნოლი და ბევრი ვალები დამხვდა.

- ორი დღით რუმინეთში ყოფნისას აჭარას როგორ დაეტყობა უთქვენობა?

- ჩავთვალოთ, რომ ეს იქნება პირველი გამოცდა - აჭარა მთავრობის ხელმძღვანელის გარეშე. პრინციპი ერთია - სისტემა უნდა აეწყოს. ერთ რომელიმე პიროვნებაზე არაფერი უნდა იყოს დამოკიდებული. ყველას საკუთარი ვალდებულებები და პასუხისმგებლობა აქვს.

- როგორ ფიქრობთ, ასე ადვილად და უსაფრთხოდ დათმობენ ფინანსურ ინტერესებსა და აჭარას?

- საფრთხე არსებობს. მით უფრო, რომ შეიარაღებული ხალხი ჯერ კიდევ ტყეშია. ჩვენ ამას პრინციპული ბრძოლა გამოვუცხადეთ.

ბათუმის პორტში, მხოლოდ ორდღიანი შემოწმებით გამოჩნდა, რომ პორტის ყოფილმა უფროსმა და ყოფილმა ვიცე-მერმა ნინიძემ ბიუჯეტს 130 000 ლარის ზარალი მიაყენა. გამოძიების ვარაუდით, ეს ზარალი ორ მილიონამდე გაიზრდება... და ეს მხოლოდ პორტში. ბათუმის მერიაშიც არამიზნობრივი ხარჯვაა. გაურკვეველი იყო ვინ, რას, რისთვის და რა თანხებით ყიდულობდა.

გავიმეორებ - პრეზიდენტმა გასცა პოლიტიკური გარანტია, მაგრამ მან, ვინც მოიპარა და მიითვისა, პირველ რიგში, ეს თანხები უნდა დააბრუნოს.

- რამდენად საინტერესო და აზარტულია თქვენთვის ახალი ქვეყნის (რეგიონის) მშენებლობის პროცესი?

- საინტერესოც არის და უკვე აზარტშიც ვარ. ამისთვის ეს ოთხი დღეც საკმარისია. რა თქმა უნდა, არჩევნებამდე ეს ყველაფერი დროებითია და აჭარაშიც ყველაფერს "დროებითს" ვარქმევთ - დროებითი საბჭო, დროებით არჩეული გამგებლები... მაგრამ ოთხი დღეც საკმარისი იყო იმისთვის, რომ დაგვენახა, რამდენად დიდი პოტენციალი აქვს აჭარას, ბათუმს. არის იდეა, რომ ბათუმი ყველაზე პრესტიჟული ქალაქი გახდეს.

- ხიბლი და პრესტიჟი ბათუმს ყოველთვის ჰქონდა.

- მით უფრო, ჩემთვის.

თეატრები

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი
ადოლფ შარლ ადანი
“ჟიზელი”
დირიჟორი: რევაზ ტაკიძე
დას: 18:00 სთ.

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
რაფიელ ერისთავი
“ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს”
რეჟისორი: გიორგი მარგველაშვილი
დას: 19:00 სთ.

სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი
აკა მორჩილაძე
“ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები”
რეჟისორი: დავით ანდღულაძე
დას: 18:00 სთ.

თეატრალური სარდაფი
ნინო ბასილია
“თაგვი”
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

თეატრალური სარდაფი ვაკეში
მორის რაველი
“ბოლერო”
რეჟისორი: გია მარღანია
დას: 19:00 სთ.

თავისუფალი თეატრი
ჯოზეფ ოზბორნი
“კომედიანტები”
რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ.

სამეფო უბნის თეატრი
ლაშა ბუღაძე
“ნუგზარი და მეფისტოფელი”
დას: 19:00 სთ.

გრიბოედოვის თეატრი
თეოდორ დოსტოევსკი
”თვინიერი”
რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ.

კინოთეატრები

ამირანი
“ბინძური ცეკვები 2”
დას: 14:00; 20:00; 22:00 სთ.

“ვნების მუდმივი ნათება”
დას: 16:00; 18:00 სთ.
ფასი: 6-9 ლარი

გამოფენა

კაფე-სალონი “სახლი”
ვახო ბესელიას ფოტონამუშევრების გამოფენა

სურათების ეროვნული გალერეა
სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა

სალონი “ხელოვნება”
XIX-XX საუკუნეების ქართველ და უცხოელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა

“ქარვასლა”
ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა

ბავშვთა ნახატების გალერეა
სკოლა-კოპლექს “სადუნთან” არსებული შემოქმედებითი სახელოსნოს მოსწავლეთა საქველმოქმედო გამოფენა

კლუბები

“აჭარა მიუზიკ ჰოლი”
დი-ჯეი Ivan Roudyk
კლუბის გახსნა: 22:00 სთ.
ფასი – 20 ლარი

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

23 მაისს და 6 ივნისს

გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი “რუსული კლუბი” წარმოადგენს მუსიკალურ წარმოდგენას ალექსანდრე პუშკინის ზღაპრების მოტივებზე - Превращения в Лукоморье

დამდგმელი რეჟისორები: ინგა გარუჩავა და პეტრე ხოტიანოვსკი
კომპოზიტორი თენგიზ ჯაიანი.
დას: 13:00; 15:00 სთ.

საიუბილეო საღამო

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ჯანსულ კახიძის სახელობის მუსიკალური ცენტრის 15 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა.

საღამოზე ვახტანგ კახიძის დირიჟორობით მუსიკალური ცენტრის სიმფონიურმა ორკესტრმა რიმსკი-კორსაკოვის "შეხერეზადას", რაველის "ბოლეროსა" და მოცარტის ნაწარმოებები შეასრულა.

ინტერ-პრესი

სტალინი

სანამ საფრანგეთში კინომანების ციებ-ცხელება გრძელდება, ხოლო პრესაში - დამაინტრიგებელი ახალი ამბების ბეჭდვა, ამერიკაში ქართველი რეჟისორი ახალი ფილმის გადაღებას იწყებს - “საქართველოში კინო მოკვდა. იმედი მაქვს, აქ მაინც შევძლებ მუშაობას” – განაცხადა სტალინის შვილთაშვილმა, რომელიც უკვე რამოდენიმე ხანია, რაც ამერიკაში იმყოფება. მინდა გადავიღო მოკლემეტრაჟიანი ფილმი, “ამერიკულ ოცნებაზე”, ჩემს პირად გრძნობებზე, რომელიც ამ ქვეყანამ შთამაგონა” – განაცხადა 38 წლის ჯუღაშვილმა, რომელიც ვაშინგტონში თავისი ბოლო ნამუშევრით “იაკობი ძე სტალინისა” იმყოფებოდა.

გივი ალხაზიშვილის სიტყვებში გახიზნული ფიქრი

რატომ დაჰქონდა მას 26 მაისს პასპორტი ჯიბით

ნანა კობაიძე

შეხვედრის ადგილი უცვლელია - კაფე "პარნასი". უცვლელია პაროლიც - პარასკევი, საღამოს 5 საათი. თუ თქვენ მწერლობა გიყვართ და თანამედროვე ლიტერატურული პროცესები გაინტერესებთ, ამიერიდან შეგიძლიათ ლიტერატურულ ხუთშაბათობებს (რომელთაც "წიგნის სახლი" მასპინძლობს), ლიტერატურული პარასკევობებიც დაამატოთ. მართალია, სივრცე ძალიან დიდი არ არის, მაგრამ გარემოა სასიამოვნო და ეგზოტიკური: კედლებზე ქართველი მწერლებისა და მათი წიგნების პლაკატებია გაკრული, იქვე პატარა კუც დასეირნობს (სამწუხაროდ, რა ჰქვია, არ ვიცი). ამ შეხვედრების მასპინძელი დღეის ამას იქით ბესო ხვედელიძე იქნება, რომელიც საინტერესო პრეზენტაციებს, დისკუსიებს და ლიტერატურულ საღამოებს გვპირდება. გუშინდელი დღე საპრემიერო გახლდათ. "პარნასული" შეხვედრები გივი ალხაზიშვილის ესეების კრებულმა - "სიტყვებში გახიზნული ფიქრი" გახსნა.

ბესომ რვა წლით უკან გადაიანაცვლა და ის დრო გაიხსენა, როდესაც რომელიღაც გაზეთში შემთხვევით წააწყდა განცხადებას, რომელიც კულტურის ინსტიტუტში ლიტერატურის ფაკულტეტის გახსნას იტყობინებოდა. განყოფილება გივი ალხაზიშვილს ებარა და მისი მაშინდელი სტუდენტები, მათ შორის, ბესოც, ნაყოფიერად მოიხსენიებენ იქ გატარებულ წლებს. თუმცა, ეს ერთადერთი შემთხვევა არ გახლავთ. ბატონ გივის არაერთი საინტერესო ავტორისთვის გაუკვალავს გზა. გამომცემლობა "მერანი," რომელსაც იგი უდგას სათავეში, ძალიან ხშირად გამოსცემდა ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტების ლექსებს. რასაკვირველია, იცოდა, რომ ეს არ იყო მომგებიანი საქმე, მაგრამ ზოგიერთი გამომცემელივით, მერკანტილური მოსაზრებებით უარი არ უთქვამს.

გივი ალხაზიშვილი იუბილეს ახალი კრებულით აღნიშნავს.

კრებული პოეტის მრავალწლიანი შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგია. მასში წარმოდგენილი ესეები გივი ალხახიშვილმა ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში დაწერა, თუმცა, პოსტსაბჭოთა პერიოდის ნააზრევთან ერთად წიგნში საბჭოთა ეპოქის ნამუშევრებსაც შეხვდებით. ეს ის ესეებია, რომელთაც, ჩემი აზრით, დროს გაუძლოო – ამბობს ავტორი, რომელიც საკმაოდ კრიტიკულად უდგება საკუთარ შემოქმედებას. როგორც თავად ამბობს, მათ მიმართ გაორებული დამოკიდებულება აქვს - ლექსებსაც და რომანებსაც ხშირად იწუნებს, ასეთივე დამოკიდებულების გამო კრებულში მხოლოდ საუკეთესო ნაწერები შევიდა. აქ არ არის საუბარი მხოლოდ წმინდა ლიტერატურულ საკითხებზე, მრავლად არის მოსაზრებანი საზოგადოებრივად აქტუალურ თემებზე, მწერლის, და საერთოდ, ადამიანის ფსიქოლოგიაზე, სხვა მწერლების წიგნებზე...

ყველაზე მოკლედ და სხარტად ეს წიგნი ტარიელ ჭანტურიამ შეაფასა. მან ლუდ "ლომისის" სარეკლამო სლოგანის პერიფრაზი გააკეთა და - კაი წიგნია ''სიტყვებში გახიზნული ფიქრიო" - მოახსენა კაფეში მყოფთ. ანდრო ბუაჩიძემ კი ახალგაზრდა გამომცემლები და ბოლო პერიოდის ტენდენცია გააკრიტიკა - ამ ტიპის ლიტერატურის გამოცემას ერიდებიანო. ნება მომეცით, ნაწილობრივ არ დაგეთანხმოთ, ბატონო ანდრო - შესაძლოა, არც ერიდებიან, მაგრამ იმდენი და ისეთი საინტერესო არ არის, რომ დაბეჭდვად ღირდეს (რასაკვირველია, ერთეული გამონაკლისების გარდა).

დაბოლოს, სიურპრიზი, რომელიც ავტორმა იმ საღამოს კაფეში შეკრებილ საზოგადოებას შესთავაზა: 26 მაისს ბატონი გივი 60 წლის ხდება. თარიღი საიუბილეოა და აღსანიშნავი, მაგრამ მწერალმა ტრადიციულ საიუბილეო საღამოს ეს ფორმა, ანუ წიგნის გამოცემა ამჯობინა. ასე დავიძვრინე თავი დაბადების დღის გადახდისგანო - ხუმრობდა გუშინ ბატონი გივი. სხვათა შორის, კომუნისტების ეპოქაში მისი დაბადების დღე კურიოზების მიზეზი ხდებოდა. მოგეხსენებათ, მაშინ საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა წარმოუდგენელი გახლდათ და შესაბამისი ორგანოების დაინტერესებას იწვევდა, ამიტომ ბატონ გივის 26 მაისს ყოველთვის ედო ჯიბეში პასპორტი. ერთხელაც, დაბადების დღის მეორე დღეს უნივერსიტეტის ერთერთ აუდიტორიაში რომ დაუბარებიათ და უკითხავთ, რას აღნიშნავდით გუშინ შენ და შენი მეგობრებიო - მაიაკოვსკის ცნობილი ლექსის დეკლამირება დაუწყია და ჯიბიდან პასპორტი ამოუღია. რასაკვირველია, "უფროსებს" ვეღარაფერი უთქვამთ. ასეთი დრო იყო მაშინ. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, მაგრამ ბატონ გივის დაბადების დღის გადახდის "შიში" დღემდე მოსდევს. ეს, რასაკვირველია, ხუმრობით, უფრო სერიოზულად კი, მინდა მისი შემოქმედების მკითხველებთან ერთად ეს საპატიო თარიღი მივულოცო და ბევრი კარგი ახალი წიგნის გამოცემა ვუსურვო.

ექსპოზიცია სახლისთვის

გამოფენა, რომელიც მყუდროებას არ არღვევს

ვერა ნეფარიძე

ფოტოგამოფენები რომ თბილისში კულტურული ცხოვრების წამყვანი მიმართულება გახდა, ფაქტია. საგამოფენო სივრცეებში გვიწვევენ პროფესიონალები, მოყვარულები; არჩევანიც, ასე თუ ისე, არის: მხატვრული და დოკუმენტური ფოტო, კოლაჟი... მრავალფეროვანია თემატიკა და ამ გამოფენათა დატვირთვაც. არის შემთხვევები, როდესაც ფოტოექსპოზიციას ფონის დატვირთვაც აქვს. მაგალითად, “წიგნის სახლში”. გუშინ გახსნილი გამოფენაც ზოგიერთისთვის, შესაძლოა, უბრალოდ, კარგი ფონი აღმოჩნდეს; მათთვის, ვინც კაფე-სალონი “სახლის” შეყვარება მოასწრო. არც ის გამიკვირდება, თუკი ზოგიერთები ამ გამოფენის შემდეგ მიეჩვევიან “სახლს”.



ვახო ბესელია საკუთარ გამოფენაზე.

პირადად ჩემს (და ჩვენი გაზეთის თანამშრომლების) ინტერესს გამოფენისადმი მისი ავტორი განსაზღვრავდა. იდეის ავტორი – ბესო გულაშვილიც და მის მიერ ამ გამოფენით წარდგენილი ვახო ბესელიაც “24 საათის” ფოტოგრაფები არიან. ამიტომ, “სახლში” მათი ფოტოებისადმი გამძაფრებული ინტერესი ვერ მიმიყვანდა – სამსახურია ეგეთი, თორემ კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა ვიცოდე მათი თითოეული კადრი? მაგრამ, ერთია, როდესაც გაზეთისთვის გადაღებულ რეპორტაჟებს ვათვალიერებ და სულ სხვაა – “კლასგარეშე თემები”; ფოტოსერიები, რომელთაც ფოტოგრაფები საკუთარი შემოქმედებითი ენერგიის შემოტევისას ქმნიან. ჰოდა, სწორედ ასეთი ფოტოები შეურჩია ბესო გულაშვილმა ვახო ბესელიას და კაფე-სალონ “სახლის” მესვეურების სურვილის გამო, მაჩაბელზე გამოაფენინა. თუმცა, მხოლოდ ეს როდი აკმარა – გამოფენას სახელწოდებაც მოუფიქრა: “-37”.

რამდენჯერაც არ უნდა შეხედოთ “სახლში” წარმოდგენილ თხუთმეტ ფოტოს, ვერასდროს მიხვდებით, რატომ ჰქვია სხვადასხვა ფოტოსერიებიდან ამორჩეული ნამუშევრების ერთობლიობას ასეთი სახელი. მინუს 37-თან არაფერი აკავშირებს არც ბათუმს, არც აბაზანაში პირის საპარსით მომარჯვებულ მამას; არც საქართველოს ახალ დროშას, არც დედის მართლა ძალიან კარგ პორტრეტს და არც დანარჩენს. უბრალოდ, ავტორია 37 წლის და ყველა ფოტოსთვის დამუშავებისას ინტენსივობა სწორედ მინუს 37 მიუცია გულაშვილს. ესაა და ეს. აბა, როგორ ჩაწვდებოდა რიგითი დამთვალიერებელი ან “სახლის” ტრადიციული სტუმარი ასე კარგად ჩვენი ფოტოგრაფების პროფესიულ სიღრმეებს? ექსპოზიცია შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილად ჩაჯდა კაფე-სალონის სტილში. გამოფენა პირიქით თუ არ იმოქმედებს, დისკომფორტს ნამდვილად არ შეუქმნის “სახლის” სტუმრებს. რაც შეეხება, ექსპოზიციისადმი ინტერესის მეორე მხარეს – ეს ვახო ბესელიას პირველი პერსონალურია. თუმცა, მისი კადრები იმის გარდა, რომ “24 საათშიც” ბევრი უნახავს მკითხველს, ცნობილია სხვადასხვა ჯგუფური გამოფენებიდან (განსაკუთრებით, “ვარდების რევოლუციის” თემატიკაზე გადაღებული). ასე რომ, უქმეებზე გაზაფხულის საღამოს გასატარებლად რომ “სახლი” ნამდვილად არაა ურიგო არჩევანი, ისედაც იცით. ეს გამოფენა კი, დაგეხმარებათ მეტი სიმყუდროვე იგრძნოთ მაჩაბელზე. გამოფენა ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდება.

ქართული მუზეუმის მომავალი

გავიხსენოთ და შევთხზათ ლეგენდები

ვერა ნეფარიძე

შეგიძლიათ გაიხსენოთ, როდის იყავით ბოლოს საქართველოს რომელიმე მუზეუმში? თუმცა, რომც ყოფილიყავით დიდი შთაბეჭდილებებით რომ ვერ წამოხვიდოდით იქიდან, ცხადია. ყოველ შემთხვევაში, იმაზე მეტს მაინც ვერ წამოიღებდით იქიდან, რაც მოსაწყენად საკითხავ სახელმძღვანელოებში გვიწერია. არადა, არავინ ეჭვს არ იწვევს ჩვენი კულტურულ-ისტორიულ-არქეოლოგიური მემკვიდრეობა. როგორც მინისტრი გიორგი გაბაშვილი გვპირდება, წელს კუტლურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო ორი მნიშვნელოვანი მიმართულებით იმუშავებს – ოლიმპიური თამაშებისა და სამუზეუმო პოლიტიკის რეორგანიზაციაზე.

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში რომ ჩვენი სამუზეუმო ცხოვრება ვერანაირ კრიტიკას ვეღარ უძლებს და რომ ეს მხოლოდ მათი ხელმძღვანელობის ბრალი არ არის, ამაზე ბევრი დაწერილა. დღეს ბევრს საუბრობენ, რომ აღარ არის წუწუნისა და ტირილის დრო. განსაკუთრებით სასიამოვნოა, როდესაც ამას ხელმძღვანელები ამბობენ და მით უკეთესია, თუკი მათ კეთილშობილურ ფრაზებს ზურგს რეალური საქმეც უმაგრებს. ერთ-ერთი ასეთი რეალური საქმე შეიძლება ითქვას, რომ დაწყებულია. თბილისში ჩამოსულია ამერიკელი ექსპერტი, ვაშინგტონის მუზეუმების ასოციაციის დირექტორი განვითარების დარგში ჯეროლდ კაპელი; დაწყებულია მოლაპარაკებები უცხოელ პარტნიორებთან კონკრეტულ პროექტებზე (სამუზეუმო სისტემის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით); საუბარი შეიძლება რამდენიმე კონკრეტულ პროექტზე. ამ ყველაფრის დასაწყისი კი 18 მაისი – მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები იქნება.

გუშინ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში გიორგი გაბაშვილი თანამოაზრეების იმ ნაწილთან, ვისთან ერთადაც სამუზეუმო პოლიტიკის შეცვლას აპირებს, ჟურნალისტებს შინაურულ გარემოში გაესაუბრა. გუშინვე გავეცანით 18 მაისის დღის განრიგს, რომლის მიხედვითაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ მუზეუმის საერთაშორისო დღე ამჯერად ჩვენს საზოგადოებას ნამდვილად დაამახსოვრდება, თუკი, რა თქმა უნდა, მონაწილეობას მიიღებს დილიდან საღამომდე სხვადასხვა მუზეუმში დაგეგმილ გამოფენებში. უცნობი მასალები საქართველოს ხალხური და გამოყენებითი მუზეუმის ფონდებიდან; ლუკას კრანახისა და იაკობ ვან რეისდალის დაბრუნებული ნამუშევრები; უნიკალური ფოტოები აფხაზეთიდან, რომელთაც ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი წარმოადგენს; მუსიკალური საკრავების მუზეუმში დაცული ექსპონატები; “ნატურმორტი ქართულ მხატვრობაში”, - ერთობლივი ვიდეოფილმი; ასევე, თანამედროვე ხელოვნებისა და თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმების ფონდებში დაცული ექსპონატები, - ალბათ, ღირს ამ ყველაფრის ნახვა ერთი დღის განმავლობაში. თუნდაც იმიტომ, რომ საზოგადოებამაც იფიქროს, როგორი განახლებული ფორმით შეიძლება ამ ყველაფრის დამთვალიერებლამდე მიტანა.

სამინისტროში დაწყებულია ამ პრობლემაზე მუშაობა და პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, საერთო მუზეუმების მმართველი რგოლის შექმნა იქნება. როგორც სამინისტროს წარმომადგენლები ამბობენ, თავისთავად გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა მოდელები, მაგრამ საბოლოო ჯამში, მას მაინც თამამად დაერქმევა ქართული მოდელი. ერთიან მმართველ რგოლში გაერთიანდება სარესტავრაციო თუ საგანმანათლებლო ცენტრები. “გერმანიაში ვნახე, რამხელა მუზეუმი ააგეს ერთი მუზარადისთვის. შვედებმა ლეგენდას დაუკავშირეს საკუთარი სამუზეუმო-ტურისტული ცხოვრება. ქართველებს ლეგენდების მეტი რა გვაქვს. ჩვენ საერთაშორისო მნიშვნელობის ლეგენდებიც შეგვიძლია ავამუშაოთ”, - გიორგი გაბაშვილის ხუმრობანარევ იდეას, ალბათ, სამომავლოდ გარკვეული პერსპექტივებიც აქვს. ასე რომ, უკვე გარკვეულია - რამდენად გონივრულად შევქმნით თუ განვავითარებთ უკვე არსებულ ქართულ ლეგენდებს და რამდენად მოვერგებით თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნილებებს. ამ ლეგენდებისა თუ რეალობის შესახსენებლად კი, მაინც ჯობს, 18 მაისს თბილისში არსებულ მუზეუმებში შეიაროთ.

კანის ფესტივალის დღიური

ნესტან ნიქარაძე
კანიდან

ვოლფგანგ პეტერსენი და ბრედ პიტი.

57-ე ფესტივალის გახსნის ცერემონიალი, თავისი წინამორბედების მსგავსად, კანისთვის ჩვეულ პომპეზურ გარემოში შედგა. ტრადიციული წითელი ხალიჩით გაწყობილი საფესტივალო სასახლის კიბეზე მსოფლიო კინოსამყაროს წარმომადგენელთა ასვლას, ვარსკვლავებზე მონადირე ფოტოგრაფების მონდომებას და ამ თუ იმ პიროვნების დანახვაზე მათ შთამბეჭდავ შეძახილებს, დაპატიჟებული სტუმრების ელეგანტურობას და დარბაზთან შეკრებილი ცნობისმოყვარეთა აღტაცებას, გაუთვალისწინებელმა და მოულოდნელმა წვიმამაც კი ვერ შეუშალა ხელი; და ისე, როგორც ყოველი წლის მაისის თვეში, კანის ფესტივალი, კინო სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული მოვლენა, გახსნილად გამოცხადდა. საფესტივალო ფილმების ჩვენება კი ალმოდოვარის ფილმით "ცუდი აღზრდა" დაიწყო.

თავისი ფილმოგრაფიის რიგით მეთხუთმეტე ფილმით ესპანელი რეჟისორი უკვე მესამედ სტუმრობს კანის ფესტივალს. ესპანური კინოს enfant terrible-ად ცნობილი ალმოდოვარი კანის ფესტივალის ერთ-ერთი ყველაზე სასურველი სტუმარია. ის ფაქტი, რომ სწორედ მის ფილმს დაეკისრა ფესტივალის პროგრამის გახსნის მისია (ესპანური ფილმი პირველად ხსნის ფესტივალს), ამის კიდევ ერთი დასტურია. გასაკვირი არც ის იყო, რომ "ცუდი აღზრდის" გადამღები ჯგუფის გახსნის ცერემონიალზე გამოჩენას პუბლიკის განსაკუთრებული აჟიოტაჟი და აპლოდისმენტები მოჰყვა.

თავად ალმოდოვარი "ცუდ აღზრდას" თავისი შემოქმედების ყველაზე პიროვნულ და სანახაობრივ ფილმად მიიჩნევს. რეჟისორის განმარტებით, მასში მრავლად არის ავტობიოგრაფიული ელემენტები. ფილმის სიუჟეტი სამოციანი და შემდეგ უკვე ოთხმოციანი წლების მადრიდში ვითარდება. რელიგიური სკოლის მოსწავლეები იგნასიო და ენრიკე პირველ დიდ სიყვარულს იზიარებენ. თუმცა იგნასიო, თავის მხრივ, სკოლის პედოფილი მოძღვარის გრძნობების და ძალადობის მსხვერპლი ხდება. ალმოდოვარის ფილმებისთვის ჩვეული ექსტრავაგანტული და ექსცენტრიული ქალების გარემო "ცუდ აღზრდაში" ჰომოსექსუალისტებით და ტრანსექსუალებით იცვლება. "ამ ფილმში ქალები არ ფიგურირებენ, - განმარტავს რეჟისორი, - ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემ შემოქმედებაში ახალი პერიოდი დაიწყო. უბრალოდ, ერთნაირი წარმატებით შემიძლია მსახიობ ქალებთან და მამაკაცებთან მუშაობა".

დიდი ხნის მანძილზე ესპანეთში რელიგიური სკოლების ტაბუირებულ თემას ალმოდოვარი მოურიდებლად შლის თავისი პერსონაჟების ისტორიის დელიკატური დეტალების ფონზე. ესპანეთში ფილმის პრემიერას ეკლესიის რეჟისორთან დაპირისპირება ჯერ არ მოყოლია, თუმცა პოლიტიკურ გამოსვლებს ადგილი უკვე ჰქონდა. კინოთეატრებთან, სადაც ფილმის ჩვენება მიმდინარეობდა, ულტრა-მემარჯვენეებმა მანიფესტაციებიც კი მოაწყვეს. და ეს სწორედ იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც მემარჯვენეებმა არჩევნების შემდეგ ესპანეთის ხელისუფლებაში პოზიციები დაკარგეს. როგორც თავად რეჟისორმა განაცხადა საფესტივალო ჩვენების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე: "მემარჯვენეების მხრიდან ეს ერთგვარი შურისძიება იყო. რადგან მე არასდროს დამიფარავს ჩემი მკვეთრად კრიტიკული დამოკიდებულება მათი პოლიტიკისადმი".

კანის ფესტივალზე "ცუდი აღზრდის" ჩვენებას კი ალმოდოვარის თაყვანისმცემელთა მსუბუქი განხიბვლა, ჰომოსექსუალისტების ერთსულოვანი აღფრთოვანება, კრიტიკოსთა საგრძნობი თავშეკავება და ახალი ვარსკვლავის, ფილმის მთავარი როლის შემსრულებლის, გაელ გარსია ბერნალის აღმოჩენა მოჰყვა. ალმოდოვარის ფილმში იგი სამ პერსონაჟს ანსახიერებს, რომელთა შორისაც ერთი ქალია. 25 წლის მექსიკელი მსახიობი წლევანდელი კანის ფესტივალის ერთ-ერთი აღიარებული ფავორიტია. მას ლათინოამერიკელ ჯეიმს დინს და ახალ ალენ დელონსაც უწოდებენ. თავად ალმოდოვარი კი თვლის, რომ ბერნალს ჯულია რობერტსის ტუჩები და მარი ტრენტინიანის მელანქოლიური თვალები აქვს. იგი ერთნაირი წარმატებით ასრულებს ქალის როლს ალმოდოვარის "ცუდ აღზრდაში" და ჩე გევარას ვალტერ სალესის ფილმში "მოგზაურობა მოტოციკლეტით", რომელიც ასევე ფესტივალის პროგრამაში მონაწილეობს.

ფესტივალის პირველი სამუშაო დღის გმირი კი ჰოლივუდის სუპერვარსკვლავი ბრედ პიტი გახდა, რომელიც გერმანელი რეჟისორის ვოლფგანგ პეტერსენის ფილმში "ტროა" აქილევსის როლს ასრულებს. პრესკონფერენციაზე ბრედ პიტმა აქილევსი მარტოხელა როკ-ვარსკვლავს შეადარა, რითაც ჟურნალისტების ღიმილი და გაკვირვებაც გამოიწვია. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბრედ პიტისეული აქილევსის როკ-ვარსკვლავთან გაიგივება უფრო მარტივია, ვიდრე მითოლოგიურ გმირთან.

"ილიადით" შთაგონებული პეტერსენის ფილმი თავისი ულტრარეალისტური ბატალური სცენებით, ეპიკური გადაღებებით, კლასიკური სიუჟეტის დასაშვებზე მეტად თავისუფალი ინტერპრეტაციით და მითოლოგიური გმირისთვის არაადეკვატურად ნავარჯიშევი სხეულის მქონე აქილევსით თანამედროვე დიდბიუჯეტიანი სანახაობრივი კინოს თვალსაჩინო მაგალითი უფროა, ვიდრე ჰომეროსის ნაწარმოების ადაპტაცია; ჟურნალისტების მრავალრიცხოვანი შეკითხვების მოსაგერიებლად, ფილმის რეჟისორმა პრესკონფერენციაზე ისიც კი განაცხადა, რომ ჰომეროსს მისი ფილმი რომ ენახა, ალბათ, ბევრს იცინებდა. საბედნიეროდ, იგი ამას რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზეზის გამო ვერ მოახერხებდა! სამაგიეროდ, ფილმში ბრედ პიტის, პიტერ ო`ტულის, დაიან კრიუგერის და ჰოლივუდის ამომავალი ვარსკვლავის ორლანდო ბლუმის მონაწილეობა, დიალოგების მელოდრამატულობა, ფილმის საერთო ბიუჯეტი და სარეკლამო კამპანიის მასშტაბი "ტროას" საერთაშორისო კინოგაქირავებაში ლიდერობის გარანტიად იქცევა.

ფესტივალის მეორე დღე, 14 მაისი, თანამედროვე ევროპული კინოს კიდევ ერთი აღიარებული ავტორის ემირ კუსტურიცას ფილმით "ცხოვრება-საოცრებაა" გაიხსნა. დილის რვა საათზე სპეციალურად პრესისთვის განკუთვნილ სეანსზე ჟურნალისტთა და კრიტიკოსთა სიმრავლე კიდევ ერთი დასტური იყო იმისა, რომ 49 წლის ბოსნიელი რეჟისორის შემოქმედებისადმი ინტერესი ძალიან დიდია. ჟურნალისტები ერთმნიშვნელოვნად და დარწმუნებით აცხადებენ, რომ კუსტურიცას უყვარს ფესტივალები და ფესტივალებსაც უყვართ კუსტურიცა. "ცხოვრება საოცრებაა" კუსტურიცას რიგით მეოთხე ფილმია, რომელსაც კანი მასპინძლობს. სამიდან ორი ფილმი – "მამა მივლინებაშია (1985 წ.) და "ანდერგრაუნდი" (1995 წ.) "ოქროს პალმებით" დაჯილდოვდა. "ბოშათა დრომ" კი 1989 წელს საუკეთესო რეჟისურისთვის განკუთვნილი პრიზი მოიპოვა. წლევანდელ ფილმს, რომელიც საკონკურსო პროგრამაში მონაწილეობს, 57-ე ფესტივალის "ოქროს პალმის" კანდიდატთა შორის ასახელებენ.

ახალ ფილმში, წინამორბედების მსგავსად, კუსტურიცა თავისი ხელწერის ერთგული რჩება. მოულოდნელობებს არც ამ ფილმში ჰქონია ადგილი. ექსცენტრიული პერსონაჟები, რეალობისა და წარმოსახვითი სამყაროს ელემენტების შერწყმა; ცხოველები, რომლებიც ტრადიციულად კუსტურიცას ფილმების არანაკლებ მნიშვნელოვანი პერსონაჟები არიან, ბურლესკი, ბალკანური მუსიკა და, რა თქმა უნდა, დიდი სიყვარულის ისტორია, რომელიც სერბებსა და ბოსნიელებს შორის მიმდინარე ომის ფონზე ვითარდება. ფილმის მოქმედების ადგილია ბოსნია, სარაევოს ახლომდებარე სოფელი, დრო კი 1992 წელი. რკინიგზის ინჟინერს ლუკას ტყვედ აყვანილი მუსულმანი გოგო შეუყვარდება. მაშინ, როდესაც მისი შვილი ბოსნიელებს ჰყავთ ტყვედ აყვანილი. "შექსპირისეული დრამა ბალკანურ დეკორაციაში" - ასე დაახასიათა თავად რეჟისორმა საკუთარი ფილმი. ფილმის მორალი კი მარტივია: ომი - აბსურდია, სიყვარული კი - ყოვლისშემძლე.

ფილმის ჩვენების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტების შეკითხვებზე, რაც კუსტურიცას პოლიტიკური პოზიციის დაფიქსირებას ისახავდა მიზნად, რეჟისორმა ერთმნიშვნელოვნად განაცხადა: "მე დამჭირდა თორმეტი წელი იმისთვის, რომ ჩემს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ერთგვარი "ესთეტიკური დისტანცია" დამეჭირა და არ მოვქცეულიყავი იდეოლოგიური გავლენის ქვეშ. ამ წლების მანძილზე ჩემი პოლიტიკური შეხედულებები მნიშვნელოვნად შეიცვალა. მე არ მსურდა ფილმში პოლიტიკური პოზიციის დაფიქსირება, კეთილისა და ბოროტის დაპირისპირება. ეს ფილმი უბრალოდ დიდ სიყვარულზეა. შეიძლება ამიტომაც მიწოდეს "სიყვარულის ჯარისკაცი". ხოლო შეკითხვაზე, თუ რატომ ჰქვია ფილმს "ცხოვრება საოცრებაა", კუსტურიცამ სერბ ჟურნალისტს უპასუხა: "მხოლოდ იმიტომ, რომ მიუხედავად იმისა, რაც თანამედროვე სამყაროში ხდება, მინდა მჯეროდეს, რომ ცხოვრება მართლაც საოცრებაა".

აქტუალური დიზაინერი ანუ ამბები „გოსლაბიდან"

თეონა ჯაფარიძე

კოლექციიდან: "თბილისი - ბელგრადი".

დიდი ხნის პაუზის შემდეგ დიზაინერი ნინო ჩუბინიშვილი ახალ კოლექციაზე იწყებს მუშაობას. ტიპური და ლოგიკური დასაწყისია სტატიისათვის, როცა დიზაინერზე აკეთებ მასალას, რომელიც ქართული მოდის ბიზნესის განვითარების ალოგიკურობას ნამდვილად გრძნობს, მაგრამ სტატიის დასაწყისი არატიპურია ქართული სინამდვილისათვის, სადაც ასეთი პაუზები თითქმის არ არსებობს და საეჭვო პოდიუმებზე საეჭვო ხარისხის დეფილეები და მათი ავტორები თვალშისაცემი სიხშირითა და პომპეზურობით ცვლიან ერთიმეორეს.

მაგრამ თავი დავანებოთ საეჭვო ხარისხებზე საუბარს და ხელოვანთა იმ გაერთიანებაზე ვისაუბროთ, რომელიც ახალ ქართულ ხელოვნებას ქმნის, რომლის წევრიც ნინოც არის და რომელსაც "გოსლაბი" ქვია.

როგორც მახსოვს, სახელწოდება "გოსლაბი" Государственная лаборатория -ს უნდა ნიშნავდეს, რაც ალბათ, ერთდროულად სახელმწიფო-შემოქმედებითი კოლექტივების მიმართ ირონიასაც გულისხმობს და, ამავე დროს, ლაბორატორიულ-ექსპერიმენტებს და შესაბამისად ახალი ხელოვნების კეთებას. თუ არ ვცდები, "გოსლაბი" 1997 წლიდან გამოჩნდა როგორც art-ისტთა გაერთიანება ქართულ კულტურულ სივრცეში, თორემ მანამდე მისი ყოველი წევრი დამოუკიდებლად ქმნიდა ხელოვნებას. პირობითად ისინი 90-იანელები არიან პოსტ-საბჭოთა სივრციდან და კონკრეტულად საქართველოდან, რომელთა ექსპერიმენტულ-ნოვატორული ხელოვნება დასავლეთმა უფრო მიიღო, ვიდრე სამშობლომ, დასავლეთში გამოდის მათი აუდიო ალბომები და დასავლურ კლუბებში ხდება მათი ხელოვნების სინთეზის დემონსტრირება. (თუმცა ამ ცოტა ხნის წინათ "გოსლაბს" აჭარა მიუზიკ ჰოლმაც უმასპინძლა.) "გოსლაბის" ნაწარმი აუდიო ანუ ელექტრონული მუსიკა და ვიდეო, ანუ ვიზუალური ხელოვნება, ვიდეო-არტი და ფოტო გახლავთ. მათი ხელოვნების სინთეზისათვის კი საუკეთესო სივრცე კლუბებია.

აგვისტოში სწორედ ჟენევის ერთერთი კლუბი უმასპინძლებს "გოსლაბის" ხელოვნებას და ნინო ჩუბინიშვილის კოლექციას. ჟენევის კოლექციისათვის სილუეტები და ხასიათები ნელ-ნელა უკვე იკვეთება დიზაინერის გონებაში და ესკიზებზე. რაც მთავარია, კოლექციისათვის უკვე არსებობს მასალა: "მასალისთვის სტამბულში წავედი და უკან დაბრუნების დროს ბეწვზე გადმოვასწარი ჩოლოქის ხიდის აფეთქებას. სამაგიეროდ, მომავალი კოლექცია სტამბულიდან ჩამოტანილი შალის, ტყავის, მაუდისა და თაფთისაგან შეიქმნება." – მიამბობს დიზაინერი. მან ჯერ ნამდვილად არ იცის რას დაარქმევს თავის ახალ კოლექციას, მაგრამ ექსტრემალურ სიტუაციებთან კონტექსტუალური დამოკიდებულება ყოველთვის ახასიათებს მის ნამუშევრებს. მაგალითისათვის მისი 1999 წლის ჩვენება გავიხსენოთ. კოლექციას ასე ერქვა: "ავიახაზები თბილისი - ბელგრადი" და ის იუგოსლავიაში მაშინ განვითარებულ მოვლენებს ეძღვნებოდა. ჩვენება "ცისფერ გალერეაში" შედგა და მნახველებზე მახსოვს დიდი ემოციური შთაბეჭდილება მოახდინა. ჯერ კიდევ მაშინ, მილიტარიზმი და ომის თემა დიზაინერებისათვის დღეს ასე მოდური მილიტარული ფერებით კი არ შემოგვთავაზა, არამედ კლასიკური სილუეტებით, რუხი და შავი ფერებით, კლასიკური, რევერანსისებური ქორეოგრაფიითა და ჟღერადობით, რომელიც საოცრად ეხმაურებოდა ბელგრადის დაბომბვას. ერთი სიტყვით ნინო ჩუბინიშვილი კოლექციის ჩვენების ოსტატია და ყოველთვის იცის კონცეფცია, თუ როგორ შეფუთოს შოუ.

რამდენიმე წლის წინ, კონკურსში "რუსკი სილუეტში" გამარჯვების შედეგად ის ერთი თვით პარიზში, "კენძოს სახლში" აღმოჩნდა სტაჟირებაზე. "კოსტიუმებისა და ესკიზების მხრივ პარიზში სტაჟირება ჩემთვის სიახლეს არ წარმოადგენდა. ჩვენების მოწყობის სტრუქტურითა და დეტალების გადანაწილებით კი ნამდვილად დავინტერესდი" – ამბობს დიზაინერი.

თბილისში დიზაინერმა კოსტუმის შექმნის საიდუმლო მრავალ რაკურსში მოსინჯა: - ცოტახნით თეატრშიც იმუშავა. "თეატრში ძალიან მომეწონა, მაგრამ იქ მაინც შებოჭილი ვარ იმიტომ, რომ სივრცე და საზღვრები წინასწარ შემოთავაზებული მაქვს. როცა კოსტიუმს პოდიუმისათვის ვქმნი, ხასიათების, სამყაროსა და ტიპაჟების არჩევანში თავისუფალი ვარ და ეს უფრო საინტერესოა". კიდევ, შეფასების კრიტერიუმების დეფიციტს განიცდის ნინო: "ჩვენების შემდეგ ყველა ამბობს, რომ მოეწონა კოლექცია, ლამაზსა და უშნოს არჩევენ, მაგრამ ეს უინტერესო კრიტერიუმებია. თბილისში, ალბათ, სულ 20 კაციც არ იქნება, ვინც რეალურად მეტყვის, თუ როგორი გამოვიდა კოლექცია. კრიტიკა არ არსებობს და ეს განვითარებისათვის ცუდია." და კიდევ ერთი ნიუანსი, რომელიც ხაზს უსვამს მის პროფესიონალიზმს: "დღეს რასაც ვქმნი – ეს ჩემი ძიებების შედეგია. ბევრად მირჩევნია წავიდე სასწავლებლად და პროფესიონალი გავხდე. პარიზის მოდის აკადემიიდან დამირეკეს. პედაგოგი მელაპარაკა და პირველად მივხვდი, რას ნიშნავს სწავლა და ამას აუცილებლად გავაკეთებ"

მანამდე კი წინ ჟენევა, ახალი კოლექცია და "გოსლაბის" შოუა, რომლის შესახებაც ინფორმაციას "24 საათი" აუცილებლად შემოგთავაზებთ.

ათეულები

კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მიხედვით

ავტორი	წიგნი	გამომცემლობა	რეიტინგი
ბოლო სივარეტი- მარტივი გზა	ალენ კარი	რუსთავი-2 პრინტი	10,4
პრეზიდენტ კამელიონის ანტისოციალური თუსებები და მისი ზემოქმედების მექანიზმი	ბ... ბიღლაკელიძე		4,0
მგელები	გირჩ მანველიძე	შპს "თბილისელები"	3,6
ნოემბრის ნეიმი	ნუგზარ შატაიძე		1,6
ოე	რატი ამაღლობელი	საარი	1,6
დაესრულდი თქვენთან	დათა გულუა	პაატა ნაცვლიშვილის გამომცემლობა	1,6
სარანეი	გირჩ მანველიძე	შპს "თბილისელები"	1,5
მე შემიძლია ცხოველების ხატვა	რეი გიბსონი	გია ქარჩხაძის გამომცემლობა	1,5
პატარა ცნობისმოყვარე	ლია შალუაშვილი	საქართველოს მაცნე	1,2
ბოლო სიგარეტი- მარტივი გზა	ალენ კარი	რუსთავი-2 პრინტი	10,4

ევროპის საუკეთესო სინგლების ათეული

შემსრულებელი	სახელწოდება	ხმის ჩამწერი კომპანია
ამური ლუდაკრისთან და ლილ ჯონთან ერთად	Yeah	"არისტა"
იმორი	It (Don't Want You Back)	Jive
D 12 ემინემთან ერთად	My Band	"ინტერსკოპი"
ანასტასია	Left Outside Alone	"ეპიკ"
მარიო ვინანსი ენრიკოსთან და ფიფტისთან ერთად	I Don't Wanna Know	"ბედ ბოი"
ლუ-ზონი	Dragostea Din Tei	"ოთხ"
Haiducii	Dragostea Din Tei	"უნივერსი"
ბედი ბეში	Suga Suga	"ბერკლი"
ბასთედი	Air Hostess	"უნივერსალი"
ბრიტნი სპირსი	Toxic	Jive

კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ბრიტანული კინოთეატრების მონაცემებით

ფილმი	რეჟისორი	მსახიობი	უკუნების შემოსავალი $	საერთო შემოსავალი $
ვან ჰელსინგი	სტივენ სომერსი	ჰიუ ჯეკმენი, ქეით ბეკინსეილი	8,8	9,6
Eternal Sunshine of the Spotless Mind	მაიკლ გონდრი	ჯიმ ქერი, კეით უინსლეტი	1,5	4,7
ჰოკალი ჰილი-2	კვენტინ ტარანტინო	უმა თურმანი, დერილ ჰანა	1,4	13,2
Laws of Attraction	პეტერ ჰოიტი	პირს ბრისნანი, ჯულიან მური	0,8	0,8
სკუბი დუ 2	რაჯა გოსნელი	ფრედის სილვერსტოუნი, შეგი ლილარდი	0,7	27,7
საიდუმლო ფანჯარა	დეივიდ კოპი	ჯონი დეპი, ჯონ ტურტურო	0,7	3
50 First Dates	პეტერ სეგალი	ადამ სენდლერი, დრიუ ბერიმორი	0,6	12,6
Confessions/Drama Queen	სარა საგერმენი	ამელ ფარისი, ლორდი ლიუნი	0,3	0,3
Shaun of the Dead	ედგარ რაიტი	სიმონ პეგი, ნიკ ფროსტი	0,3	12,9
Main Hoon Na	ფარა ხანი	შაჰ რუხ ხანი, სუნილ შეტი	0,3	1,2

ფეხბურთი

ტრაპატონი: "ადრე სხვა ფეხბურთს თამაშობდნენ"

ტრაპატონი "სკუადრა აძურაზე" საუბრობს.

ჯოვანი ტრაპატონი ფეხბურთის ყველა დროის ყველაზე წარმატებული მწვრთნელია. მოპოვებული ტიტულების რაოდენობით მას ვერავინ შეედრება. თუმცა, მისთვის არც კრიტიკაა უცხო. გასული მუნდიალის შემდეგ ყველა მის მოხსნას მოითხოვდა, მაგრამ ტრაპატონი არ გადადგა და "სკუადრა აძურასთან" ერთად ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება.

- ბატონო ტრაპატონი, თქვენ გყავთ ვიერი, დელ პიერო, ინძაგი, კორადი, დი ვაიო, მიკოლი. ყველა რომ ჩამოვთვალოთ, ორი გუნდი გამოვა. და მაინც პრობლემები გაქვთ...

- დიახ, იმიტომ, რომ მე ჯილარდინოც მყავს, ახალგაზრდა, ბრწყინვალე ტექნიკის მქონე მოთამაშე. ის შესანიშნავად თამაშობს ახალგაზრდულ ნაკრებში და ასევე შესანიშნავად ითამაშებდა ეროვნულ გუნდში.

- და წაიყვანთ მას პორტუგალიაში?

- არა, მისი დრო ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მოვა. ის ძალიან ახალგაზრდაა, საერთაშორისო გამოცდილება არა აქვს. ასეთ ტურნირზე კი გამოცდილებაა მთავარი.

- ასეთი გამოცდილება თქვენს ბევრ ფეხბურთელს აქვს. გამოდის, რომ ევროპის ჩემპიონები გახდებით?

- ჩვენ ძალიან გვინდა, რომ ევროპის ჩემპიონები გავხდეთ, მაგრამ ეს სხვებსაც უნდათ.

- ვის უწინასწარმეტყველებთ ჩემპიონობას?

- ძალიან ძლიერია საფრანგეთი, ინგლისი, ჰოლანდია, ესპანეთი, ჩეხეთი. და, რასაკვირველია, გერმანია.

- გერმანია, რომელმაც უკანასკნელად 1:5 წააგო რუმინეთთან?

- ევროპის ჩემპიონატზე სულ სხვა გერმანიას ვნახავთ. დარწმუნებული ვარ, პორტუგალიაში ის ჩვეულ ფორმაში იქნება.

- დავუბრუნდეთ იტალიას. შემადგენლობა უკვე თავში გაქვთ?

- თავში 25 ფეხბურთელი მყავს და იმედი მაქვს, არც ერთი მათგანი არ მიიღებს ტრავმას.

- რაიმე სიურპრიზი იქნება?

- ალბათ. მინდა, პაოლო მალიდინი დავარწმუნო, რათა მან კვლავ ითამაშოს იტალიისთვის.

- ახლანდელ მცველებს არ ენდობით?

- ვენდობი, მაგრამ მალდინი განსაკუთრებული ფეხბურთელია, დიდი პიროვნება. მალდინისა და ნესტაზე ძლიერი ცენტრალური დაცვა არ არსებობს.

- 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, როდესაც იტალია მერვედფინალურ ეტაპზე გამოეთიშა ტურნირს, თქვენ კრიტიკის ქარცეცხლში მოყევით. როგორ გადაიტანეთ ყოველივე?

- მე ისევე იმედგაცრუებული ვიყავი, როგორც მთელი საზოგადოება. მაგრამ იმ მატჩში ჩვენ ძალიან კარგად ვითამაშეთ, მხოლოდ გოლები გვაკლდა. ასეთი რამ ხდება ფეხბურთში.

- რომაული დერბი ჩაიშალა, არ წყდება საუბარი კორუფციაზე, იტალიური კლუბების დიდი ნაწილი გაკოტრების წინაშე დგას. არის კი ფეხბურთი ის სპორტი, რომელიც თქვენ გიყვართ?

- მე გული მწყდება ფეხბურთის ასეთ განვითარებაზე. მაგრამ რას იზამ, ეს დღევანდელობაა. დღევანდელ ახალგაზრდა ფეხბურთელებს საერთოდ არ ესმით ჩემი დროის ფეხბურთის. ადრე სხვა ფეხბურთს თამაშობდნენ - რომანტიკულს. დღეს ის სულ სხვაგვარად გამოიყურება. სულ ერთია, რა აზრის ხარ ამაზე, შენ უნდა მისდიო მას, თუ არა და, ჩამორჩები.

- რას გააკეთებს ჯოვანი ტრაპატონი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ?

- ზუსტად არ ვიცი.

- საკლუბო ფეხბურთს დაუბრუნდებით?

- ასეთი წინადადებები ახლაც მაქვს. დღესვე შემიძლია რომელიმე კლუბთან კონტრაქტის გაფორმება, მაგრამ მინდა, ევროპის ჩემპიონატის დამთავრებას დაველოდო. ვნახოთ, რა მოხდება.

დეჭავიუ კიევურად - „დინამოს" მეტოქეები გაუმეორდა



დინამოელებმა ბევრი ირბინეს, მაგრამ კიევში გოლი მაინც ვერ გაიტანეს.

გიორგი ბახტაძის ფოტო

მიხეილ აბაიშვილი

ბედის ირონიით, ლობანოვსკის ხსოვნის ტურნირზე ზუსტად განმეორდა სამი თვის წინანდელი სცენარი, როდესაც ჩვენს "დინამოს" ერთიმეორის მიყოლებით ჯერ ტირასპოლის შერიფთან", ხოლო შემდეგ რიგის "სკონტოსთან" მოუხდა დაპირისპირება. ამჯერად მოვლენები, რუსეთის ნაცვლად, უკრაინის დედაქალაქში განვითარდა. მოლდოვისა და ლატვიის ჩემპიონებს იანვარში ნაგემი მარცხისთვის რევანშის აღების ბრწყინვალე შესაძლებლობა მიეცათ და მათ შანსი ხელიდან არ გაუშვეს. ეს მარცხი ჩვენს ჩემპიონს 12 და 14 მაისს შეემთხვა. "დინამოს" გულშემატკივრებს იმით შეუძლიათ დაიმშვიდონ თავი, რომ ამ თარიღებს შორის 13 მაისია, ქართული ფეხბურთისა და "დინამოს" ისტორიაში ჯერჯერობით ყველაზე ნათელი და მნიშვნელოვანი გამარჯვების თარიღი, რომელსაც ხსენებული ორი მარცხი იოტისოდენა ჩრდილსაც ვერ მიაყენებს.

"დინამო" – "სკონტო" 0:1 (0:1)

"დინამო": ზოიძე, კანდელაკი, გიგაური, შაშიაშვილი (სილაგაძე, 62`), კვირკველია, გრიგალაშვილი, ბურდული (კანკავა, 45`), ახალაია (მელქაძე, 65`), ანჩაბაძე, ხმალაძე (რომერო, 65`), იაშვილი (დვალი, 45`).

"სკონტო": პიდელსი, ისაკოვი, დედურა, ისუმბატი, ბუიტკუსი, ბიშნეკოვი, მენთეშაშვილი, ბლანკსი (სემიონოვი, 46`), მიხოლაპი (სტარკოვი, 79`), კალნინიში (კოლესნიჩენკო, 45`), შევლიაკოვი.

გოლი: მიხოლაპი, 39`.

თამაში ქართველი ფეხბურთელების საგრძნობი აქტიურობით დაიწყო: ორი შორეული დარტყმა "სკონტოს" კარის მიმართულებით, ჩაწოდებები რიგელთა საჯარიმოში, სახიფათო საჯარიმო დარტყმები... თუმცა, ამ საწყის შტურმს მატერიალური შედეგი არ მოჰყოლია, ლატვიელმა ფეხბურთელებმა კი შეძლეს, ტემპი დაეგდეს და თამაში ჯერ წყნარ კალაპოტში გადაიყვანეს, ხოლო მე-20 წუთისთვის თავად დაეუფლნენ უპირატესობას. 25-ე წუთზე ჩვენი გუნდი აშკარა გოლს გადაურჩა: ფლანგური ჩაწოდების შემდეგ ზოიძე გამოსვლისას შეცდა და ბურთი, ბედად, ძელმა მოიგერია.

მატჩის ერთადერთი და გადამწყვეტი გოლი 39-ე წუთზე, მცველების უხეში შეცდომის გამო გავიდა: მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდების შემდეგ მაღალი ბურთისთვის ბრძოლაში ყველას მიხოლაპმა დაასწრო და კარგადაც დაარტყა. ზოიძემ კი შეძლო მოგერიება, მაგრამ ბურთი იმავე მიხოლაპს მიუვიდა და მას თამაშიდან გამოთიშული ზოიძისთვის გოლის გატანა აღარ გასჭირვებია. ამ ეპიზოდს, რომელიც საფეხბურთო საზომებით საკმაო ხნის განმავლობაში ვითარდებოდა, ქართველი მცველები სტატისტის პოზიციიდან ადევნებდნენ თვალს.

მეორე ნახევრის დასაწყისში გიგაურმა საკუთარ საჯარიმო მოედანზე რიგელთა თავდამსხმელი, ბლანკსი მოცელა და მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა 11-მეტრიანი. პენალტის შესრულება იმავე მიხოლაპმა ითავა, მაგრამ ზოიძე ამჯერადაც მოწოდებების სიმაღლეზე აღმოჩნდა.

დარჩენილ დროში ქართველი ფეხბურთელები ბევრს ცდილობდნენ, მაგრამ რიგელ ფეხბურთელთა დაცვითი ბასტიონების გარღვევას ვერაფრით ახერხებდნენ. "სკონტო" შესაძლებლობისთანავე სწრაფ კონტრშეტევას ახორციელებდა და საკმაოდ სახიფათოდაც.

ბოლო, თანაც, გოლის გატანის ასპროცენტიანი შანსი "დინამომ" 87-ე წუთზე გაუშვა ხელიდან. "სკონტოს" საჯარიმოში ჩაწოდების შემდეგ დვალმა თავით დაარტყა. მეკარემ კი მოიგერია, მაგრამ ბურთი ზედ კარის ხაზთან ერთ მეტრში მდგომ მელქაძეს დაუგდო, რომელსაც დარტყმა არ გამოუვიდა.

გია გეგუჩაძე ("დინამოს" მთავარი მწვრთნელი): "ჩვენ ახალ გუნდს ვქმნით და ეს პროცესი უმტკივნეულოდ არც ერთ გუნდში არ მიმდინარეობს. სამწუხაროდ, დღესაც დავმარცხდით, თუმცა, ცოტათი რომ გაგვმართლებოდა, საქმე შეიძლება დამატებით დრომდე მისულიყო. ვალერი ლობანოვსკის ხსოვნის ტურნირში მონაწილეობა დიდი პატივია და ფეხბურთელებს თავი არ დაუზოგავთ. თუმცა, საქართველოში უმნიშვნელოვანესი მატჩები გველის – საქართველოს ჩემპიონატის დასკვნითი ორი ტური, რომელშიც ჩემპიონის ვინაობა უნდა გაირკვეს და საქართველოს თასის ფინალი. ამიტომ ჩემი ფეხბურთელები, გარკვეულწილად, ამ მატჩებზე არიან კონცენტრირებული, რის გამოც მათ მიმართ ძალიან მკაცრი ვერ ვიქნები."

"დინამო" დღეს დაბრუნდება თბილისში, ხვალ კი ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურის მატჩში "ვიტ ჯორჯიას" უმასპინძლებს. თუ "დინამომ" გაიმარჯვა, შეიძლება ჩემპიონის ტიტული ხვალვე გაიფორმოს.

სტადიონები მზადაა

პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონატის დაწყება დღესვე შეიძლება.

პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონატისთვის სამზადისი მთავრდება. ათივე სტადიონი, რომელთა მშენებლობისა და აღდგენისთვის პორტუგალიის მთავრობამ დაახლოებით 550 მილიონი დოლარი გამოყო, ექსპლუატაციისთვის მზად არის. ტურნირის ორგანიზატორები უკვე საბოლოო მზადებას გადიან.

ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩებს უმასპინძლებს პორტუგალიის შვიდი ქალაქი: ბრაგა, გიმარაეში, პორტუ, ავეირუ, კოიმბრა, ლეირია, ლისაბონი და ფარუ. პორტუგალიის ნაკრები თავის მატჩებს ქვეყნის დედაქალაქ ლისაბონში გამართავს და ქვეჯგუფის მეტოქეებთან სწორედ აქ გაარკვევს ურთიერთობას.

ყველა არენამ, რომლებიც კონტინენტის ჩემპიონატის მატჩებს უმასპინძლებენ, წარმატებით გაიარეს აპრობაციის პროცესი – პორტუგალიის ჩემპიონატის, თასის გათამაშებისა და ამხანაგური საერთაშორისო მატჩების სერიით. ამის მიუხედავად, ორგანიზატორები ამტკიცებენ, რომ საჭიროა ყოველი სტადიონის ინფრასტრუქტურა განვითარდეს.

"ეს მნიშვნელოვანი მომენტია, – განმარტავს ტურნირის დირექტორი ანტონიუ ლარანჟუ, – ჩვენ მოგვიწევს, კეთილმოვაწყოთ ოფისები და ბარები, დავამონტაჟოთ საინფორმაციო სისტემები და სარეკლამო დაფები. დავასრულოთ დეკორაციული სამუშაოები. ორგანიზატორებს ჯერ კიდევ არ დაუსრულებიათ სტადიონების გარშემო ავტოსადგომების შექმნის პროცესი და არ შეუქმნიათ არენების ირგვლივ სამედიცინო დაწესებულებისთვის საკმარისი რაოდენობის ადგილები.

როგორც ჩანს, არც გაზონების საქმეა ბოლომდე მოგვარებული და ის ყურადღებას ითხოვს. საქმე ის არის, რომ კოიმბრასა და გიმარაეშში უნდა შესრულდეს დამატებითი სამუშაოები მინდვრის ბალახის ფერის შესაცვლელად. "მინდვრებს სატელევიზიო გამოსახულებისთვის იდეალური ფერი ჯერ არა აქვთ, – განაცხადა პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ანჯელო ბროუმ, – თუმცა, თუ საჭირო იქნება, ჩვენ ევროპის ჩემპიონატის დაწყება დღესაც შეგვიძლია. რა თქმა უნდა, გარკვეული სირთულეები იქნება, მაგრამ ტურნირის დაწყება უკვე შეიძლება".

უახლოეს პერიოდში დაიწყება სამუშაოები სტადიონებზე ჟურნალისტებისთვის ადგილების მომატების თვალსაზრისით. შეიქმნება ვოლონტერების შტაბი, ოფისები მარკეტინგული კომპანიებისთვის და აკრედიტაციის ზონები. "ამჟამად სტადიონები ჩვენს იურისდიქციაშია და ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა. თუმცა, ამავე დროს ჩვენ მოვიპოვეთ ყველა უფლება აუცილებელი სამუშაოების ჩასატარებლად", – განაცხადა ანტონიუ ლარანჟუმ.

სამეფო კლუბი ცხელი ზაფხულის მოლოდინში

აკა ტონია

მადრიდის "რეალისა" და მისი მომავალი ტრანსფერების შესახებ სულ უფრო საინტერესო ინფორმაციები ვრცელდება. ამიტომაცაა, რომ ჩვენი გაზეთი თითქმის ყოველდღიურად გაწვდით ახალ-ახალ ცნობებს სამეფო კლუბის შესახებ. გუშინდელი დღის შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილა, თუმცა, საინტერესო სიახლეები მაინც არის. "რეალის" სასურველ ფეხბურთელთა სიაში ახალი გვარები ამოტივტივდა. გამოჩნდნენ ახალი მწვრთნელები.

დავიწყოთ იმით, რომ სუპერვარსკვლავის, ეგრეთ წოდებული "გალაქტიკოს" შეძენა "რეალს" წლეულსაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი. "გარწმუნებთ, "რეალის" ახალი შენაძენი მეგავარსკვლავი იქნება", - განუცხადა სამეფო კლუბის პრეზიდენტმა პერესმა ესპანურ გაზეთ "მარკას". ასეთ ფეხბურთელად აქამდე მხოლოდ ერთი, იტალიური "რომას" სიმბოლო ფრანჩესკო ტოტი მოიაზრებოდა. ტოტის თემა ახლაც აქტუალურია. მეტიც, ეს საქმე წინ მიიწევს. მადრიდის "რეალის" ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, რომელმაც საკუთარი ვინაობის გამხელა არ ისურვა, განაცხადა: "ჩვენი კლუბიდან არავინ გამგზავრებულა რომში, მაგრამ ტოტისთან ინტენსიურად განვაგრძობთ მოლაპარაკებას. შევთანხმდით, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას საფეხბურთო სეზონის დასრულების შემდეგ მივიღებთ. ახლა მეტს ვერაფერს გეტყვით". თავად ტოტი კი აცხადებს, რომ კლუბიდან წასვლა-არწასვლის შესახებ გადაწყვეტილებას მხოლოდ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მიიღებს.

ტოტის გარდა, მადრიდელების სასურველ ფეხბურთელთა სიაში კიდევ ერთმა გვარმა იჩინა თავი: "მანჩესტერ იუნაიტედის" მფრინავი ჰოლანდიელი, რუუდ ვან ნისტელროი. თუმცა, ამ საქმესთან დაკავშირებით არც ერთი დეტალი არ არის ცნობილი.

დავანებოთ თავი "მეგავარსკვლავებს" და "უბრალო მოკვდავების" შესახებაც ვთქვათ ორიოდე სიტყვა. მით უმეტეს, რომ მათთან დაკავშირებით უფრო კონკრეტული ინფორმაციის მოწოდება შეგვიძლია. ტოტის თანაგუნდელის, არგენტინელი ვალტერ სამუელის "რეალში" ტრანსფერი ჯერჯერობით ყველაზე რეალური ჩანს. სამეფო კლუბი ძალიან არის დაინტერესებული მისი გადაბირებით. თავად ფეხბურთელის თქმით, მას მხოლოდ "რეალში" სურს თამაში. ჰოდა, რა უდგას ამ ამბავს წინ? - რა და "რომა". ვალტერ სამუელის სანაცვლოდ "რეალი" თანახმაა, 12-15 მილიონი გადაიხადოს, მაშინ როდესაც რომან აბრამოვიჩი 25 მილიონ ევროს სთავაზობს "რომას". იტალიური კლუბისთვის, ცხადია, "ჩელსის" ვარიანტია სარფიანი, მაგრამ ფეხბურთელის ნების წინააღმდეგ წასვლაც ძალიან ძნელია. "რომას" ყოფილი თავდამსხმელი, არგენტინელი აბელ ბალბო ახლა სწორედ სამუელის აგენტია. ბალბომ ინტერვიუ მისცა ერთ-ერთ ესპანურ რადიოსადგურს და დაადასტურა ის ფაქტი, რომ მისი კლიენტი "ჩელსიში" გადასვლაზე უარს ამბობს. არადა, აბრამოვიჩის წინადადებაზე უარის თქმა და "რეალში" გადასვლა თავად ფეხბურთელისთვისაც ზარალია. "ჩელსი" მას 4,5 მილიონს სთავაზობს წელიწადში, მადრიდში კი ის მილიონით ნაკლებს მიიღებს. ასეა თუ ისე, სამუელს ფული არ აინტერესებს, მას მხოლოდ "რეალში" თამაში უნდა... თუმცა, ბოლო დროს გავრცელებული ცნობები, თითქოს "რეალთან" კონტრაქტი უკვე მომავალ კვირას გაფორმდებაო, სიმართლეს არ შეესაბამება. აბელ ბალბოს თქმით, კლუბებს ხანგრძლივი მოლაპარაკება ელით წინ. ბალბო კარგად იცნობს "რომას", იცის, რომ ეს კლუბი ასე ადვილად ვერ ელევა თავის ფეხბურთელებს.

კაპელო შეიძლება მადრიდში იხილონ.

შემდეგი საკითხი მწვრთნელის საკითხია, თანაც, ალბათ, ყველაზე აქტუალური. "რეალმა" რომ არც ერთი ტრანსფერი არ განახორციელოს, ახლანდელი შემადგენლობით მომავალ სეზონშიც შეძლებს თამაშს. მაგრამ ისურვებს კი სამეფო კლუბი იმ მწვრთნელის დატოვებას, რომელმაც სახელოვანი "რეალი" მიმდინარე სეზონში საერთოდ უტიტულოდ დატოვა? - არა, მადრიდელები ახალ დამრიგებელს ეძებენ, თანაც, ძალიან ინტენსიურად.

სასურველ მწვრთნელთა სიაში ფიგურირებდა "ლაციოს" ახლანდელი თავკაცის, რობერტო მანჩინის, ამჟამად "ბენფიკაში" მოღვაწე ხოსე ანტონიო კამაჩოს და "პორტოს" თავკაცის, ჟოზე მაურინიოს გვარები. მანჩინის კანდიდატურა, ფაქტობრივად, უკვე გამოირიცხა, თუმცა, კამაჩოსა და მაურინიოს ვარიანტები დღემდე ძალაშია. ხოსე ანტონიო კამაჩო - ადამიანი, რომელიც ფეხბურთელობის ჟამს "რეალის" ვარსკვლავი იყო, რომელიც დღემდე ძალიან უყვარს მადრიდელ გულშემატკივარს და რომელსაც ძალიან თბილი ურთიერთობა აქვს კლუბის ახლანდელ ხელმძღვანელობასთან. მიუხედავად ამისა, "რეალში" მის გადასვლას არც კამაჩო და არც თავად კლუბი არ ადასტურებს. რაც შეეხება მაურინიოს, მის შესახებ სულ ცოტა ხნის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს მან უკვე მოაწერა ხელი წინასწარ კონტრაქტს ლონდონის "ჩელსისთან". თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს დაუდასტურებელი ინფორმაცია იყო და გავიხსენებთ მაურინიოს მიერ სულ ახლახან წარმოთქმულ სიტყვებს, რომ ის მსოფლიოს საუკეთესო კლუბში მუშაობაზე ოცნებობს, მაშინ... საკითხავი მხოლოდ ის არის, მიიჩნევს კი მაურინიო მსოფლიოს საუკეთესო კლუბად მადრიდის "რეალს"?

ასეა თუ ისე, უკვე არსებულ, ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ გვარებს კიდევ დაემატა რამდენიმე კანდიდატურა. "ვალენსიასა" და "ბეტისის" ახლანდელი მწვრთნელები, რაფაელ ბენიტესი და ვიქტორ ფერნანდესი. და კიდევ ერთი - ფაბიო კაპელო "რომადან". თუმცა, ბენიტესისა და ფერნანდესისგან განსხვავებით, კაპელო კატეგორიულად გამორიცხავს "ბერნაბეუზე" მისი დაბრუნების ალბათობას.

ინფოთეკა

ფეხბურთი. პორტუგალიის ნაკრებისა და ფრანგული პსჟ-ის ფორვარდმა პედრო პაულეტამ უარყო ხმები გუნდიდან მისი წასვლის შესახებ. "დარწმუნებული ვარ, რომ პსჟ-ში ვრჩები, – ამბობს ფეხბურთელი, – მე ჩემპიონატისა და თასის მატჩებში 16 გოლი გავიტანე და ვერ ვხვდები, რატომ ლაპარაკობენ ჩემი ტრანსფერის შესახებ".

■ ■ ■

ფეხბურთი. ჰოლანდიის "ფეიენოორდი" იმედოვნებს, რომ დანიის ნაკრებისა და "მილანის" ფეხბურთელი მარტინ ლაურსენი კლუბთან კონტრაქტს გააფორმებს. "მილანმა" თანხმობა უკვე განაცხადა. ახლა "ფეიენოორდს" მხოლოდ ფეხბურთელის დათანხმება სჭირდება. ჰოლანდიელთათვის კიდევ ერთი წინაღობა ის არის, რომ ლაურსენზე "გლაზგო რეინჯერსიც" აცხადებს პრეტენზიას. "ჩვენ "მილანთან" და ფეხბურთელთან ვისაუბრეთ, – ამბობს "ფეიენოორდის" ტექნიკური დირექტორი მარკ ვოტტე, – ჩვენ უაღრესად დაინტერესებული ვართ ამ ცენტრალური მცველის შეძენით და, დარწმუნებული ვართ, ის გუნდს გააძლიერებს. თუმცა, მის შეძენას ბევრი კლუბი ცდილობს და მხოლოდ ლაურსენის გადასაწყვეტია, თუ სად გააგრძელებს საფეხბურთო კარიერას".

■ ■ ■

ფეხბურთი. 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონი ტომას ჰესლერი თავის პროფესიულ კარიერას ამთავრებს. ახლა 37 წლის ფეხბურთელი ავსტრიული "ზალცბურგის" ღირსებას იცავს. "მე უკვე ბევრი ვითამაშე. დადგა დრო, ფეხბურთს დავემშვიდობო. ეს ჩემი უკანასკნელი სეზონია", – განაცხადა ჰესლერმა.

■ ■ ■

ფეხბურთი. მილანის "ინტერის" მცველმა ფაბიო კანავარომ განაცხადა, რომ ადვილი შესაძლებელია, მომავალი სეზონიდან "ჩელსის" არგენტინელი გამთამაშებელი ხუან სებასტიან ვერონი "ინტერში" გადავიდეს. "ვერონი დიდი ფეხბურთელია. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ "ინტერში" ვერონის დონის ფეხბურთელის მოსვლას ყოველთვის სიხარულით შეხვდებიან", – განაცხადა კანავარომ. ამას წინათ ვერონმა განაცხადა, რომ არ სურს "არტისტოკრატთა" შემადგენლობაში დარჩენა და კლუბს სთხოვა, ტრანსფერზე დააყენონ. ახლა კი გაისმა ხმები, რომ "ინტერი" ფეხბურთელის შეძენას აპირებს.

■ ■ ■

ფეხბურთი. ჰოფკინ კაპაროსი კიდევ ერთი წლით დარჩება ესპანური "სევილიას" მთავარი მწვრთნელის პოსტზე. 48 წლის ფეხბურთელმა კონტრაქტს ახლახან მოაწერა ხელი. კაპაროსი "სევილიას" 2000 წლიდან უდგას სათავეში. წლეულს, ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე, გუნდი 49 ქულით გათამაშების ცხრილში მე-9 ადგილზეა და უეფას ზონაში მყოფ მადრიდის "ატლეტიკოს" 4 ქულით ჩამორჩება.

■ ■ ■

ჩოგბურთი. ლეგენდარული მარტინა ნავრატილოვა აპირებს, "როლან გაროსის" ტურნირზე ერთეულთა თანრიგში ითამაშოს. 47 წლის ჩოგბურთელმა შეჯიბრების ორგანიზატორებისგან "ველური ბარათი" მიიღო. ნავრატილოვამ უკანასკნელად ამ ტურნირში 1994 წელს ითამაშა და ასპარეზობას პირველივე წრეში გამოეთიშა. "დარწმუნებული ვარ, იმაზე უარესად ვერ ვითამაშებ, ვიდრე 10 წლის წინათ და ორგანიზატორებს "ველური ბარათი" ვთხოვე", – ამბობს ნავრატილოვა. თავისი გადაწყვეტილება ნავრატილოვამ იმით ახსნა, რომ სურს, წყვილთა თანრიგისთვის კარგი პრაქტიკა მიიღოს.

■ ■ ■

კრივი. ნევადის შტატის ათლეტიკურმა კომისიამ უარყო მენი პაკიაოს წარმომადგენლის აპელაცია, რომელიც ითხოვდა, ხუან მანუელ მარკესთან მისი კლიენტის ბრძოლის შედეგი ხელახლა გადაესინჯათ. ამ გადაწყვეტილებას კომისიამ საფუძვლად დაუდო ის ფაქტი, რომ არ იყო ზუსტი კრიტერიუმები იმისთვის, რათა ქულები რაუნდების მიხედვით ხელახლა შეეფასებინათ და სააშკარაოზე გამოეტანათ. თანაც, ასეთი სიტუაცია წესების მიხედვით გათვალისწინებული არ არის და, შესაბამისად, შედეგის გადახედვაც არ შეიძლება. "როგორც ფეხბურთის მსაჯს არ შეუძლია, მატჩის შემდეგ შეცვალოს თავისი გადაწყვეტილება, ისე რეფერისაც არ ძალუძს რაუნდის დასრულების შემდეგ წინა რაუნდის შედეგი შეცვალოს ან გააუქმოს", – ნათქვამია კომისიის წარმომადგენლის წერილში. შეგახსენებთ, რომ პაკიაოს პროტესტს საფუძვლად დაედო ერთერთი მსაჯის აღიარება, თითქოს პირველი რაუნდის შედეგების დემონსტრირებისას მან შეცდომა დაუშვა.

■ ■ ■

კრივი. მექსიკური წარმოშობის ამერიკელმა ხულიო დიასმა IBF-ის ვერსიით მსუბუქ წონაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მსაჯების უმეტესობამ უპირატესობა მას მიანიჭა. დიასი თავის მეტოქეს ბევრად სჯობდა როგორც ტექნიკური თვალსაზრისით, ისე სისწრაფითაც. თუმცა, ერთ-ერთმა მსაჯმა ჩათვალა, რომ ბრძოლა თანაბარი იყო და 114:114 დაფიქსირა. დანარჩენმა ორმა მსაჯმა დიასს არგუნა გამარჯვება, თანაც, ერთნაირი ანგარიშით – 118:110. ამ შოუს ფარგლებში გაიმართა რვარაუნდიანი ბრძოლა პირველ მძიმე წონაში საქვეყნოდ ცნობილ, ყოფილ მსოფლიო ჩემპიონ ორლინ ნორისსა და ნაკლებად ცნობილ ბრაზილიელ რობერტო კოელიოს შორის, რომელიც ნორისის გამარჯვებით დამთავრდა.

ძალოსნობა

კახი კახიაშვილი - 2004

გიგა გურასაშვილი



კახიაშვილი ოლიმპიურ ოქროზე ფიქრობს.

მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ძალოსანი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი კახი კახიაშვილი რა ხანია საბერძნეთის სახელით გადის ფიცარნაგზე. საქართველოდან გადახვეწილმა ქართველმა ძალოსანმა ახალი სამშობლოსთვის ორჯერ მოიპოვა ოლიმპიური ოქროს მედალი. მანამდე კი პირველს ნამდვილი სამშობლოსთვის - საქართველოსთვის, თუმცა, თანამეგობრობის ქვეყანათა სახელით, ბარსელონაში დაეუფლა. კახიაშვილი ახლა მეოთხე ოლიმპიურ ოქროს უმიზნებს. წინა ოლიმპიური თამაშებისგან განსხვავებით, ამჯერად შინ – ათენში გამოვა. წლევანდელი თამაშები იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ იგი ოლიმპიადების ისტორიულ სამშობლოში იმართება.

გთავაზობთ ინტერვიუს კახი კახიაშვილთან, რომელსაც ათენში ტელეფონით შევეხმიანეთ.

- რა ხდება ათენში, როგორ ემზადება ოლიმპიური თამაშებისთვის? უცხოური სააგენტოები არცთუ სასიამოვნო სურთს გვიხატავენ. მართლა ასე კატასტროფულადაა საქმე? როგორ ფიქრობ, 13 აგვისტომდე დასრულდება თუ არა ოლიმპიური ობიექტების მშენებლობა?

- ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა იოლი საქმე არაა. საბერძნეთი კი პატარა ქვეყანაა, ასე რომ, ბუნებრივია, გარკვეული შეფერხებები არსებობს. პირადად მე მგონია, რომ რამდენიმე ობიექტის მშენებლობა ვერ დასრულდება. გამორიცხული არაა, ზოგიერთი ობიექტი საერთოდ გაუქმდეს. რამდენადაც ვიცი, უარი ითქვა საცურაო აუზის გადახურვაზე, რადგან 13 აგვისტომდე ვერ ესწრებოდა. ახლა მე მთელი ყურადღება ვარჯიშებზე მაქვს გადატანილი და ორგანიზაციულ საკითხთა დეტალებში ნაკლებად ვერკვევი. მხოლოდ ის ვიცი, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდან მოვლინებული ექსპერტები ბოლო დროს დადებითად აფასებენ ათენის მზადების ტემპებს. ალბათ, ობიექტების 95 პროცენტი მზად იქნება, თუმცა, მგონია, რომ რამდენიმეს საბოლოო იერსახემდე მიყვანა მაინც ვერ მოესწრება. ამ შემთხვევაში ნაკლებად მნიშვნელოვან ობიექტებს ვგულისხმობ.

- საბერძნეთის ძალოსანთა ნაკრები სად ემზადება? ძალოსანთათვის განკუთვნილ "ნიკაიას" დარბაზში, რომელმაც უკვე მოასწრო რამდენიმე ასპარეზობის მასპინძლობა თუ...

- ჩვენ კი ვცდილობთ, რომ სწორედ იქ მოგვცენ ვარჯიშის უფლება, სადაც ოლიმპიური მედლები გათამაშდება, მაგრამ, ჯერჯერობით, საორგანიზაციო კომიტეტი უარს გვეუბნება.

- თამაშებამდე ცოტა ხნით ადრეც არ შეგიშვებენ?

- ძალიან გვინდა, თამაშებამდე ერთი თვით ადრე მაინც შეგვიშვან დარბაზში, რათა იქაურ ატმოსფეროს შევეგუოთ, მაგრამ უარს გვეუბნებიან.

- შენს წონაში ორჭიდის ჯგამში რამდენის დაძლევა იქნება საკმარისი იმისთვის, რომ ოლიმპიურ ოქროს დაეუფლო?

- 405-407 კილოგრამი საკმარისი იქნება ჩემპიონობისთვის.

- ჩემპიონობისთვის თქვენთანაც იქნება დაწესებული პრემიები. თუ საიდუმლო არაა, რამდენს გპირდებიან?

- ამასთან დაკავშირებით ჯერჯერობით არაფერია გარკვეული. თუმცა, პრემიები იქნება. ყოველთვის იყო და ახლაც იქნება, მაგრამ რამდენს დააწესებენ, არ ვიცი. წინა ოლიმპიურ თამაშებზე 47 მილიონი დრაჰმა იყო დაწესებული (დაახლოებით 170-180 ათასი აშშ დოლარი.-რედ.).

- ათენის ოლიმპიური თამაშები რიგით მეოთხე იქნება შენთვის. ოლიმპიადის შემდეგ რას აპირებ, ისევ შტანგას შეეჭიდები თუ...

- რა თქმა უნდა, ოთხ ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლა ადვილი არ არის. ახლა ზუსტად ვერაფერს ვიტყვი. ვფიქრობ. არ ვიცი, დავრჩე სპორტში თუ შევეშვა. თუ საინტერესო არაფერი გამოჩნდება, მაშინ გამორიცხული არ არის, მეხუთე ოლიმპიურ თამაშებზე – 2008 წელს პეკინშიც გამოვიდე.

- რით იქნება განსხვავებული XXVIII თამაშები წინამორბედებისგან?

- ახლა მხოლოდ იმის თქმა შეიძლია, რომ უპირატესობა ჩვენს მხარეს იქნება. საბერძნეთის ოლიმპიური ნაკრები შინ გამოდის, რაც გარკვეულ უპირატესობას გვაძლევს სხვა ქვეყნებთან შედარებით. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ყველა ქართველ ოლიმპიელს წარმატებები ვუსურვო ათენის ოლიმპიურ მიწაზე.

ბოულინგი

ბოულინგის ფილოსოფია

ბოულინგი აზარტული თამაშია.

თუ თქვენი ფილოსოფია ხარისხთან ასოცირდება, მაშინ უთუოდ უნდა გახდეთ ბოულინგკლუბის წევრი. გარწმუნებთ, თქვენ არა მარტო კარგად გაერთობით და სპორტულ ფორმას შეინარჩუნებთ, არამედ ნათლად შეიგრძნობთ კლუბური სისტემის უპირატესობებს.

ასე რომ, თუ ბოულინგის თამაში თქვენთვის მხოლოდ ჰობი კი არ არის, არამედ უკვე ჩვევადაც გექცათ, რასაკვირველია, ჯობს, ლიგაში გაწევრიანდეთ. ლიგის წევრობა თქვენი პროფესიული თამაშის დახვეწის გარანტიას იძლევა. ამასთან, გამოგიმუშავდებათ ის უნარ-ჩვევები, რაც პროფესიონალ ბოულერად ჩამოგაყალიბებთ.

თუმცა, ვიდრე ბოულერთა ლიგის საკითხებს უფრო დეტალურად და საფუძვლიანად გაგაცნობთ, შეგახსენებთ, რომ გართობის ეს ინდუსტრია მარტოოდენ ბოულინგის სათამაშო ბილიკებით არ მოიფარგლება: დახვეწილი ინტერიერი, ჩინებული ბარ-რესტორანი და გემოვნებიანი მუსიკა თქვენი ემოციური განტვირთვის საწინდარია. ისღა დაგრჩენიათ, გააგოროთ ბურთი და გახალისდეთ. ბურთის გაგორება რომ ძალზე მარტივია, ამას დიდი ფილოსოფია არ სჭირდება, მაგრამ მთელი ფილოსოფია იმაში მდგომარეობს, ბოულინგის რომელი მხარე უფრო გიზიდავთ: გართობა თუ სპორტი.

სპორტულ ნატურებს, ცხადია, ლიგის პრიორიტეტებით სარგებლობას ვურჩევთ. ერთ-ერთი ასეთი პრივილეგია მაღალხარისხიანი ბურთების შედარებით დაბალ ფასად შეძენის საშუალებას იძლევა. სხვა მხრივ კი საშეღავათო ბონუსებით განებივრება იგულისხმება.

მოკლედ, თუ გსურთ, ხარისხიანი სერვისის მთელი ფილოსოფია საკუთარ თავზე გამოსცადოთ, არჩევანი თქვენთვის მოგვინდვია. ჩვენი მხრიდან მხოლოდ იმას დავძენთ, რომ ბოულინგცენტრი ნამდვილად გაგიმართლებთ იმედებს.

აბა, ითამაშეთ ბოულინგი და გაატარეთ დრო სასიამოვნოდ – აი მთელი ფილოსოფია.

მოკლედ

ჟაკ ანკეტილის ხატი დაიმსხვრა

ლეგენდარულმა ფრანგმა ველომრბოლმა შვილობილსა და სარძლოს თითო შვილი გაუკეთა

1957-1964 წლებში "ტურ დე ფრანსის" ხუთგზის გამარჯვებული ჟაკ ანკეტილი, რომლის სახელსაც 200-მდე გამარჯვება უკავშირდება, განათხოვარ ქალთან ცხოვრობდა. პირველი ქორწინებიდან მას ქალ-ვაჟი ჰყავდა, მაგრამ ოპერაციის შემდეგ კი შვილების გაჩენა აღარ შეეძლო. "მეტრ ჟაკს", როგორც მას პელოტონში უწოდებდნენ, სურდა, ჰყოლოდა მემკვიდრე, რომლის ძარღვებშიც მისი სისხლი იჩქეფებდა.

ჟაკი ჯერ სუროგატულ დედას ეძებდა, მაგრამ მოგვიანებით მას და მის მეუღლეს, ჟანინს, უჩვეულო იდეა მოუვიდათ. იმისთვის რომ ქონება არ გაყოფილიყო, მათ დაარწმუნეს ჟანინის ქალიშვილი, ანი, ჟაკისგან ბავშვი გაეჩინა. და ერთ მშვენიერ დღეს დაიბადა სოფი. ანკეტილი, რომელიც პენსიაზე გასვლის შემდეგ მშობლიურ ნორმანდიაში, უზარმაზარ მამულში დასახლდა, ფაქტობრივად, ორმაგ ქორწინებაში მყოფი სულთანი გახდა – თავისი ცოლი ჟანინით და შვილობილი ანით. "ხშირად მისთვის ღამე ერთთან იწყებოდა და მეორესთან მთავრდებოდა", – ყვება სოფი. მაგრამ მისთვის არც ეს აღმოჩნდა საკმარისი. მას შემდეგ, რაც მისი შვილობილი ვაჟი დაქორწინდა, ჟაკმა პატარძალს დაადგა თვალი. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მათ ვაჟი შეეძინათ.

"ის იყო განათლებული და ქარიზმატული დესპოტი, რომელიც მთელ ოჯახს, როგორც თავის საკუთრებას, ისე უყურებდა", – მოგვითხრობს სოფი თავის მემუარებში. თუმცა, ჟაკის მიმართ ზიზღს არ განიცდის: "ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ორი დედა მყავდა, მამას კი ყველანი ძალიან ვუყვარდით".

ირანელმა დიპლომატებმა ამერიკელები გაანადგურეს

ირანელმა დიპლომატებმა ამხანაგურ საფეხბურთო მატჩში გაანადგურეს თავისი ამერიკელი კოლეგები – 8:2. გუნდში შედიოდნენ ამ ქვეყნების საელჩოების ხუთხუთი წარმომადგენელი, რომლებიც არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში არიან აკრედიტებულნი. მატჩი აბუ-დაბის მახლობლად, ქვიშის პლაჟზე, ყოველწლიური დიპლომატიური ტურნირის ფარგლებში გაიმართა.

გაზეთ "აშ-შარკ ალ-აუსათის" ცნობით, დიპლომატების ჩემპიონატში წლეულს 28 საელჩოს 18 გუნდი მონაწილეობს. იმის გამო, რომ ზოგიერთ საელჩოს დიპლომატიურ მისიაში თამაშისთვის საჭირო 5 ფეხბურთელიც კი არ მოეძებნება, ამიტომ იქმნება ნაკრები გუნდები: მაგალითად, დსთ-ის ქვეყნების წარმომადგენლები გაერთიანდნენ.

გაზეთი ასევე იუწყება საუდის არაბთა სენსაციურ გამარჯვებას ბრაზილიასთან შეხვედრაში – 9:2. უცხოელთა სამოყვარულო გუნდები ემირატების ჩემპიონატში მონაწილეობენ. ასე, მაგალითად, არსებობს ინგლისურ-ინდური გუნდი, ხოლო დსთის წარმომადგენლები გაერთიანებულნი არიან "ალ-ბაიანის" გუნდში, რომელიც უკვე რამდენიმე სეზონია ღირსეულად თამაშობს არაბეთის გაერთიანებული საემიროების ჩემპიონატში.

TV-სპორტი

შაბათი. 15 მაისი

НТВ + ФУТБОЛ
07:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
07:30 NBA TV. ყველაფერი NBA-ს შესახებ
08:00 NBA TV. "NBA-ს დიდი თამაშები". წელი 1987. აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალი. "BOSTON CELTICS" - "DETROIT PISTONS". მე-7 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი – ესპანეთის ჩემპიონატი. "რეალი" – "მალიორკა"
15:00 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
15:30 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. "კრუზეირო" (ბრაზილია) – "დეპორტივო კალი" (კოლუმბია). საპასუხო მატჩი
17:15 თავისუფალი დარტყმა
17:30 "ექსპერტიზა"
18:00 "გაიტანე"! მაიკლ ოუენთან ერთად
18:15 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. "ლივერპული" – "ნიუკასლი". პირდაპირი ტრანსლაცია
20:50 გერმანიის ჩემპიონატი. "შტუტგარტი" – "ბავარია". შესვენებისას (21:40) - თავისუფალი დარტყმა
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. "დეპორტივო" – "სელტა". პირდაპირი ტრანსლაცია
00:50 ინგლისის ჩემპიონატი. "არსენალი" – "ლესტერი". შესვენებისას (01:40) - თავისუფალი დარტყმა
03:40 03:40-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
04:30 NBA TV. ყველაფერი NBA-ს შესახებ
05:00 NBA TV. "NBA-ს დიდი თამაშები". წელი 1989. აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალი. "CHICAGO BULLS" - "DETROIT PISTONS". მე-3 თამაში

НТВ + СПОРТ
08:55 ფრენბურთი. ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ტურნირი იაპონიაში. ქალები. რუსეთი – იტალია. პირდაპირი ტრანსლაცია
10:30 "ფორმულის ჰარმონია"
11:30, 21:00 პრესცენტრი
11:45, 21:15 "ოლიმპის შვილები"
11:50 "ფარი და ბურთი". გადაცემა კალათბურთზე
12:40 "მწვერვალი გვეძახის" – ევერესტი. ჩრდილოეთ კედლის ცენტრში
13:10 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. პლეიოფი. შესვენებისას (14:25) – პრესცენტრი
15:45 ჩოგბურთი. "Masters Series" ჰამბურგში. ნახევარფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია
20:00 "სპორტული გლობუსი" - "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
20:30 სუპერმოტოკროსი. რუსეთის თასი. პირველი ეტაპი
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 ფრენბურთი. ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ტურნირი იაპონიაში. ქალები. რუსეთი – იტალია
23:00 კიოკუშინკაი კარატე. რუსეთის ჩემპიონატი
00:00 ჰოკეი. სტენლის თასი. ნახევარფინალი. "PHILADELPHIA FLYERS" - "TAMPA BAY LIGHTNING". მე-4 მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია. მეორე შესვენებისას (01:20) – ახალი ამბები
02:30 02:30-დან 06:00-მდე შესვენება
06:00 პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის. როი ჯონს-უმცროსი – ანტონიო ტარვერი. პირდაპირი ტრანსლაცია

EUROSPORT
11:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
12:00 ცურვა. ევროპის ჩემპიონატი ესპანეთში
13:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი კვიპროსში
14:00 "სუპერრბოლები გამოსასვლელ დღეებში". ტელეჟურნალი
15:00 სუპერრბოლები გამოსასვლელ დღეებში. ჩემპიონატი გერმანიაში
15:45 მოტორბოლები. გრან-პრი საფრანგეთში
16:15 მოტორბოლები. გრან-პრი საფრანგეთში
17:00 მოტორბოლები. გრან-პრი საფრანგეთში
18:15 ველორბოლები. იტალიის ტური
20:30 ცურვა. ევროპის ჩემპიონატი ესპანეთში
22:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი იუნიორთა შორის საფრანგეთში
00:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
00:30 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
02:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი კვიპროსში
02:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
03:00 ახალი ამბები
03:15 ჩოგბურთი. WTA ტურნირი იტალიაში
04:15 ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი რუმინეთში
04:45 ახალი ამბები

ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

მუშაობის რიტმი უკვე ისმის

რა არის სახელმწიფო? სახელმწიფო არის ჰიმნი, დროშა, ჯარი, ფული, კანონი, ტერიტორია, პოლიცია, ხალხი და, რაც უფრო ძლიერია სახელმწიფო, მით უფრო სინქრონულია ამ და ბევრი სხვა ცნების ერთობლივი მუშაობა. ყველა ჩვენგანს კინო თუ ტელეეკრანიდან არაერთხელ გვინახავს სხვადასხვა უცხო ქვეყანაში სტიქიური უბედურების, ომის, ექსტრემალური სიტუაციის, სპეცოპერაციის, დანაშაულთან ბრძოლის, სამართლის და კანონის დაცვის შემთხვევაში, ყოველგვარი ხარვეზების გარეშე, გრანდიოზული სახელმწიფო მანქანა როგორ იწყებს მუშაობას. საქართველოს ბოლო წლების რეალობაში რაიმე რიტმული, მით უმეტეს, სახელმწიფოებრივი მუშაობის შემჩნევა ძალიან ძნელი იყო. ამაზე, უბრალოდ, არც კი ვოცნებობდით და ვიგვირგვინდებოდა, ეს ყველამ ვიცოდით. ძალიან ბევრი ამგვარი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ეს იმდენად ახლო წარსულში იყო, რომ ნებისმიერ მოქალაქეს ჩემზე არანაკლებ კარგად ემახსოვრება. ფაქტი კი ის არის, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის კონტურები წარმოუდგენლად ბუნდოვანი იყო. ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში ბოლო თვეებში რადიკალური ცვლილებები მოხდა. ოცდაათწლიანი ბატონობის შემდეგ შევარდნაძე გადადგა, აბაშიძე წავიდა და ამან ნებისმიერ ჩვენგანში მომავლის იმედი, რწმენა გააღვიძა. ნოემბრიდან დღემდე სირთულეების, წინააღმდეგობების, შეცდომების და, ამავე დროს, რეალური მუშაობის თვეები გვქონდა. ცალკეული, თუნდაც ფატალური, პიროვნების შეცვლამ იმდენად არ დამაიმედა, რამდენადაც იმ რიტმმა, რომელიც ბოლო თვეების განმავლობაში ვიგრძენი და ქვეყნის გულისცემად აღვიქვი. ამდენი წლის უმოქმედობის შემდეგ, თავიდან ძნელად, ახლა კი უკვე აწყობილად, სახელმწიფო მანქანამ მუშაობა დაიწყო. ბათუმის რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგ, უშიშროებიდან დაწყებული გზების სამმართველოთი დამთავრებული, ყველა უწყება, ყოველგვარი ხმაურის და პრანჭვის გარეშე, თავის საქმეს აკეთებდა. პირადად მე სამხედრო სწავლებებისგან შთაბეჭდილების ქვეშ ვარ, ალბათ ისევე, როგორც აბაშიძე... თურმე, ჯარიც გვყოლია, პოლიციასაც უამრავი რამ შეძლებია, უშიშროების სამსახურიც მუშაობს და ა.შ. აბაშიძე წავიდა და სახელმწიფო მანქანა კიდევ უფრო შთამბეჭდავი და აშკარა გახდა. ხიდები აფეთქდა - სრულიად უჩვეულოდ, მოულოდნელად. ეს ხიდები მოკლე ვადებში აღდგა. პრეზიდენტმა ჩოლოქის საგუშაგოს გაუქმება ბრძანა - გაუქმდა და ტერიტორია გასუფთავდა. რკინიგზის ლიანდაგები აყრილი იყო - რამდენიმე საათში სარკინიგზო მაგისტრალი აღდგა, განიარაღება გამოცხადდა - კი ბატონო, სამი მეოთხედი უკვე განიარაღდა. ნუთუ ამას ვინმე ელოდა და იცოდა, რომ გამარჯვების ეიფორიის ფონზე ქართული სახელმწიფო საათის მექანიზმივით მუშაობას შეძლებდა? ალბათ, ნებისმიერი მოქალაქისთვის ყველაზე დიდი ბედნიერება სწორედ ამ კოლოსალური მანქანის მუშაობის ხმის გაგონებაა. შეუცვლელი პიროვნებები, გამოუვალი მდგომარეობა, გაუკეთებელი საქმე არ არსებობს, მაგრამ ბოლო პერიოდის ყველაზე დიდი მიღწევა, ჩემი აზრით, სწორედ სახელმწიფოს, როგორც ერთი მთლიანის, კონკრეტიზაციაა, რომელიც ერმა მოიპოვა და მანვე უნდა დაიცვას. ასეთ ფასად დაბრუნებულ რწმენას, მოქალაქეობრივ სიამაყეს არავის შევალახინებთ და სპეკულაციისთვის, ავანტიურიზმისთვის და მოროდიორობისთვის ოდითგან ხელსაყრელ რევოლუციას, მდაბიო ზრახვებისთვის არ გამოვაყენებინებთ. სამწუხაროდ, როგორც ამბობენ, კუზიანს სამარე გაასწორებსო და ბათუმის მოვლენების მეორე დღესვე, სახალხო ზეიმის და გულწრფელი ბედნიერების ფონზე, მაღალფარდოვანი სიტყვებით - კონტრრევოლუცია, ოლიგარქები, საზოგადოება - შენიღბული ელემენტარული მოროდიორები აღმოვაჩინეთ, რომლებიც კარიერაზე, ლაქიობაზე, ახალ ხელისუფლებასთან შეძრომაზე, ინტრიგებზე, ქონებაზე, სხვისი ბინების გაძარცვაზე, რაღაცის დათრევაზე, შანტაჟზე უფრო ფიქრობენ და ეს მაშინ, როდესაც ერთიანი სახელმწიფო ზეიმობს და ფეხზე დადგომას ცდილობს. საბედნიეროდ, მანქანა უკვე ამუშავებული დახვდათ და მათი პატარა ზრახვები ერთ მთლიანობას შეეჯახა, რომელსაც კანონმდებლური ქვეყანა ჰქვია. რა განსხვავებაა ცალკეულ ქურდსა და რომელიმე უწყების სახელით მოსაუბრე ჩინოსანს შორის, თუ ორივე სხვისას იპარავს? რა განსხვავებაა ჯერ კიდევ გაუნაირაღებელ ადამიანსა და სახელმწიფო მოხელეს შორის, თუ ორივე ერთნაირად ვერ ხვდება, რომ ეს ომი არ იყო, აჭარა უცხო, დაპყრობილი ქვეყანა არ არის, რომ ბათუმში დამარცხებული არ არსებობს და საქართველომ ერთიანად გაიმარჯვა. სწორედ სახელმწიფომ კიდევ უფრო მკაცრად უნდა გააკონტროლოს ისინი, ვისთვისაც, მატერიალურის გარდა, არანაირი ღირებულებები არ არსებობს. სამწუხაროდ, ასეთები ჩვენ გარშემო ერთეულად, მაგრამ მაინც არსებობენ, თანამდებობებსაც იკავებენ, მომხიბვლელად იღიმებიან, პროფესიონალურად თვალთმაქცობენ და ამით კი იმ იდეას, რომელსაც სახელმწიფო ჰქვია, დისკრედიტაციას უწევენ. საქართველოს მთელი მოსახლეობა, საზოგადოება ამას აშკარად ხედავს და არავის ურჩევს მათთვის საბედისწერო შეცდომების დაშვებას. დღეს უკვე ამ შეცდომების ფასი ძალიან მაღალია და მას აბაშიძის შემდეგ დარჩენილი ვერანაირი ქონება ვერ შეედრება.

ახალი დროშა, ახალი ჰიმნი, ახალი პრეზიდენტი, ახალი იმედები, დაბრუნებული მორალი, კანონი და სრულიად ახალი, უჩვეულო შეგრძნება იმისა, რომ ჩვენ ბუმბერაზი კედელი გვიცავს, რომელსაც ყველაფერი ძალუძს და მას ქართული სახელმწიფო ჰქვია.

ხიდი აფეთქდა და ახალი აიგო.

იარაღი ჩამოერთვა და ჯარისკაცს გადაეცა.

გლეხმა სასუქი მიიღო.

მატარებელი A პუნქტიდან B-მდე ჩავიდა.

ძაღლი პატრონს დაუბრუნდა.

იმედმა გაიღვიძა და აღარ დაიძინებს.

სახელმწიფო მანქანა დაიძრა.

არწივი კი, ალბათ, ცაში გაფრინდა.

სადა ხარ, ჩემო შალიკო?

ვერ გეტყვით, რომ გულამოსკვნილი, მაგრამ ლეიბორისტული პარტიის ლიდერს შალვა ნათელაშვილს, ისევე როგორც ჩვენი სახელოვანი ოპოზიციის სხვა წარმომადგენლებს, ტელეეკრანებზე საგანგებო ბრიფინგებით, ან რევოლუციისშემდგომ ბათუმის საზეიმო ქუჩებში ვეძებდი, მაგრამ ამაოდ. ბოლო წუთამდე იმედი მქონდა, რომ ერთხელ მაინც "ერის რჩეულები" საკუთარ თავში ძალას გამონახავენ, რეალობას თვალებში შეხედავენ და ხალხს, ამომრჩევლს შეუერთდებიან, მათ სიხარულს, გამარჯვებას გაიზიარებენ და ყველაფრის უსისხლოდ დამთავრებას იზეიმებენ. ეტყობა, მე მათზე კიდევ უფრო კარგი აზრის ვიყავი, ვიდრე ამას რეალურად იმსახურებენ. გამიკვირდა, რომ შალვა ნათელაშვილმა, წლების განმავლობაში გამომუშავებული ენაწყლიანობის მიუხედავად, გამარჯვებული საქართველოს მისამართით ორიოდე სიტყვაც კი ვერ გამოძებნა. ნუთუ ასეთი ძნელია მილოცვა? თუმცა, მეორე მხრივ, მისი მხრიდან ამგვარი თავშეკავებულობა შეიძლება ელემენტარული ტაქტის მაჩვენებელია, რომელმაც ესოდენ გულწრფელ წუთებში ნათელაშვილსაც კი სიყალბის უფლება არ მისცა. სიმართლის, სხვისი გამარჯვების აღიარება კი არ შეუძლია და რა ქნას!

ხალხში ამბობენ, ადამიანი ჭირში და ლხინში გამოიცდებაო. შალვა ნათელაშვილმა, ისევე როგორც მთელმა მისმა პარტიამ, ამ გამოცდაში დამსახურებული ორიანი მიიღო, რომელიც მას ქართულმა საზოგადოებამ დაუწერა. გაუბედურებული კაცი გეცოდება, მისადმი თანაგრძნობის გამოხატვა, თუ სულ მთლად მხეცი არა ხარ, უფრო იოლია. შური, ბოღმა არ გახრჩობს. სხვისი ბედნიერების, სიხარულის გულწრფელად გაზიარება კი ბევრად უფრო რთულია. სწორედ ამ მარტივი თეორიიდან გამომდინარე, ჩემი აზრით, მთავარმა ლეიბორისტმა, ხალხის ბედნიერების შემხედვარემ, საკუთარი სახე გონივრულად, წინდახედულად დამალა. ვაითუ მიმიკისთვის, თვალების გამომეტყველებისთვის კონტროლი ვერ გაეწია და ერი, რომელსაც არაფერი ეპარება, მის ჭეშმარიტ ემოციებს, განწყობას ამოიკითხავდა. აბა, მეტი რითი შეიძლება აიხსნას, რომ კაცი, რომელსაც რჩეულობაზე პრეტენზია გააჩნია, საკუთარ ამომრჩეველს ვერ ულოცავს, ვერ ენახვება, მომხდარი უსისხლო რევოლუციის რეალურ შეფასებას ვერ აკეთებს, იბნევა და არ იცის, რა თქვას, ახალი რა მოიგონოს.

ცოდოა ის ადამიანი, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს შესაძლებლობების ამოწურვას და საკუთარ თავში კი ამგვარ თვისებებს აღმოაჩენს. ძნელია ისე იცხოვრო, სხვისი რომ არაფერი გიხაროდეს. ან ვინ არის ეს სხვა? ხალხი, რომელთა ინტერესების დამცველად ასაღებდი თავს.

ნუთუ რაღაცა ხანი გავა, ნათელაშვილი ნერვებს, ემოციებს მოთოკავს, ბოღმას შენიღბავს, ახალ სტრატეგიას შეიმუშავებს, ხელისუფლების პირველივე წვრილმან შეცდომას დაელოდება, ხალხს თავიდან მოევლინება და მას კი ვინმე გვერდში დაუდგება ან ყურს დაუგდებს? ნუთუ მისი მცირერიცხოვანი გარემოცვისთვის და ამომრჩევლისთვის ასეთი აშკარა მაგალითი, "ლიდერის" ჭეშმარიტი ადამიანურ-მოქალაქეობრივ-პოლიტიკური თვისებების დასანახად საკმარისი არ უნდა გახდეს? თუმცა, მაგალითები მანამდეც ბევრი გვქონია!

P.S. დაწერილი არ მქონდა წერილი, რომ ტელევიზორში პერმანენტული საგანგებო ბრიფინგით ლეიბორისტული პარტიის №2 - ჯონდი ბალათურია გამოვარდა. არა, არა, მე მათზე ნამდვილად უკეთესი აზრის ვიყავი. ბათუმში რევოლუცია მოხდა, სისხლი არ დაიღვარა, მთელი ქვეყანა ზეიმობს და ბალათურია საშუალო სკოლის პროგრამიდან ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების ამოღების თაობაზე ბრიფინგს იწვევს! ან ვინ იღებს, ან ჯონდის რა საქმეა, ან რომელი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები წაუკითხავს და, თუ წაუკითხავს, რა ეტყობა, ან ნუთუ მეტი სათქმელი არაფერი ჰქონდა?

"არჩევანის ზღვარზე" არჩევანის წინაშე

ტელეკომპანია "მზის" უკვე არც ისე ახალი პროექტი "არჩევანის ზღვარზე", რომელშიც ჟურნალისტების მთელი ჯგუფი რესპონდენტებს ჩამჭრელი, მწვავე შეკითხვების ალყაში აქცევს, მომწონს და ყოველთვის ინტერესით ვუყურებ. მომწონს გადაცემის დინამიკურობა, შეკითხვების პირდაპირობა, წამყვანი ჟურნალისტის ჟესტიკულაცია, ამერიკანიზირებული ჩაცმულობის სტილი და რესპონდენტის გამოუვალი მდგომარეობა. სწორედ ამიტომ გამიკვირდა, ასეთი გამოცდილი ჟურნალისტები ხელოვნების წარმომადგენელ სტუმრებთან - გია გაჩეჩილაძესთან (უცნობი) და ირაკლი ჩარკვიანთან საკმაოდ უსუსურები რომ გამოჩნდნენ. რესპონდენტი, პოლიტიკოსი თუ არ არის, მგონია, არც კი იციან, რა შეეკითხონ. ქართველი ტელეჟურნალისტები პოლიტიკოსებთან ისე ბუნებრივად გრძნობენ თავს, როგორც თევზი წყალში მათი აზროვნება, ლექსიკა, თემატიკა და პოლიტპლათფორმა, მათდამი დასასმელი, თუნდაც ჩამჭრელი, კითხვები ზეპირად იციან. ხოლო თუ რესპონდენტი სრულიად სხვა მენტალიტეტის, განზომილებების, ფასეულობების მქონე, თავისუფალი ხელოვანია, რომელიც სამყაროს განსხვავებულად, ინდივიდუალურად და არა პარტიულად ხედავს, მასთან ჟურნალისტები ჩიხში შედიან და თუნდაც სრულიად ელემენტარულ საერთო ენას ვერ პოულობენ. არადა, მე მგონი, ბევრად უფრო საინტერესოა არა პოლიტიკოსების ტრაფარეტული, გაუთავებელი, დაზეპირებული პოპულიზმი, არამედ არანაირ ჩარჩოებში მოქცეული, სრულიად აპოლიტიკური, ყველა დროში და ყველა ხელისუფლებაში შემოქმედი, ძალიან მარტივად, ყოველგვარი პათოსის გარეშე მოსაუბრე, არავისზე და არაფერზე დამოკიდებული ხელოვანების აზრი. სწორედ ამ ერთი კონკრეტული გადაცემის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ტელეჟურნალისტებმა ზოგად ღირებულებებზე, მუდმივ ფასეულობებზე და დღეს მათ ნაკლებობაზე ლაპარაკი არ იციან და უნდა ისწავლონ. ამისთვის კი ცოტა ვარჯიში და ამგვარი თავისუფალი აზროვნების სტუმრების უფრო ხშირად მოწვევაა საჭირო, რაც, სხვათა შორის, ჩვენთვისაც, ტელემაყურებლებისთვისაც ბევრად უფრო საინტერესოა. ჟურნალისტების ნამდვილი მიღწევა მაშინ იქნება, როდესაც ისინი ერთნაირად თავისუფლად, უშუალოდ, ყოველგვარი ტანჯვისა და დისკომფორტის გარეშე, როგორც სარიშვილთან, ისე უცნობთან, საუბარს შეძლებენ, თუმცა ეს ორი პიროვნება სულ სხვადასხვა ენაზე მეტყველებს და უყურებს სამყაროს.

მოეშვით ამდენ პოლიტიკას, გარშემო მიმოიხედეთ, ცხოვრება მშვენიერია! ივარჯიშეთ ხელოვნების წარმომადგენლებთან, რომლებსაც არავისი ეშინიათ, დასამალი არაფერი აქვთ და ყველაფერს თავის სახელს სრულიად იოლად არქმევენ, საუბრის, ინტერვიუს აღების პრაქტიკა გაიარეთ. ეს თქვენს მუშაობას და ტელეკომპანია "მზეს" ავტორიტეტს უფრო წაადგება, ჩვენ თვალში კი თქვენი პროფესიონალიზმი სადავო აღარ იქნება.

სახლი

თბილისში ამ ბოლო დროს შემოსული უწარსულო, უტრადიციო, ზეთანამედროვე, უცხოპლანეტური სახლების, ბინების, ინტერიერების ახალი ტენდენციის ფონზე, როდესაც ჩემმა ნაცნობმა თავის ახალ დაშენებულ და გარემონტებულ ბინაში დამპატიჟა, ცოტა არ იყოს, ვღელავდი, რომ არ მომწონებოდა, რა დამეწერა. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ნანახმა სასიამოვნოდ გამაოცა და კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ გემოვნების, სიმყუდროვის და ულტრათანამედროვე დიზაინის სრულიად ორგანულად შერწყმა შესაძლებელია. არ ვარ დარწმუნებული, რომ ჩემ მიერ არაპროფესიონალურად გადაღებული ფოტოებით ინტერიერის სილამაზის, დახვეწილობის და ორიგინალობის ზუსტ გადმოცემას შევძლებ. ბინაში, რომელშიც თეთრი და პასტელის ფერები დომინირებს, სპარსულ-მავრიტანული, ბევრი სხვადასხვა ნაქარგისა და ნახატის მქონე ძვირფასი ნაჭრებით, ბალიშებით, გვერდითა განათებებით დეკორირებული საძინებელი სრულიად მოულოდნელად გამოიყურება. მისი ინტიმური სიმყუდროვე და ფანჯრიდან გადაშლილი ხედი, ალბათ, ყოველ დილას ხალისით გაღვიძების უპირატესობას განიჭებს. მთელ ბინას გარშემო უზარმაზარი, განიერი ტერასა დაჰყვება, რომელიც, დიასახლისის თქმით, ჯერ საკმარისად გამწვანებული არ არის, მაგრამ ვინაიდან მთელი თბილისი თითქოს ხელის გულზე გაქვს, მაინც ძალიან შთამბეჭდავია.

მხატვარი ფოტოდიზაინერი ნატო ფირცხალავა ახალი სახლის ახალგაზრდა დიასახლისია და მის მიერ მოწყობილ ინტერიერში გემოვნება, კულტურა, ბოჰემურობა და მატერიალური შესაძლებლობა, რომელიც ამ ყველაფრის რეალიზაციის ხელსაყრელი პირობაა, იდეალურად არის გამოყენებული. სახლი მის მფლობელზე ყველაზე კარგად მეტყველებს და სწორედ ამიტომ, ჩემი ვიზიტის შემდეგ კარგი, მაგრამ არა ახლო ნაცნობის მიმართ, რომლის სულიერი სამყარო მის გარშემო არსებული გარემოს ხარჯზე უფრო აშკარად დავინახე, კიდევ უფრო მეტი პატივისცემითა და ინტერესით განვიმსჭვალე.

25 კვადრატული მეტრი სახელმწიფო ორკესტრისათვის

ჰობარტ ერლი კონცერტს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს უძღვნის

მადი სერებრიაკოვა

ბოლო დროს უცხოელ მოქალაქეებს საქართველოში ჩამოსვლას არ ურჩევენ. დაძაბული პოლიტიკური თუ კრიმინალური მოვლენების ფონზე უსიამოვნებები მათ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ელოდებათ. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც მოიჩქარიან საქართველოში, განსაკუთრებით, როცა საქმე ხელოვნებას, მუსიკას ეხება. კონცერტი, რომელიც ამერიკელმა დირიჟორმა ჰობარტ ერლიმ საქართველოში სახელმწიფო კამერულ ორკესტრთან ერთად გუშინ გამართა, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა. ამერიკელმა დირიჟორმა პროგრამაში ქართული მუსიკაც შეიტანა. თბილისში იგი დიდი ენთუზიაზმით გამსჭვალული ჩამოვიდა: **"მიუხედავად გაფრთხილებისა, საქართველოში მაინც არ მეშინია ყოფნა - პირიქით ახლა საუკეთესო მომენტია შრომისთვის, მონდომებისთვის."** საქართველოში ჰობარტ ერლი სხვა რამემ შეაშფოთა: კერძოდ კი, საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის სარეპეტიციო დარბაზმა (25 კვ/მ ფართით) - **"აი, ეს არის სკანდალი, მე შოკირებული ვარ!"** - აღნიშნა კამერულ ორკესტრთან ერთობლივი კონცერტის სამზადისში დირიჟორმა.

საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი, რომელიც ცნობილი მევიოლინეს, ლიანა ისაკაძის სახელს უკავშირდება, არაერთ მნიშვნელოვან მუსიკალურ მოვლენას მასპინძლობს. მათ შორის, უპირველესი ბორჯომის საერთაშორისო ფესტივალი "ხელოვნების ზეიმია", რომელიც უკვე რამდენიმე წელია საქართველოში წარმატებით იმართება. გასული ფესტივალის შემდეგ, ორკესტრი მნიშვნელოვნად გადახალისდა. ლიანა ისაკაძემ კონკურსის საფუძველზე რამდენიმე ახალგაზრდა მუსიკოსი მიიღო ორკესტრში. შეიცვალა ორკესტრის ხელმძღვანელობაც: მთავარი დირიჟორი ცნობილი მუსიკოსი იუსტუს ფრანცი გახდა, დირიჟორი და კონცერტმეისტერი კი - იაპონიაში მოღვაწე ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსი გიორგი ბაბუაძე. ორკესტრს მთავარი სტუმარი დირიჟორიც შეემატა - ეს სტატუსი სწორედ ჰობარტ ერლის მიენიჭა. ამ უკანასკნელთან ერთად, გუშინ გამართულ კონცერტზე მსმენელმა ორკესტრის წინსვლა აშკარად იგრძნო.

ჰობარტ ერლი.

ბილ კლინტონთან ერთად.

ჰობარტ ერლი სადირიჟორო ხელოვნებას ისეთ დიდ მუსიკოსებთან დაეუფლა, როგორებიც ლეონარდ ბერსტაინი და სეიჯი ოძავაა. საბჭოთა კავშირში პირველად 1990 წელს იმყოფებოდა. მაშინ მან მისსავე დაარსებულ კამერულ ორკესტრთან ერთად გამართა კონცერტი. ერთი წლის შემდეგ, კი იგი ოდესის ნაციონალურ ფილარმონიული ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი გახდა - ჰობარტ ერლი პირველი ამერიკელი იყო, რომელმაც საბჭოთა ორკესტრში ასეთი საპასუხისმგებლო პოსტი დაიკავა.

საქართველოსა და ქართველებთან ჰობარტ ერლის პირველი ნაცნობობა 1992 წელს შედგა, როდესაც მან პაატა ბურჭულაძისა და მარია გულეგინას კონცერტს უდირიჟორა ვენაში. ცოტა ხანში, მას ლიანა ისაკაძესთან ერთად შესრულებული ელგარის კონცერტიც მოჰყვა: **"ლიანასთან ძალიან დავმეგობრდით** - აღნიშნავს დირიჟორი, **- ის ძალიან დიდ საქმეს აკეთებს საქართველოსთვის... საქართველომ დღეს ბევრი ფული უნდა ჩადოს საკუთარ რეკლამასა და იმიჯის შექმნაში. ხელოვნება კი საუკეთესო რეკლამაა. ლიანამ მაშინვე მითხრა, რომ აუცილებლად უნდა ჩამოვიდე საქართველოში და მის ორკესტრს ვუდირიჟორო - აი, მეც აქ ვარ."**

ჰობარტ ერლის მხოლოდ ოდესის ორკესტრთან ერთად 300-ზე მეტი კონცერტი აქვს გამართული. მის ჩანაწერებს შორის ერთ-ერთმა - ავსტრიის რადიოს მიერ ცოცხალი შესრულებით ჩაწერილი ჩაიკოვსკის მე-5 სიმფონიამ 2002 წელს ჰოლივუდში გაიმარჯვა ნომინაციაში "საუკეთესო კლასიკური ალბომი" და გრან-პრი დაიმსახურა. ჰობარტ ერლი არაერთგზის დააჯილდოვეს სხვადასხვა პრიზებითა თუ პრემიებით. კავკასიასთან ჰობარტ ერლის ბევრი რამ აკავშირებს - მას წარმოშობით სომეხი ცოლი ჰყავს. ქართულ ღვინოს კი დირიჟორის საბჭოთა კავშირში აღნიშნული პირველი დაბადების დღე უკავშირდება: **"ძალიან მიყვარს "ქინძმარაული", სამწუხაროა, რომ ნიუ იორკში მისი შოვნა ვერ მოვახერხე."**

ჰობარტ ერლი თბილისში რამდენიმე დღის წინათ ჩამოვიდა. უკვე მოასწრო მოენახულებინა ბორჯომიც, სადაც იგი მომავალი წელს "ხელოვნების ზეიმის" ფესტივალზე იქნება მოწვეული. გუშინდელი კონცერტი, გარკვეულწილად, ახალი, უფრო დიდი პროექტებისთვის ამზადებდა ნიადაგს: **"ძალიან კარგია, რომ კამერული ორკესტრი აქტიურად არის დაკავებული ზაფხულში და ბორჯომის ფესტივალს მასპინძლობს, მაგრამ აუცილებლად საჭიროა, რომ მათ ზამთარიც შეავსონ საკონცერტო სეზონით"** - დანაცხადა დირიჟორმა.

"ეს მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული - აღნიშნავს ორგანიზატორი, კამერული მუსიკის ცენტრის ხელმძღვანელი მანანა დავითაშვილი **- პირველ რიგში, ფინანსურთან, ჩვენ არ გვაქვს საშუალება ვიქირაოთ დარბაზი ყოველი კონცერტისთვის".** ამ პრობლემის გადაჭრის გზად ჰობარტ ერლის სახელმწიფო დარბაზებთან მოლაპარაკება მიაჩნია. კამერულ მუსიკას, როგორც ერთ-ერთ ყველაზე არაკომერციულ დარგს, განვითარებულ ქვეყნებშიც აქვს პრობლემები. **"სახელმწიფო დარბაზებმა მხარი უნდა დაუჭირონ სახელმწიფო ორკესტრებს, საშუალება მისცენ ხშირად გამართონ კონცერტები, ფული კი კომერციული ღონისძიებებიდან ამოიღონ"** - მიაჩნია დირიჟორს. სამაგალითოდ, მას რუსეთი მოჰყავს, სადაც სახელმწიფო ორკესტრებზე უშუალოდ პუტინის აპარატი ზრუნავს.

ჰობარტ ერლი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს იშვიათი, მივიწყებული თუ ჯერაც აღმოუჩენელი მუსიკისადმი: **"წარმოიდგენეთ რამდენი კომპოზიტორი, რამდენი არაჩვეულებრივი ნაწარმოებია მსოფლიოში, რომ წარმოვიდგენ რამდენი რამ ჯერ კიდევ არ შემისრულებია..."** - აღფრთოვანებით საუბრობს დირიჟორი. მისი განსაკუთრებული ინტერესი იშვიათი რეპერტუარისადმი გუშინ, კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართულ კონცერტზეც აისახა. ორკესტრი კონცერტზე განახლებული პროგრამით, საკმაოდ იშვიათი ნაწარმოებებით წარდგა: ლუიჯი ბოკერინის კვინტეტი, რომელიც კამერული ორკესტრისთვის ლიანა ისაკაძემ გადაამუშავა; ოტორინო რესპიგის "ანტიკური ცეკვები და არიები"; ჯორჯ ვითელფილდ ჩედვიქის "სერენადა". ეს უკანასკნელი საქართველოში პირველად შესრულდა. დაბოლოს, სულხან ცინცაძის "მინიატურები". ეს უკანასკნელი ამერიკელმა დირიჟორმა სულ რამდენიმე დღეში მოამზადა: **"სამწუხაროა, რომ მეტი დრო არ მქონდა. არაჩვეულებრივი ნაწარმოებია, განსაკუთრებით "საჭიდაო". საქართველოში ძალიან საინტერესოდ ერწყმის ერთმანეთს სამხრეთული, აღმოსავლური ელემენტები. ეს მუსიკასაც განსაკუთრებულ ეგზოტიკურობას ანიჭებს."**

ჰობარტ ერლის მიერ მომზადებულმა პროგრამამ მსმენელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. მიუხედავად დროის სიმცირისა, ახალგაზრდა, ტემპერამენტიანმა დირიჟორმა შესანიშნავად აუღო ალღო ქართულ ორკესტრს. კმაყოფილებას ორკესტრანტებიც არ მალავდნენ. გუშინდელი კონცერტი კონსერვატორიაში ამერიკის საელჩოს, ლიანა ისაკაძის ფონდ "ხელოვნების კაპიტალის", "თიბისი ბანკისა" და პარლამენტარ ივანე ჩხარტიშვილის მხარდაჭერით გაემართა.

მიუხედავად მრავალი სირთულისა, სახელმწიფო კამერულ ორკესტრს წელს დიდი გეგმები აქვს. უპირველეს ყოვლისა, ეს 8-15 აგვისტოს იალტაში დაგეგმილი საერთაშორისო ფესტივალია, რომელიც ბორჯომის ფესტივალის შემდეგ, კვლავ ჩვენი ორკესტრის ბაზაზე გაიმართება. იალტის ფესტივალი წელს დააარსა ლიანა ისაკაძის საერთაშორისო ფონდმა. მას მხარი პუტინისა და კუჩმას ადმინისტრაციებმა დაუჭირეს და უზრუნველყვეს ფესტივალის გამართვა. იალტაში ორკესტრს იუსტუს ფრანცი წარადგენს.

საკანთორდი


ფრანგი კინორეჟისორი
ცისკრის ღვთებრიული მთიელიანი
კოლონიების მჭირნე საბჭდბიდი
საორტეული საქონლის მწარმებელი ფირმა
ძლიერი, დამანგრეველი ქარი
ქალაქი და მუშაობა საორმანში
რეცეპტზე არსებული ხაზების საკრძალი შეფარდება ნამდვილ საკრძალთან
ჩ. დარვინის ექსპედიციის ხომალდი
საფეიდალო ერთეულის მმართველი საქართველოში
მე-18 საუკუნის ფრანგი ზღვაოსანი
სასწაული დაწესებულება
ძველბერძნული ფრამატურგი
მე-19 საუკუნის ჩეხი კომპოზიტორი, დირიჟორი და პიანისტი
იტალიური ანბანი
კლიმატური კურორტი ირენდიტალიაში
ურანის თანამგზავრი
"რეალის" მარშალიული ფორვარდი
რუსეთ საქმის წარმოების და გადადების განსაკუთრებული უფლება
საშემავრი ნივთიერება
ფრანგი სწავლული ხომალდით მოგზაურობის აღმწერი
მე-18 საუკუნის ფრანგი ზღვაოსანი
ჩრდილო ირლანდიის დედაქალაქი
ფრანგი ფილოსოფოსი, ენციკლოპედიის ერთ-ერთი ავტორი
ფრანგი ფიზიკოსი, ელექტრომაგნიტური ტალღების აღმომჩენ

ვინ მოვა სტუდენტური ფილმების ფესტივალზე „ჩვენ მოვდივართ 2004"

ნინია კაკაბაძე

უკვე სამი წელიწადია "კლუბი სარდაფი" და კინორეჟისორი დათო ჯანელიძე სტუდენტური ფილმების ფესტივალს ატარებენ. წელს ფესტივალი მეოთხეჯერ ჩატარდება; ამჯერად დათო ჯანელიძის გარეშე და კინომსახიობთა თეატრში. ჯანელიძემ, ვფიქრობ, ამ აუცილებელ ტრადიციას საფუძველი ჩაუყარა და ახლა, მის აქამდე დამხმარე სტუდენტებს, რომელნიც საორგანიზაციო საქმეების უმეტეს ნაწილს აკეთებდნენ, გადასცა ამ ფესტივალის მომავალი. წელს ფესტივალის, რომელიც 17 მაისს დაიწყება საინიციატივო ჯგუფი "კავშირი - კლუბის" ორგანიზატორობით ჩატარდება.

ვიდრე წლევანდელ ფესტივალზე აუცილებელ ინფორმაციას მოგაწვდიდეთ, ორი სიტყვით გასულ ჩვენებებზე წარმოდგენილი ფილმების შესახებ.

სტუდენტური ფილმების ფესტივალზე ყოველწლიურად წარმოდგენილი იყო საშუალოდ 70-მდე ნამუშევარი, რომელთაგან საკმაოდ რთული იყო საუკეთესოს გამოვლენა. ამის მიზეზი ის კი არ გახლდათ, რომ უმეტესობა კარგი იყო და საუკეთესო რთული გამოსავლენი იყო, არამედ საერთო სურათი იმდენად შემაშფოთებელი იყო, რომ მათ ფონზე კარგიც იჩრდილებოდა. მიუხედავათ ამისა, ახალი სახეების გამოვლენას ქართული კინოს გულშემატკივრები მომავალში მაინც ელიან; მაგალითად, ეს ორი კონკრეტული - ირაკლი ჩხიკვაძე და საშა ქორიძე. მათი ნამუშევრები ნამდვილად განსხვავებული და, გარკვეულწილად, ახლის მთქმელი იყო ქართულ კინემატოგრაფში. ჩემთვის ჯერ არ არის ცნობილი იღებენ თუ არა ისინი მონაწილეობას წლევანდელ ფესტივალში, ვინაიდან პროგრამის დაბეჭდვა უშუქობის გამო ვერ მოხერხდა და პრესკონფერენციაზე არ დარიგდა.

სტუდენტური ფილმების ფესტივალზე წარმოდგენილი ფილმების შეფასებისას, ვფიქრობ, პირველ რიგში, აუცილებელია სათქმელის, თემის ორიგინალურობა და განსხვავებული ხედვა. პროფესიონალიზმი ანუ ცოდნა, შესაძლებელია ნებისმიერმა მოიპოვოს, ბუნებრივია, ვისაც ამის სურვილი ექნება. მიუხედავად იმისა, რომ ჩხიკვაძისა და ქორიძის ნამუშევრები კინემატოგრაფიული თვალსაზრისით არ იყო დილეტანტურ დონეზე შექმნილი, მათი ნაწამოებების უპირატესობა, მაინც ახალი თემებისა და ფორმის მიგნება იყო. ერთი სიტყვით, უკანასკნელი სამი წლის მანძილზე უკვე გაჩნდა რამდენიმე სახელი, რომელიც რეალურ იმედს იძლევა მომავალი ქართული კინოს განვითარებისათვის. აქვე არ მინდა ყურადღების მიღმა დარჩეს კიდევ რამდენიმე გვარი, რომელთაც უკანასკნელ წლებში საკუთარი ფილმები წარმოადგინეს და მეორეხარისხოვანი პრიზები დაიმსახურეს. ესენი არიან, გიორგი მასხარაშვილი, პაპუნა მოსიძე და ირინა გაჩეჩილაძე. რაც ყველაზე სასიხარულოა, მე როგორც მათი შემოქმედების დამკვირვებელი უკანასკნელი წლების მანძილზე, აშკარად ვხედავ, რომ ყოველი შემდეგი ნამუშევარი უფრო და უფრო დახვეწილი, ოსტატური და ორიგინალურია. ასე რომ, იმედი ვიქონიოთ - ქართული კინო მომავალში გააგრძელებს არსებობას, თუკი კინოსთვის გამოყოფილ თანხებს სწორედ მათ მისცემენ და არა გასული საუკუნის ცუდ რეჟისორებს, როგორც ახლა ხდება. 900 ათას ლარად კი რამდენიმე ახალგაზრდა რეჟისორი შეძლებს ფილმის გადაღებას კინოფირზე.



მთავარი პრიზი.

17 მაისს, როგორც უკვე აღვნიშნეთ სტუდენტური ფილმების ფესტივალი გაიხსნება სახელწოდებით "ჩვენ მოვდივართ". სახელწოდება ოდნავ პრეტენზიულია, უფრო მხოლობით ჯგუფში რომ ყოფილიყო, ალბათ, აჯობებდა, ვინაიდან ეჭვი მეპარება საქმე "ჩვენთან", ანუ რამდენიმე ახალ სახესთან ერთდროულად გვქონდეს. ასე არასდროს მომხდარა, მაგრამ ჩემი უდიდესი სურვილი იქნება, წლევანდელი ფესტივალი ამ შემთხვევაში გამონაკლისი იყოს და არა, ერთი ან ორი, არამედ ერთდროულად რამდენიმე ახალი და საინტერესო სახე გამოჩნდეს ქართულ კინოში. საკონკურსო ჩვენებაში წარმოდგენილი იქნება 56 ნამუშევარი და, მათ შორის, მხატვრული, დოკუმენტური, ექსპერიმენტული ფილმები, მოკლე ნამუშევარი, რომელიც, ალბათ, ვიდეო-არტს და მუსიკალურ კლიპებს გულისხმობს.

გასულ წლებთან შედარებით, ნომინაციები გაზრდილია და, ასევე, წელს უგულებელყოფილია ეგრეთ წოდებული გრან-პრი, ანუ მთავარი პრიზი. ყველა ერთნაირად დაინაწილებს ჯილდოებს - საუკეთესო მუსიკა, საუკეთესო საოპერატორო ნამუშევარი, რეჟისურა, მონტაჟი, მუსიკა კინოში და სხვა. წელს, ასევე, გაუქმდა იტალიის საელჩოს მიერ ორი წლის მანძილზე დაწესებული პრიზი, რაც იტალიაში Rai-Uno-ს ტელე-არხზე სამთვიანი მუშაობის უფლებას მოიცავდა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. გარდა ამისა, გასულ წლებში წარმოდგენილ ფილმებს მხოლოდ კინომცოდნეები აფასებდნენ, წელს ჟიურის წევრთა შორის, გიორგი კალატოზიშვილის სახით მხოლოდ ერთი კინომცოდნეა წარმოდგენილი და სხვები კი, სხვადასხვა კინოსთან ახლოს მდგომი ადამიანებით დაკომპლექტდა: კინორეჟისორი, კინოოპერატორი, კინოსცენარისტი და ა.შ. ეს ნამდვილად მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ ფესტივალი კიდევ უფრო პროფესიონალურ სახეს იღებს.

24 მაისს სტუდენტური ფილმების ფესტივალის "ჩვენ მოვდივართ" დაჯილდოება გაიმართება, რომელსაც მეორე სათაურიც გაუჩნდა "სესილი 2004", წარმოდგენილ 56 ნამუშევარს შორის 24 მაისს 14 საუკეთესო ფილმი და ავტორი გამოვლინდება.

თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი აცხადებს მილებას შემდეგ სპეციალობებზე:

- იურიდიული (სამართლისმცოდნეობა)
- საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები
- ფინანსები და საბანკო საქმე

მისაღები გამოცდები ჩატარდება ტესტირების წესით.

ინსტიტუტში ლექციებს კითხულობენ ცნობილი მეცნიერები და პედაგოგები, პროფესორები ოთარ გამყრელიძე, იაკობ ფუტკარაძე, ნინო სავანელი, გრიგოლ თოდუა, შოთა ვეშაპიძე, მალხაზ ჩახნაშვილი, ნათია თურნავა და სხვები.

ინსტიტუტს გამოცემული აქვს შესაბამის კათედრებზე შედგენილი და სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებული ორიგინალური სასწავლო პროგრამები.

ინსტიტუტთან არსებული ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა აცხადებს მილებას VII-XI კლასებში.

მისამართი: ქ. თბილისი, ბროსეს 8 (46-ე საშუალო სკოლის შენობა)
ტელეფონები: 99 96 88, 8 99 51 80 84.

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური" გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი.
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word.
- ალრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა.
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: www.mziuri.ge

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.